

ს მ ბ ა თ ი

ერმათა საკითხავი

საქართველო სურათებიანი

ქ უ რ ნ ა ლ ი

პედაგოგიურის დამატებით

(მშობელთა და აღმზრდელთათვის).

ადრისთი და დამათი მოქმენა
საბათბა ან დაქსტეგბანს!
ბრუნებულა.

№ № X, XI და XII.

ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი.



თბილისი.

ბედაქცეობს ადრესი: აღაქსანდროვის პედონ, თუქსანიქვიჯის სხელი № 7



ს. მ. გ. მ. გ.

საქმიანობა

საქმიანობა

საქმიანობა

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 Декабря 1884 г.

საქმიანობა

საქმიანობა

საქმიანობა

საქმიანობა

საქმიანობა

საქმიანობა

საქმიანობა

სტამბა ი. მელიქიშვილისა.



ბიძა ბერუა.



აბაზღა ბიძა ბერუა, —
ღონემ უსუსტა ხელშია,
შუბლი მთლად დაუნათჭდა
და მოიკაკვა წელშია.

აღარ ახარებს არა-რც
იძის გულს ამა ქვეყნადა
და ჯელობის გულის ძღერა
გარდა ჰქცევიან კენესდა.

ტანჯული და ხაღვლიანი,
წარმოდგენით ბველსა დროსე,
მწარედ ქვითის მთაყოლებს,
წამოჯდება რა უდროსე.

და ესტვის თვალწინ ის დრო,
როს ღონიერის ჯანითა,
„ცას ქუდათ არ მიიმხნევა,
დედა-მიწას — ქალაძნათა.“

თავის მშრომელი მარჯვენით
სჭამდა დღიურ ლუკა ჰურსა
და ვეკლას ჰასუსს აძლედა,
უცხოეს, თუ შინაურსა.

ჭევიდა მწვერივით ბიჭები,
სტეპებოდა მათის ცქერითა
და მათგან ნაქად მოძვალს
ქლოდა გულის ბგერითა,

—
მკრამ იღბაღმა უძტეუნა,
ბედმაც უცვალა მას მხარე,
და გაუთხარა უდროთ
მის ცოლ-ძვილს ცივი საძარე.

—
უგანასკნელი იმედი,
ვაჟ-კაცი შვილი გიგია,
ისე დაძარსა ბეზაგმა,
ჰერ კადუნადა რიგია;

—
წარსულის მოსაკონებლად
დარჩა ქონი-ღა წნურია
და, მცხებრ მოხუცებული,
მისი ერთგული „მურია“.

—
და, როს ცაზე მზე ამოვა,
სხივებს მოჭყენს მთა და ბარსა,
ბიძია უკვლას სოფელში
ჩამოუვლის კარი-კარსა:

„—გამძივითხეთ ღვთის გულისთვის,
ნუ გამძივებთ ღღეს მძივრსა
და უფალი გარდაგისდით
სიკეთეს ჩემს მავიერსა!..“

სოფელიც ღონიერია,
ინახავს ბიძა ბერუას:
ვინ აძღვეს კაკალს, ვინ ჰურსა,
ვინ თითო ჯამსა ღებუას... *)

საღამოზე, ძმის ჩასვლისას,
ბერუა შინ ეშურება:
თავისი ერთგული „მურა“
უწვად-ჰუროთ ეგულება.

მივა და მოუაღერებს,
ნათხოვრიდამ მისცემს წილსა,
შემდეგ ჭილობში ეხვევა
და ეძლევა ტკბილსა ძილსა.

ს. ნახაიძე.



*) ღებუას — ქართლ-კახეთში ღობიოს ეძახიან.



მ ა ნ ი მ უ ნ ი კ ა ლ უ .

მათი მოგზაური, ერთს უცხო ქვეყანაში მოგზაურობის დროს, ესტუმრა ერთ მდიდანს, რომელიც იმ ქვეყანაში დიდი ხანი თურმე სცხოვრობდა. მასწინძელი დიდის სიამოვნებით მიეკება ჭსტუმარი სადილად მიიზატყა. ამ მასწინძელს კარგად დასვენება უყვარდა ჭ მართლადაც ჩინებული სადილი მიართვა. სადილს შემდეგ უთხრა სტუმარსა:

— ახლა, თუ თქვენი ნებაც იქნება, კალუს ვიხუენებთ.

— კალუ ვინ არის? ჰკითხა მოგზაურმა.

— კალუ ჩემი მოსამსახურეა, უთხრა მასწინძელმა: ამასთანავე, სიძარდით არც ერთს ჩემ მოსამსახურეებს არ ჩამორჩება. სთქვა ესა და ზარი დარეკა.

ოთახში შემოვიდა უცნაური ცხოველი, თოთხმეტხუთმეტი წლის ემაწვილის სიმაღლე, მხოლოდ წელში მოსრილი იყო. „მარვალი“ „ქილეტი“ და „სერთუკი“ ეცაბ, თავსედ ზატარა ქუდი ესურა. თურმე ეს უცნაური ცხოველი დიდი მაიმუნთაგანია, თორმეტის წლისა. ამ ნათესაობის მაიმუნებს შიძინანსე ჰქვიან.

მასწინძელმა კალუს ანიშნა; ამანაც სელში ტილო აიღო და სტოლსედ მისატანი თეუშები რიგანად დაასუუთავა; სსვაფრევიცა მარდად ემსახურებოდა.

— საზოგადოდ კარგი მოსამსახურეა, მაგრამ ხან-დის-ხან უსიაკობს, ამბობდა მასწინძელი, — და იზარავეს სოლბე, განსაკუთრებით ტკბილეულს, რომელიც კალუს ძალიან უყვარს; იზარავეს უფრო მაძინ, როდესაც ჰგონია ვერავენ შეატეობსო. სუფრის აღდაკების დროს, დარწმობილ საჭმელებსაც სძირად გადაათვალიერებს სოლბე და, რომელიც კი მოეწონება, სხვისგან ძალეულადა სჭამს.

თუძცა ამისთანა ნაკლულეუანება ჰქონდა, მაგრამ ზატრონს კალუ ძინც მარდ მოსამსახურედ მიანხდა და გულისხმად იცინოდა სოლბე, როდესაც ეს მისი ერთგული სტოლიდამ აღესულს ბოთლებში დარწმობილ ღვინოს დაღეუდა და მოვრალი ბარბაცებდა. სძირად მოვრალი კალუ ბოთლს ვადმთაბრუნებდა და ღვინოს ჰღვრიდა; ამით ის სიამოვნებდა.

შიძმანსეს სამშობლო აფრიკაა (ქვეყანასა ჰქვინან). იქ ტყეებში სცხოვრობენ. შიძმანსე რამდენჯერმე რუსეთშიაც მოუყვანიათ, მაგრამ რუსეთის ცივი ჰავა ვერ აუტანიათ და, ცოტა ხნის შემდეგ, დასოცილან. ამ ცოტა ხანშიაც შიძმანსე ძაღე შესწევია აღამიანს, შეუთჳისნია მისი ჩვეულება, ხასიათი; მაგალითად, ერთ იმათგანს აღამიანურად ჰგამა უსწავლია. თურმე სტოლის მიუჯდებოდა, „საღეუტეს“ გულისე აიფარებდა და ველსე შეიკრავდა; დანა-ხანგალს სძარობდა, ტუჩებს იწმენდა და, ჩაის დაცხამდა, ვაცციუებდა სოლბე და სხვა...

ანი.

მ ლ ზ ხ ა უ რ მ ზ ა

მოახში, ეზოში და ბაღში.

გ ა ჯ ი და კ ი რ ა.



მშრს როგორ აკეთებენ, იცით. სახლის ასა-
შენებლად, როგორც შემოთ ვითხარით, მარტო
ავური არა კმარა, მარტო ავურების ერთმანერთზე დაწყო-
ბით კედლები არ აშენდება. დაწვრილ ავურებს შუა თავი-
სუფლად იმოგსაურებს ქარი, სიცოცხე; ვარდა ამისა, კმა-
რა მროსამ, ხარმა ანუ კამეხმა ამ კვარად ატანილს
კედელზედ ზურგი მოიყსანოს ან დიდმა ქარმა შემო-
უქროლოს, რომ ამისთანა სახლმა გრიალი მოიღოს.
ამიტომ ავურების შესაკავშირებლად, ან მისაწებებლად,
სმარობენ: თ ი ხ ა ს, გ ა ჯ ს და ქ ვ ი შ ა შ ი არეულ
კ ი რ ს ა.

თისა, თუ რომ ვახსოვთ, ავურის განაკეთებლად
ძალიან ვარკია, არა მიწა არ შეედრება, მაგრამ, საძა-
ვიროდ, ავურების შესაკავშირებლად კი არ ვარკა.
თისის ტალახით აუგანილი კედლები ძტვიცყ არ იქ-
ნება...

- ძაშ, ჩვენი მეზობელი რათა ხმარობს?
- თისა არ იქნება, კიგო.
- როგორ არა, თისაა; მე ჩემის თვალებით ვნახე.

— შენის თვალებით ნახე, ჩემო ზატარა გიგო, მაგრამ თინა კი არ იქნებოდა.

— ძამ წამო, გიხვეწო. და წაძიუვანა ძესობლის შენობასედა, სადაც, სხვა მასწალათა შორის, ის მიწაც იყო, რომელიც გიგოს თინა ჰქონოდა, და აძაჲად მოძიუო: — აი, თუ არა?...

— რომ ვითხარბი თინა არ იქნება - ძეთქი? შენ არა გჯეროდა. აი, ძაკ მოყუითანო მიწას ჰქეიან გაჯი, იმ თეთრს კი კირი. ვისაც ძევიდრი შენობა უნდა, კედლების ასაშენებლად კირია კარგი; მსოლოდ კირში ქვიძას ურევენ და ამ ორივეს წელითა ჰყელავენ და ამ გვარად გაკეთებულს კირსა სძარობენ. გაჯის კი მსოლოდ წებლში სსნიან და სძირად კედლებისა და ჰერის კასაღესად, სხვა-და-სხვა ლაკვარდანი კასაკეთებლად, ჩუქურთმებით კედლების კასაღესად სძარობენ.

ქეეანასედა კირი ძალიან ბევრიბა. არა მინერალი არ არის ისე ბევრი, როგორც კირი. სოკ ადგილას რამდენიმე ათასი დღიური კირის ძთებია. კირს, იძის გარდა რომ შენობებისათვის სძარობენ, ბევრი სხვა სარგებლობაც მოაქვს ადამიანისათვის და თითქმის ეველა სულდგმულისათვისაც. აძასედა შეძდეკ ვილანაზრაკოთ, ასლა კი გაჯისა და კირის გამაწვასე კეტივი რამდენიმე სიტყვას.

გაჯი ეველგან არ ინძარება, ძაკ. რუსეთში




სრულიად არ არის, მაშინ როდესაც საქართველოში ბევრია. გამოწვავს ძალიან ადვილია.

გაჯის დიდრონ ბელტებს აწეობენ თაღის გვარად და შემოდამ ფშხნილს აერთან. სამ მხარეს აგურის კედლები აქვს ან არა და მიწისა, დახსლოვებით სამი არშინი სიძაღლისა და არშინ ნახევარი ანუ ორი არშინი სიგანისა. დიდრონი ბელტები ისეა დაწეობილი, რომ შემოდამ დაერილ ფშხნილ გაჯის მიწას ძირს არ უშეებს. როცა დაწეობას კათავეებს, ღია მხარედამ თაღის ქვეშ ცეცხლს შეუკეთებენ. ამ გვარად რამდენიმე საათი იწვის და ძერე ჩაიძლება კიდევ. შემდეგ ვაცეუებისა, ფართო ადგილზე ჰერთან და კაბობით ჰბეკვენ. აი, ამ რიგად მოძსადებულს გაჯის მიწას სცრიან, ურევენ წყალში და კედლების განსაღესად სძარობენ.

ხვენ კირსაც თითქმის ამ ნაირადვე სწვენ, მხოლოდ უფრო მეტი ხანი. ამოხსნრიან ხოლმე მიწას სიღრმით დახსლოვებით ორ არშინს. ეს ორმო ძრკვალა; სიგანე აქვს სამი არშინი. ერთ მხარეს მიწას ხამოწრიან და, ორმოს ძირის თანასწვრივ, გაუკეთებენ ხოლმე ხვრელს, საიღამაც ვაცს ორმოში შესვლა შეეძლოს. ამ ორმოს ვარემეძო გამოუძვარ კირის ქვას შემოუწეობენ და სევიდამ თან უძატებენ.

ამ ნაირად ორმოს ვარემეძო ააქეთ გამოუძვარი კირის კედელი, სიძაღლით ორ არშინ ნახევარი და

თავს თადით შეუკვრენ. ამ სიმაღლეზე ატანილს კედელს წნელის ღობეს შემოუსდრედავენ. წნელის ღობესა და კირის კედელს შუბ დარჩომილ ადგილს მიწით ამოაუსებენ სოლძე. ზევიდამ კიდევ გამოუმწვარ კირს



სურათი წარმოადგენს კვარაში სმარებულ კირის გამოსაწვავ ქურას, რომელიც განუწყვეტლივ მუშაობს.

ა) ამ კვარცხის მსგავს ქურაში გამოუმწვარი კირია. ბ) კვარლისა ღორთქლის ამოსასვლელი; გამოუმწვარ კირსაც აქედამვე ჰყრიან. გ) აქ ცეცხლს ანთებენ, ცეცხლის ალი აქედამ ქურაში მყოფ კირს უვლის. ქურას ოთხ მხარეზედა აქვს ცეცხლის ამგვარი ასანთები. დ) გამოუმწვარი კირი აქედამ გამოიღებოს. ე) ფურულის ადგილი (ანუ საფურუფლე). ვ) სახაცრე; აქედამვე შედის ჰაერი ცეცხლის გასაძლიერებლად. ზ) მეშების სადგური. თ) ქურის კედლები.

აერინან და თან წნელის ღობეს უმატებენ. ამ კვარად ექვსი არშინის სიმაღლეზედ ააქეთ. შემდეგ სურელიდამ შუვა ბიჭი, დაანთებს ცეცხლს და გამოვა. ორი-სამი კაცი დგანან და შივ შუპსს ჰყრიან, რომელიც იქვე



აწევია. კირი სანძი, სოკჯერ ოთხი დღე - და - ღამე იწვის და, როცა გამოიწვის, ეს შენობა ჩაიშლება სოლძე. სოკ ადგილას, როგორც მკვალითად, ქართლში, კახეთში, კირის გამოხსწვავად უფრო ღრმა ზ განიერ (სიღრმით 6—10 ანძინი) ორძოებს აკეთებენ. ამ სიღრმის ორძოებში კირის ბელტებს ზემა მოუვანდლის წესით აწუობენ. ორძოს ზირიდან ააქეთ ორი ანძინის სიძაღლეზე კედელი, თაღს ჭერავენ და ზემოდან ფშხნილ კირსა ჭერანს.

ამ გვარ გამოწვასედ ძალიან ბევრი ცეცხლი მიდის. სხვა განათლებულ ქვეყნებში დიდრონი, საკუთრად კირის გამოხსწვავი ქურები არის დაკეთებული. ეს ქურები ორ გვარია: ერთში მუდმივი მუშაობაა, გამოუმწვარი კირი გამოდის და იმის ადგილს გამოუმწვარსა ჭერანს, ასე რომ ქურა არ სცდება, ოღონდ კი ცეცხლი არ გამოხელდეს და მუშა მუშა ადგუნოს. მეორე გვარ ქურაში განელებას ზ დაცლას უცდიან, რომ ხელ-მეორედ ააუსონ და ახლად შეუკეთონ ცეცხლი. ეს ქურები ხშირად თხუთმეტიდან ოც ანძინამდე სიძაღლისანი არიან და შესაფერი სიგრძისა ზ სიგანისა; ასე რომ თითო ქურაში შეიდასიდან ათასხუთას ფუთამდის იწვის.

გამოუმწვარ კირს ეძახიან ნახშირ-მეავე კირს, იმიტომ რომ იგი შეერთებულია ნახშირ-მეავე ჭერთან. გარდა ამ ჭერისა, გამოუმწვარ კირში იმეოფება,

წვალი; როგორც ჭაერი, აგრეთვე წვალიც მხოლოდ კირის გამოწვის დროს ამოჭრება.

გამომწვარ კირს აქვს თვისება წვალი ხელმოკრედ შეისვას. კირს აუცილებლად განელებულს სძარობენ. განელება ანუ კირის გაქრობა ჭკვიან გამომწვარ კირსე წელის დასხმას. წვალი კირის ბელტებსა ჭუმუნის. დაუმუნილ კირს, როგორც სუვითა ვსთქვი, ქვიძაში ურევენ, წელითა ჭსელავენ და ისე სძარობენ. განელებულ კირს აქვს თვისება ხელმოკრედ შეისვას ნასშირ-მეავე ჭაერი, რომელიც ისე ამბავებს მას, რომ რამდენიმე ათი წლის შემდეგ კირი სოკ ქვასე მავარი ჭსდება. თუ ძველად ამუნებული ციხეები და კედლები გინახავთ და კირით შეკავშირებული ქვის მოკლეჯა დაგიპირებით, დარწმუნებული ვარ გავიჭირდებოდით და იტყოდით: რა მავრად არის ამუნებულიო.

ჩემი ოთახის კედლების ასამუნებელს მასალასე ვეულებ ვინაბე; კიდევ დაგვრჩა სხვა გვარი მასალა.

— ძე ვიტყვი... ფიცარი, არა?

— ჭო: ფიცარი, ჩარჩო, სასოკადლოთ, სე, და კიდევ... უროძელოდ ოთახი უმნიშვნელოა, განსაკუთრებით, წვიძაში, თოვლში, ქარში...

— ბუსარი.

— ეოჩად ვიგო, ეოჩად: ბუსარი ჭკვანა მასალანა?..

— არა, არა... და სირცხვილისავან გაწითლდა.



— ჭ-ე-რ-ი-ს დასასურადად...

— კრამიტი.

— ჭო, კრამიტი ანუ თუნუქა. გარდა ამისა, ფანჯრების შუშები, კლიტეები, ლურსმანი ჭ სსვა წვრილმანი. მძ შერ სესე ვილანარაკოთ. სომ ვინახავს სე?...

— სე?... გავეირვებით მკითხა გიგომ.

— ჭო. რა არის?

— მოდი, სანდრო, სის ამბავი საკუთაგოდ გადგუსდვათ. იცა, სანდრო? მესობლიანთ კოტე სომ ავთ არის: მინდა წავუდე, ვახსო. და თან ერთი თუადლი კარებისაკენ კწირა.

— კეთილი: წადი, ნახე.

გიგომ ძარდათ ქუდი დაისურა და მესობლისას გაექანა.


შენი მუკობა ანი.





ზიჟ-ლევანა.

(სურათები ყმაწვილების ცხოვრებიდან).



I

რიგინი მოისმა... აი, გაიარა ჩემ წინ ორმა ცხენოსანმა. ვდგე ვარ და შევეურებ; ორივეს კარგი ტანსახმოსი აცვია. დიდი და ჰატარა თოფებითა აქვთ დამშვენებული მხარბეჭი; მხრებსედაც უფრიალებთ სხვა-და-სხვა ფერი ფუნჯები. ერთის შესედულობით მხესაებ ელვარებენ, ასე გგონია, ციდან არიან ჩამოსულებიო. იმათი, ქაუპი გაცურებული, ცხენები ისე მიჭქროლავენ, თითქო დედამიწას სანსარი გააქვს...

ვრჩები გაბტყრებული, ძეტის სიამოვნებით ზირის წვალთ მოძდის.

— აჰ! ნეტარება იმათ! ვაძბობ ჩემს გუნებაში, და ისევ ისე გაშეძებული კი ვდგე ვარ.

— ნუ თუ არ შეძიძლიან მეც იმათსაებ ვიყო?

— დიასაც შეძიძლიან, ვუხანუსებ მევე ჩემს თავს და იმავე წამს ვმოულობ ერთ სუფთა ჯოსს, ამოვიჩრი ლაჯებში და დავჭენობ; ვცემ თანაც, რაც ძალი და ღონე მაქვს, ერთ ჰატარა წკეპლას და სირბილსაც ვუ-

მატებ. ვატეობ, რომ ბეჭერი სირბილით ფეხები ძაწედება, ოფლი მოძდის: განრასებული მოვისროლე ცხენიცა და ძათრასიც. გაუიქცი და მოვაჯექ ხენ ვირს. აი, ძეც ცხენოსანი ვარ, თუძცა კი ვირსე ვსივარ! დავუწეე გარეევა. უსვინიდიწო, ძლიერ ძძიძეთ ძიძის, გაჭენება არ უნდა; ვიწეობ ცხვირ-პირში დაურიდებლად ჯანის ცეძას. საბრალე ცსოველი, ილაჯ-გაწევეტილი, ძიჭენობს და ძე ძირს ბრავუნს მოვადენ. ცხვირ პირი სისხლში ძესვრება, გვერდები ძტეევა, ძუსლები ძიკანკალებს. ვნასოთ, გამოდის დედა ხეძი, ძსედავს ამ ძდგომარეობაში ჭ ორიოდეს კისერში იწიც წამოდისოძს, ძავრამ ძე ისევა ვბუტბუტებ:

— თუ ძე დიდი ვეოფილიევა, იძ უსიამოვნე ვირს ერთი კარგად ძიეჯანსაუდი და... და ხეძს ნებას პეისრულებდი...

II

ხეენი სახლის ძესობლად ძეჭურჭლეები იდგენს; ვსედაუდი ტალასში ძოთუთსნული სელებითა როვორ შროძობდენ. ის საწელები დღე-და-ღამე არ ისეენებდენ. აღტაცებაში მოვდიოდი, როდესაც ვსედაუდი სხვა-და-სხვა ნაირ ჯამებს, სურებსა და ქილებს, რომლებიც ერთი - ერთმანერთსე იეო დაწეობილი. დიდს ხანს ვიჯექი სოლძე პირ-დაღებული და გამტეერებული ძეეცქეოდი. ხეძთვის ძალიან სასიამოვნე იეო იძათი

მუშაობა, იმათი ტალახსი მოთხერილი სელები, მტვრია-
ნი ზიროს სახე, და სრულებითაც არ მესისლებოდა...

— აჰ, ვუიქრობდი მე: ნეტავი დიდი ვიყო! მაშინ...
მაშინ მეც სო ჩემის ნებით შევიძლებდი მუშაობას და
იმისთანა მშენიერი ჭურჭლის ვაკეთებას.

მაგრამ ამას არ ვჯერდებოდი. მაშინათვე ჩუმათ
წამოვადგებოდი ჭ ერთ სწორე ალაგს მოგნახავდი; კარ-
გა რო ვაწმენდი, ტალახს ვაკეთებდი და ნელ-ნელა
დიდინით მუშაობას ვიწყობდი.. მეჭურჭლეებისაგან ზა-
ტარ - ზატარა ჯამებსა და კულებს ვაკეთებდი, თუძცა
კი უშნოსა და ულახათოს, მაგრამ ჩემის აზრით ის
ათახჯერ უფრო კარგი იყო მეჭურჭლეებისაზე. რამ-
დენჯერმე კაბერილი ვავეულ-გამოვივლიდი და შემდეგ
ჩემ ამხანაგებს ვახეენებდი ჩემ ნაშრომ ნაჭირნახულეებს
და დიდ-კულად ვუთხნებოდი:

— ჰხედავთ, რა მშენიერი ჭურჭელი გამოვივანე?
მეჭურჭლეებს შეუძლიანთ, რო ესე ვაკეთონ?..

ჯერ სიტყვა არ დამისრულებია, ვნახოთ, საიდგან-
დაც გამოვარდებოდა სოლმე ჩემი უფროსი მძა ჭ სი-
ლის ცემით მუთხნებოდა:

„— ეს რა არის? სელები, ახალი გარეცხილი ტა-
ნისამოსი ტალახსი მოვისვრია?...“

მაგრამ მე მაინც კიდევ ტირილით ვიძახდი:

— მაშ მეჭურჭლეები ჭურჭელს რად აკეთებენ?..
თუ კი რო ისინი აკეთებენ, მე რატო არ უნდა ვა-
ვაკეთო?..



III

ყოველთვის, როცა დედა ხედი სიღს დაბრკობდა სოლძე, ძე ვეელანსედ ცოტას ძაძლეუდა. რასაკვირველია, ძაძინ ძე ბრახი ძომდიოდა, რადგან ვაძოსარხევი არ ვიუვაი; ძაგრამ შეძლეუძი ძივსუდი, რომ ვეელანსედ ჰატარა ვიუვაი ზ იძისათვის ძაძლეუდენ ცოტას. ბეგრჯერ ვიბუტებოდი სოლძე, როცა ცოტას ძაძლეუდენ რასძე. საძაგიეროდ, ამ კერზობისათვის ცუდათ ძეცეოდენ ზ წილსაც აღარ ძარგუნებდენ სოლძე.

ძეც, როცა ვხედაუდი, რომ ხეძი სიტევა ვოველთვის ვადიოდა, ვუძეოყილდებოდი და ერთი ლუეძითაც ვჯერდებოდი. ძაგრამ, სწორეთ ძოვაცსენოთ, ძალიან, ძალიან ჯავრი ძომდიოდა იძათსე, ვინც ძე ძაწუსებდა, ძაგრამ... ჰატარა ვიუვაი, ღონე არა ძქონდა, კერავისსედ ჯავრს ვერ ვიერიდი... ვაბრახებულ დროს თავს კელეებს ვასლიდი სოლძე; ძეუდამ იძათ რად უნდა ძიბრძანონ-ძეთქი...

ვეელანსედ ძე ძაბრალეუდენ: „ეძაწვილია, ის იქმადო.“ წაძსულელ-ძაძსულელი, ვეელან თავძი ძარტეაძდა, თითქო უნატრონო ვიუვაი... ამ დროს ძე ბრახი ძომდიოდა, ვბილეს ვაკრახუნებდი. ძივარდებოდი სოლძე ვინც ჰირველი ვაძაჯავრებდა, საცა. ძსუდებოდა, ვუბუნდი. აძიტოძაც ძე ძეტ-სასულად „ვიკ-ლეუანა“

დაძარტებს. საითაც არ გავივლიდი, „გოქს“ ძეძახდნენ. ამ სიტყვით გული მიდუღდებოდა, სიბრწისისაგან ტირილს ვიწყობდი და გაცეცხლებულს თვალებიდან ცრემლები მცვივოდა სოლმე. ამ დროს რომ ჩემი გული გაელა ვისმე და ჩაესედა, სათლად ამ სიტყვებს ამოკითხავდა: „აჰ! ზატარა რათა ვარ? უკვლამ ჩემსედ იძლოს, უბრალოდ მცემონ, რაც მინდა ვერ ვიძოვო, სული ამომბრთვან და ჩემი სურვილიც არ ამხსრულე ბინონ?.. აჰ! ჩეტავი დიდი ვიყო!.. როდის გავიხრდები?.. მაშინ მე ვიცი, რასა ვიქ!..“

6. მამულასიცი.



ხელმწიფის შვილი.

(ხალსური ზღაპარი).



ყო და არა იყორა, ლეთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეფე, ჰყავდა ერთი ვაჟი. სიკვდილის დღე რო მოუახლოვდა, დაიბარა თავისი შვილი და შემდეგი დარიგება მისცა: „შენს დღეში დასავლეთისკენ სანადიროთ არ წახვიდე და, აი, ეს კოლოფი კიდევ: გქონდეს შენახული და გახსენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალიან გაგი-

ქირდეს.“

მეფე გარდაიცვალა; როგორც ეუთენოდა, ისე დასაფლავეს. მეფის შვილი ძლიერ დაღონდა და შინიღამ კარში არ გამოდიოდა. მრთხელ რამდენიმე ნაზირ-ვეზირი შევიდნენ ახალ მეფესთან და სთხოვეს გარეთ გამოსულიყო, წასულიყო სანადიროთ საიტმე და გული გაერთო. მეფეს ძალიან მოეწონა ეს აზრი და მაშინვე თავისი ამალით წავიდა სანადიროთ დასავლეთისკენ.

მეფრი ნადირი დაჰხოცეს და დაბრუნდნენ სახლში. მზაში მეფემ მოკპრა თვალი დიდ მანძილზედ ორ კოშკსა და მოინდომა გაეგო, რა არის იმ კოშკში. სთხოვა ერთ ვეზირს წასულიყო და გაეგო. მეზირი დასთანხმდა, მხოლოდ მოახსენა:

—სამი დღის ვადა მიბოძეთ და, თუ ამ ხანში დავბრუნდი, ხომ რა კარგი, თუ არა და ცოცხალი აღარ ვიქნები“.

შავიდა სამი დღე და ვეზირი არსად გამოჩნდა. მეფემ გაგზავნა მეორე ვეზირი... მესამე, მეოთხე და არც ერთი არ დაბრუნდა. ადგა და წავიდა თვითონ. ქოშკთან რო მივიდა, კარებზედ შემდეგი წაიკითხა: „შემოხვალ—ინანებ, არ შემოხვალ და ინანებ.“

„—მ ხო ორივე ერთია, იფიქრა მეფემ—და ბარემ შევალ“.

შეალო კარები და შევიდა. ძარბშივე თორმეტი შეიარაღებული, ხმალ-ამოღებული, კაცი დახვდა, მოაწვლეს ხელი და წაიყვანეს. ბატარეს თერთმეტი ოთახი და მეთორმეტეში რო შეიყვანეს, იქ ერთი ოქროს ტახტი ნახა და ზედ შწოლიარე თვრამეტ-ცხრამეტის წლის ქაბუკი, რომელიც თვალეზ დახუჭული იწვა და არავის ხმას არა სცემდა. მეფეს უთხრეს:

— შენ ამას სამი კითხვა უნდა მისცე და, თუ არც ერთზე არ მოგიგო და პასუხის ღირსი არ გავხადა, ეხლავე თავს მოგკვეთ.

ღაღონდა ძლიერ მეფე და ვერაფერი ვერ მოიფიქრა, რა ეკითხა; ბოლოს მოაგონდა მამისაგან მიცემული კოლოფი. იფიქრა: „ამაზედ მეტ გაკირვებას საღ-ლა შევხედებ, თავსა მქრიანო.“ ამოიღო კოლოფი და გახსნა; იქიდგან ერთი ვაშლი ამოვარდა და ტახტზედ გორაობა დაიწყო. „აბა, ამან მე რა უნდა მაშეელოს“, გაიფიქრა მეფემ.

მაგრამ ვაშლმა დაიწყო ლაპარაკი და უთხრა ქაბუკს იგავი: „გზას ერთი კაცი თავისი ცოლით და ძმით მიდიოდნენ, დაუღამდათ და საქმელიც შემოაკლდათ. ძალის მაწლი ახლო-მახლო სოფელში პურის საზოგრაღ წავიდა; გზაში ყაჩაღები დახვდნენ, გაცარცვეს და თავი მოსქრეს. მაწლი რო აღარ დაბრუნდა, მერე ქალის ქმარი წავიდა; ისიც ამავე ალაგას გაცარცვეს და მოსქრეს თავი. მერე დღეს იმათ საძებნელად საწყალი ქალი წავიდა და ერთ ალაგას ნახა თავისი ქმარი და მაწლი თავებ მოკვეთილები; გარშემო სისხლის ტბა ედგათ. ღაღდა ეს ქალი, წაიშინა თავში და ტირილი დაიწყო. ამ დროს გამოძვრა თავის წრუწუნა და სისხლს ლოკვა დაუწყო. ძალიმა აიღო ქვა, ესროლა და წრუწუნა იქვე მოჰკლა. გამოძვრა დღე-თავი და უთხრა ქალს: — „დაგიდგა თვალი, მე ამას მალე გავაცოცხლებ, მაგრამ შენ კი რას უზამ შენ ქმარსა და მაწლსაო?“ ამ სიტყვით მოსწყვიტა ერთი ბაღახი, მოუსვა შეიღოს, გაცოცხლა და ორნივე ისევ სოროში შეძვრნენ. ძალს ძალიან გაუხარდა, ეს რო დაინახა; იმანაც მოსწყვიტა ის ბაღახი, თავები ტანს მიადო, მიუს-მოუსვა და გაცოცხლა. ქმარ-მაწლი გაცოცხლა, მაგრამ შეცდომით მაწლის თავი ქმარისათვის მიება და ქმარისა მაწლისათვის. — აბა, ბრძენო ქაბუკო! ახლა შენ მითხარ, რომელი იქნება ქალის ქმარი?“ დააბოლოვა ვაშლმა.

ჭაბუკმა აახილა თვალები და სთქვა:

— ის, რომელსაც მისი ქრმის თავი აბია.

მეფეს ძალიან გაუხარდა.

„ღურგალი, დერციკი და მღვდელი მიდიოდნენ გზასა, განაგრძო ვაშლმა. შთო ტყეში დაულამდათ. შაჩინეს ღიღი ცეცხლი, ივანშემს და მერე სთქვეს: „რომ ნადირმა არა დაგვაკლოსრა, მოდი სათითაოდ ვიღარაჯოთ!“ ჯერი ერგო ღურგალს. ღურგალმა მუქთად დგომას მუქთად შრომა ირჩია და გააკეთა ხის კაცი. მერე იმან დაიძინა და დარაჯობა დერციკს ერგო. დერციკმა დაინახა ხის კაცი, აიღო და ტანისამოსი შეუკერა და ჩააცვა. უკანასკნელი რიგი დარაჯობისა მღვდელს ხელა. როცა შეხელა, სთქვა: „მოდი ვილოცავ, რომ ღმერთმა ამ კაცს სული ჩაუდგას.“ ილოცა და მართლაც ისე მოხდა? — აბა, ჭაბუკო, ბრძანე, ვის ეკუთვნის ის კაცი?

— იმას, ვინც სული ჩაუდგა.

მეფეს იამა და იფიქრა: „ეს ორი!“

ვაშლმა კიდევ დაიწყო: „იყო ერთი გულთ-მისანი, ექიმი და ფეხ-მარდი. შულთ-მისანმა სთქვა: მადანი მეფის შვილი ძალიან ავად არის ამა-და-ამ სატყვიერთაო. ექიმმა სთქვა: „მე წამალი ვიციო.“ „მე კიდევ გავურბევინებო“, სთქვა ფეხ-მარდმა. ექიმმა წამალი მოამზადა, ფეხ-მარდმა მიასწრო. — ახლა შენ მითხარ, ვისი მორჩენილია ის მეფის შვილი? ჰკითხა დასასრულ ვაშლმა.

— მინც წამალი გაუკეთა! მიუგო ჭაბუკმა.

რა-კი სამი პასუხი ათქმევინა, ვაშლი ისევ კოლოფში ჩავარდა და მეფემ ჯიბეში ჩაიდვა. მწოლიარე კაცი წამოდგა, მოეხვია მეფეს და გადაკოცნა:

— რამდენი კაცი ეცადა და მე სიტყვა ვერ მათქმევინეს: რაც გინდა დამაეღლე, ეხლა ყველაფერს აგისრულებ!

მეფის თხოვნით მისი ნაზირ-ვეზირნი ისევ ვააცოცხლეს და ყველანი მდიდრად დასაჩუქრებულნი გამოგზავნეს...

ჭიანი იქა, დასინი აქა.

ქიტო იქა, ფქვილი აქა.

მ. ნასიძე.



ტ რ ი ა ლ მ ი ნ დ ო რ ზ ე .

(სურათები სოფლის ბავშვების ცხოვრებიდან.)

მს მოხდა თბილისის გუბერნიაში, ზორის მაზრაში... მათ საშინელ პაპანაქებაში სანადიროთ წავედი და დღე ისე გამომეპარა, რომ ვერა გავიგე-რა. სახლში დაბრუნება ვერ შევძელი, რადგან საშინლად დაღალული ვიყავი და, სწორე გითხრათ, 'გზის პოენაც, ცოტა არა, მეძნელებოდა. ჩემდა სასიხარულოდ, ჩემ შორი-ახლოს ცეცხლი შეენიშნე.. მივედი ახლო და ენახე, რომ სოფლის პატარა ბიჭებს მინდორში საქონელი გამოერეკათ და ამას უღარაჯებდნენ. შემოსხდამოდნენ გაძლიერებულ ცეცხლს და მინდორში ნაქურდალს ახლად შემოსულს სიმინდს სწვავდნენ.

სულ ხუთი ბავში იყო: თედო, პავლე, ილიკო, პოტე და ლექსო. ჭველაზე უფროსი, თედო, 14 წლისა იქნებოდა. ეს კარგი წამოსადგენი „ტალიკი“ ბიჭუნა სჩანდა; მის მოღორუბლულ შუბლის ქვეშ ლამაზი ჟუჟუნა თვალები გამოიციქროდნენ. მეორე ბიჭი, პავლე, ლაპარაკში სხვაზე მეტს ამპარტავნობას იჩენდა და მეტსაც ლაპარაკობდა. ჭველა ნიშნითა სჩანდა, რომ იგი მდიდარ ოჯახს ეკუთვნოდა და მინდორში ისე, გასართობად, გამოჰყოლოდა ბიჭებს. ამას ეცვა ზოლ-შემოვლებული ჩითის ხალათი და კანკებს მალალ ყელიანი ჩუსტები უმშვენებდნენ. მესამე ბავში, ილიკო, ერთი შეხედვით არ მოგეწონებოდათ, მინამ კარგა არ დააცქერდებოდით მის ცოცხლად და პირ-და-პირ მაცქერალ ბღღერიალა თვალებს. ამას ეცვა ჩითის ხალათი და ქაშრის მაგივრად ბაწარი ერტყა. პოტე მაკვირვებდა ჩუმი და მოწყენილი მდგომარეობით და შეწუხებულის სახით. სულ პატარას, ლექსოს, ხომ სრულიადაც ვერ შევნიშნავდი, პავლეს რომ არ მიგპატიუნა იგი დაბრაწულ სიმინდზე.

მე იქვე ჩირგვის ძირში მივწექი და ვაკვირდებოდი ბავშვე-



ბის მდგომარეობას. ცეცხლს ლულუნი გაჰქონდა და კარგა შორს აწვდენდა ნათელს. მელო დაჩოქილი სწევდა სიმინდს, პავლე მხარ-თედოზე წამოგორებულიყო, ილიკო პოტეს ახლო დაპირ-ქვევებულიყო და მელას მოძრობას თვალებს ადევნებდა. პოტეს ასკილივით ძირს ჩეკიდნა თავი და თითქო რალაზედაც ნაღვლობდა. ლექსო ადგილიდგან არ ინძროდა. მე თავი მოვიმძინარე... ბავშვები ისევე ალაპარაკდნენ: იტიკტიკეს ხვალინდელ მუშაობაზე, მამითაღზე და სხვა რამეებზე... ბოლოს ლექსო შეეკითხა ილიკოს:

- მაშ ეგრე-ჰა, შენ თვითონ ნახე ალი? *)
- არა, მე არ მინახავს... ბატონიანთ მოჯამაგირეს უნახავს, — მიუგო ილიკომ შეშინებულის ხმით.
- ალი უფრო რა ადგილას იცის? — ჰკითხა პოტემ ილიკოს.
- ძველ ნასახლარებში იცის ხოლმე განა, ილიკო? წამოიძახა ლექსომ.

— მღდ... ჩვენებიანთ ნასახლარშიაც იმდენი ალები ყოფილა, იმდენი რომ ჰა!.. ერთხელ მეც გავიფიგნე, აი, ალის ხმა...

- როგორ?... ძალიან, ძალიან დაიყვირა? ჰკითხა მელომ.
- აი როგორ იყო: ერთხელ შევიკრიფენით ბლომათ ბიჭები და ჩვენებიანთ ნასახლართან კეკე-მალულობას ვითამაშობდით... მითამაშეთ ბევრი, ვითამაშეთ და, როდესაც დავილაღენით, იქვე კედლის ძირში მივსხედით და ზღაპარს ვამბობდი... შეცრივ რალამაც ქვა გამოისროლა... ვუცქერით, ვუცქერით და ვერვივ კი დავინახეთ. ძიღვე გამოისროლა ქვა და, თითქო ცხვარი იყო, ერთი საშინელი დაიბლაღლა. ჩვენ შიშით გულები დაგვისკდა და შინისკენ გავიქეციით... ბიჭო, პოტე, აკი შენც იქ იყავი?

— ჰოდ, იქ ვიყავი... ი ვერანამ რო ჩახველა კიდესა!.. სთქვა პოტემ.

- არა, არ დაუხველეგბია, მაგრამ დაიბლაღლა კია.

*) ა ლ ი — მანდუჭრია; იმერეთში ქაჯს ეძახიან.

— დედა არ მომომიკვდება, მე თვითონ გავიგონე, რო ახვე-
ლებდა... აკი გითხარი კიდევ, ი ვერანა რალას ახველებს-მეთქი...

— უჰ, რა ვერანა რამა ყოფილა, — სთქვა მკრთალის და შეში-
ნებულის ხმით ლექსომ. — იცით, ბიჭებო, ალს ფეხებამდის თმები
აქესო აი... წამოილულლულა კიდევ ლექსომ...

— წიპრანავ, ეგ მე არ გითხარი! შეუტია პავლემ...

— დიდი ფრჩხილებიცა აქესო. იმ ფრჩხილებს ვინც დააქ-
რის, იმას ალი მოსამსახურედ წაჰყვებო, — სთქვა ილიკომ.

— ხერკელანთ დემეტრეს ემსახურება აი თურმე, — სთქვა ძო-
ტემ. სოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. თედომ ცეცხლი გააძლიერა.
ლექსო, აქამდის განაპირებული, პავლესა და თედოს შუა
ჩაჯდა და ზურგი ცეცხლს შეუშვირა.

— ბიჭებო! თქვენ ჩვენებიანთ მახარეს ხომ იცნობთ - აი
მეველეთაც რომ იყო?. იცით, ვგრე დაღონებული რათ დადის?
მრთხელ მახარე წასულიყო ტყეში წნელის მოსაჭრელად... მტა-
რებიანა აესულს, ეტარებიანა და ერთ დაბურულ ტყეში შეეყვა-
ნა.. მალე ღამესაც მოესწრო და მახარე კი ვედარ გამოსულიყო
ტყიდგან; იქვე პანტის ძირში მიწოლილიყო და ჩასძინებოდა.
შეცრივ ვიღასიც ხმა მოესმა თურმე ძილში... მოესმა ხმა და
მახარე ლომივით ზეზე წამოვარდა.. მიხედ-მოიხედა და, რომ
ვერავინ შენიშნა, ისევ ისე მიწვა დასაძინებლად.. მეორედ კი-
დედ მოესმა ხმა... მესამეთაც... მახარე წამოვარდნილიყო ფეხ-
ზე, კიდევ მიხედ-მოიხედა და პანტაზე ერთი გრძელ-თმიანი დე-
და-კაცი დაენახა.. თურმე ეს დედა-კაცი თმას ივარცხნიდა და
თან მახარეს ხელს უქნევდა— აქ მოდიო. ამას ძალიან შეჰშინე-
ბოდა და პირ-ჯვარი დაეწერა.. დაეწერა პირ-ჯვარი, ბიჭებო,
და ი ბებერ დედა-კაცს კანკალი დეეწყო და მერე ტრიილსაც
მოჰყოლოდა. მახარეს კიდევ დეეწერა პირ-ჯვარი.

— სამჯერ უნდაო, აი, პირ-ჯვრის დაწერა, — კანკალეებულის
ხმით წარმოსთქვა ლექსომ...

— ე წიპრანა რომ არ დააცდის კაცს ლაპარაკს?! შეუტის
ბიჭებმა... მერე, მერე, ილიკო, თქვი, გენაცვა!..



— დაიწერა, ბიჭებო, პირ-ჯვარი და ახსენა ზორი-ჯვრის წმინდა ბიორგი. ალი იმწამსვე გამქრალიყო და მახარესაც ებოვნა გზა და წამოსულიყო სახლში.

— ი დინ-ძაღლი, ის... როგორ ნდომებია და ქრიტიანი კაცის შეცდენა!.. სთქვა პავლემ.

— ჰიღვე კარგი, რომ პირ-ჯვრის დაწერა მოჰგონებია, თორემ შენი მტერი, რომ ის მახარეს წახდენდა.

— შგა თქვი და!!... იმ სატიალოს როგორი წერილი ხმა ჰქონია!.. თვითონ მახარემ ილაპარაკა: თურმე ისე წერილ ხმაზე გაჰკიოდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, — განაგრძო ილიკომ.

— ში-მე დედავ! აქაც რომ მოვიდეს, რალა გვეშველება, — სთქვა ლექსომ.

— ისეთ კტხა ვდრუზავ თაეში, რომ სთქვას: ეს რა დამემართაო, — დაუმატა თედომ.

ბიჭებო! მართლა აქაც არ სად იყვეს ალი?! — სთქვა პატემ.

— ალი განა ამისთანა ადგილებში დადგება? სამების ნიში თავს დაგეყურებს.

— სოტა-ხანს კიღვე სიხუმე ჩამოვარდა... შეცრივ, სადღაც შორს, მოისმა გაგრძელებული ხმა.. შეშინებულმა ბავშვებმა ერთმანერთს შეჰხედეს.. ლექსომ ხომ სული განაბა და თავ-ზარდაცემული თედოს ჩამოეკიდა კისერზე.

— რალაც ამბავია ჩვენ თავს — სთქვა ილიკომ...

— ალი არი?... მე შეშინიან აი... წამოიღულღულა ლექსომ.

— რისა გეშინიან? მახსენოთ აბა წმინდა ბიორგი, — სთქვა თედომ და სუყველანი მოყვნენ პირ-ჯვრის წერასა... მოისმა ყშილილი... ბავშვები აკანკალდნენ...

— ბესმით, ბიჭებო, თითქო მგელიაო, ისე დაიწყო ი სავერანომ ყშილილი, — წარმოსთქვა ისევე თედომ.

ლექსო ტირილს მოჰყვა და იმისი წითლად მოღაქდაყე ლოყები მკრთლად შეიღება.. მე ესენი ძალიან შემეცოდნენ და გასამხნევებელი სიტყვები არ დაეიშურე. მე კარვად ვიცნობდი

ტურის ხმას და ამისთვისაც თოვს მაღლა ავფუშვირე ტუჩი და საშინლად დაიქექა. ტურების ხმაურობა მისწყდა... ახლა ძაღლებმა შექნეს ყეფა და გაექანენ ქალებისკენ. ბავშვები სახტად დარჩნენ, მეტადრე მაშინ, როდესაც ძაღლების პირში გაპენტოლი ტურა დაინახეს...

მხლა კი, ცოტა არ იყო, დარწმუნდნენ, რომ აქ საშიშარი არა იყო-რა... ბავშვებს ვარწმუნებდი, რომ ალი და მაგისტანა მანე სულები არ არსებობენ ქვეყანაზე და ეგ მარტო უგონო კაცების მოგონილია. ლექსო სმენად ვადიქცა, მოიწმინდა ახალუხის სახელით თვალეში მოგუბებული ცრემლი.

— ღიახ, ღიახ... აქ, აი ამ ქალაში, იმტენი ალებია, იმტენი, რომ... სთქვა ლექსომ.

— მერე, ეგ შენ გინახავს? შევეკითხე მე.

— არა, მე კი არ მინახავს, მაგრამ ჩენებიანთ ზიგლას უნახავს, დასკიდებია კიდევ, დედა არ მომიკვდება!..

— სულელო! ზიგლას მოუტყუებინარ?

— შია-კოკონობა ღამეს მამა ჩემსაც ენახა ალი! მოიგონა პავლეშ.

— შია-კოკონობა ღამეს ძახიანთ საბედასაც ვოდრიდგან კატა გამოეყვანა, გადაჯდომოდა ზედა და მარცხენა ხელით მაგრა დაეჭირა; მარჯვენა ხელით კოკბის პირი აეხადნა და იქიდგან რალაც ამოეღო და ფეხებზე წაესო. მადაჯდომოდა კატას და საკომლიდგან ავარდნილიყო ზევით და ვინ იცის, საით გადაკარგულიყო.

— მერე, სუყველა ეს შენც დაინახე? შევეკითხა ძოტე.

— არა, ბიჭო, მამა ჩემმა ილაპარაკა; პირ-ჯვარიც დავიწვრიე.

მე ბევრი ველაპარაკე ბავშვებს და ვუმტკიცე, რომ სუყველა ეს ტყუილია.

პრ ვიცი, რამდენად გაფანტა ჩემმა ლაპარაკმა ბავშვების იტენულება; მხოლოდ ეს კი შეენიშნე, რომ ბავშვებს მანე

სულბზე კრინტიც აღარ დაუძრავთ... შრთი საათი მანც სიჩუმე ჩამოვარდა და დაქანცულ-დაწყვეტილ ბავშვებს ჩასთელიმათ კიდც...

II

მთვარემ დიდი ხანია ივანშმა და თავისი გაძლიერებული მოკაშკაშე ნათელი შესუსტა... ამის მაგივრად ცივმა ნიავმა დაიწყო ბერვა და ჩათვლემილ ბავშვებს აუწუნა ისეც აწეწილი თმები... მე თვალიც არ მიმილულავს... ნიდაყ-დაყრომილი წამოვწეკი იქვე ცეჯხლის ახლო და გულ-მოდგინედ ვაკირდებოდი ბუნების დაუდგრომელს სიმშვენეირეს და ბავშვების მდგომარეობას... თითქმის ორი საათი გაგრძელდა სიჩუმე და ბევრი ხანიც გაგრძელდებოდა, რომ პატარა ლექსოს ხმაურობაზე ერთი აღიაქოთი არ მომხდარიყო. ეს წამოვარდა უეცრივ და შეჰყვირა: „მიშველეთ, მიშველეთ, ალმა დამახჩო!..“ ბავშვები მაშინვე წამოცვიდნენ და მივარდნენ ლექსოს. ლექსო გულმიხდილი ევლო მიწაზე და ფართხალობდა... ბავშვების წივილი-კივილი შეიქნა... მივევარდი საშველად და, ბევრი მეცადინეობის შემდეგ, ლექსო მოვასულიერე. არ ვასულა ბევრი ხანი, როცა ლექსომ დაიწყო იმაზე ლაპარაკი, თუ მისი მკვდარი ბებია საფლავიდან როგორ წამომდგარიყო და ამისთვის ყელში როგორ წეეჭირა და საფლავისკენ როგორ ეზიდებოდა... ლექსოს მდგომარეობის მიზეზი აშკარა საქმე იყო: საკინძე მოსჭეროდა ყელში და სისხლი შეეფუბებინა მისთვის; ბავშვებმა კი სულ სხვა ხასიათი მისცეს ამ ამბავს და ერთი დიდი ბაასი შეექნათ.

ბეროზანთ სოლოსაც ეგ საქმე დაშმართოდა, აი, — დაიწყო პავლემ: სოლოს ენახა ჩენი წინანდელი ბატონი. ის ამდგარიყო საფლავიდან და თავჩალუნული აქეთ-იქით დადიოდა, თითქო ვისმე დაეძებო. სოლოს ეკითხნა: აქ რას აკეთებო, რა დაგკარგვია და რას დაეძებო?

— სოლომ სწორეთ ვერე უთხრა: — აქ რას აკეთებო? შოჩალ, ბიჭო! სთქვა თედომ.

— მერე, ბატონს რაღა ეთქვა?

— ბატონი ერთი კი აკანკალებულიყო და ისევ საფლავში ჩასულიყო.

ბავშვებმა კიდევ ბევრ-ხანს ილაპარაკეს და მათ ლაპარაკს მინდვრის გაძლიერებული ცივი ნიავი აძლევდა ბანს. აქამდის დაუჩინებლმა ბუნებამ თითქო ეხლა გაიღვიძაო და ბავშვებს სამსლაათო მასალა მისცაო.

— ი კუდიანმა ბებერმა, ახსნა თუ არა ღელა-მიწის სარკველი, ასეთი საშინელი ქარი ამოვარდა რომ! სთქვა ძოტემ.

— რას ამბობ, რა სარკველი ახსნაო? შეეკითხნენ ბიჭები.

— ბანა თქვენ არ გავიგონიათ?.. ღელა-მიწაში ერთი ბებერი ღელა-კაცი ზის და, როცა ის ღელა-მიწის სარკველს აჰხდის, მაშინვე ქარი ამოვარდება ხოლმეო და, როცა დაჰხურავს, ქარი მაშინვე ჩავარდებაო.

— ი ბებერი ღელა-კაცი ალი არი? ჰკითხა ლექსომ.

— ალია, თუ რაც არის, კუდიანი კია და...

— ქაცსაც ემტერება? ჰკითხა ძოტემ...

— აბა, ავი სული კაცს არ ემტერება?.. რას ამბობ, ბიჭო!..

— მხლა აქ ხომ არ მოვა? შეშინებულისა და დასუსტებულის ხმით სთქვა ლექსომ.

— აქ ვინ უნდა მოვიდეს, რას ამბობ? ეუთხარი მე.. შერი ამხანაგები გატყუილებენ: ღელა-მიწაში ღელა-კაცს რა უნდა?.. აბა, მე რატომ არ მეშინიან?

ჩვენ ხან-გრძლივ ლაპარაკს ძაღლების ყეფა მოჰყვა... ბავშვებმა გადაჰხედეს ერთმანერთს; ყველას ნაცრის ფერმა გადაკრა...

— აი, აი აესული მოჩანს თეთრად! დაიძახა თედომ... ბავშვებმა შეჰპორობდნენ. მე წამოვდექი ფეხზე და აქეთ-იქით ცქერა დავიწყე. მალე ფეხის ხმაც გავიგონე და ფეხი წინ წავდგი... ძაღლები დაიძრნენ ადგილიდგან და გაეკანენ ვიღაც მგზავრისკენ. თითქო ხმაურობაც ისმოდა, მაგრამ ნელი, რადგან, ძაღლების გაძლიერებული ყეფის გამო, ის ხმაურობა ჩვენამდის ვერა სწევდებოდა... ბავშვები სულ მთლად დაილინენ... მათ და-



სარწმუნებლად, რომ აქ არაფერი საშიში არა იყო-რა, ფეხი გა-
ვაჩქარე და ახლო იმ კაცთან მივედი. ძაცი პავლეს მოჯამაგი-
რე აღმოჩნდა; ის პავლეს საძებნელად გამოეგზავნათ და ბავშვებს
კი გულები დაუსკდათ...

მოკლეა ზაფხულის ღამეები... ბავშვების ლაპარაკი ცეც-
ხლთან ერთად ჰქრებოდა... რამდენადაც ოდნავ მზჭუტავი მთვა-
რის და ვარსკვლავების ნათელზე შეჰნიშნავდა კაცი, საქონელ-
საც და ძაღლებსაც მიეზუქათ თვალები. შიქრით გართულს, მეც
ჩამთელიმა, მაგრამ ცოტა-ხანს... შეტრივ ცივი ნიაფი მოჰბერა
სახეზედ და თვალები გამომაჰყეტინა.. ბათენბულიყო კიდეც.
წამოედექი და უძილობით ამღვრეული თვალები უკანასკნელად
გადავაფელ მძინარე ყმაწვილებს... წავედი მდინარისკენ და, მა-
ნამ პირს დავიბანდი, ბავშვებს კიდეც აქვალათ საქონელი და
„ოდელია“-ს ძახილით საძოვარზე მიერეკებოდნენ.

ს.დ. ნ.—ქ.

რუ ყინულ ძვეს.



არტო მყოფობამ დამწაგრა
და მომაძულა თავბელი,
და სულის დასამშვიდებლად
ნაცნობ რუს პირად განვედი.

ის რუ ზაფხულზედ მთებიდამ
ჩანჩქარით ჩამოდიოდა
და ქვებზედ მისი ზვირთები
პით მარგალიტი, სცივიოდა.

შესთამაშებდა ნაზ ბუჩქებს,
მის კიდეს გადმოყრდობილებს
და პირსა ჰბანდა შხეფებით
ყვავილებს, ჯგუფად წყობილებს.

ბულბულის სტვენა ბუჩქილამ
შორით შორს გაისმებოდა,
მას ყურს უგდებდა ტყე-ველი
და ნაზის ხმებით სტკებოდა.

მაგრამ დღეს აღარ ამშვენებს
მისს კიდეს ყვავილთა გროვა
და ყინულის ქვეშ მომწყვდეულს
თავს აწევს კმუნვა და გლოვა.



მიწილამ მესმის იმისი
 ჩათქრებული ღულღუნი,
 ხან ნაღვლით ამოძახილი
 და ხან კი მშვიდი ღულღუნი.

დაესტკერებივარ მას თავზედ
 და ვთქრობ: წავე ზამთარი,
 ქელავ გაცოცხლდება ბუნება,
 მნათობის სხივით გამთბარი.

ბამოიღვიძებს ჩემი რუც,
 მოიკაზმება ლამაზად
 და იადონიც დასძახებს
 ნაპირზედ ნაზად და ნაზად.

მაგრამ სულ სხვაა უძლოური
 უდამიანის თვისება:
 რა გული ფეთქას შეუწყვეტს,
 მას აღარ განელვიდება...

ცასკლი.



სის-ფერი კაბის ამბავი.

(ჩინეთური ანდაზა).



მდის ამისრულებ თხოვნას მამა-ჯან, ჰკითხავდა პატარა და ლამაზი ქალი, პეი-ლა, თავის მამას, ბრძენსა და პატივცემულს იანგ-წეს.

— რა გამოვიდა ახლა, რომ ერთადერთი შვილი გყვევარ მდიდარს მანდარინს *) შინ-ძოს და მთელი ჩემი სიცოცხლე უბრალო ჩითის კაბით დაგყვევარ, თითქო ღარიბი კაცის შვილი ვიყო! განაგრძო პეი-ლამ.

პეი-ლამ თავის ჩითის კაბას, პირის-ფრად მშვენიერად ნაკერს, გაჯაერებით დაჰკრა დიდი მარაო, რომელიც ხელში ეჭირა.

— მოთმინება იქონიე, უპასუხა დამშვიდებულის ხმით მოხუცმა იანგ-წემ: მალე შეგისრულებ გულის წადილსა.

— მაშ მალე წამიყვან, მამა-ჯან, იაპონიის მდიდარს ვაჭართან ჟული-ნიოსთან საკაბის საყიდლად? დაეკითხა სიხარულით განებიერებული შვილი.— ჩემი ამხანაგი ქალები ბინ-ზოა, შინგ-ლიანგ და მინგ-შა, ყველანი იქა ჰყიდულობენ ხოლმე ფარჩეულობასა. ამას წინად სასახლეში, დიდი დღეობის გამო წვეულება რომ იყო გამართული, იმ დღისათვის ყველა ქალებმა ამ ვაჭრისაგან იყიდეს საკაბეები.

— ჟული-ნიოსთან ჩვენ რა გვინდა, უიმისოდაც მოვანერხებთ და ვიშოვით ფარჩებსა. აი ხვალ დილას ჩემს დიდს ბაღებში წამოდი, ქალაქს გარეთ რომ მაქვს: იქ ნახავ იმას, რაც გინდა, უთხრა მამამ შვილსა.

პეი-ლას სიხარულით მთელი ღამე არ დაუძინია. მამის ბაღები ჯერ არ ენახა და თვალ წინ მშვენიერად გამართული ედ-

*) მანდარინი—მალაღი ხარისხის წოდება ჩინეთში.

მი ეხატებოდა: ვითომ ეაზის ჯიხურებია (კოშკები), შიგ უზარ-მაზარი გალაქული სტოლები და ზედ ათას-ნაირი, ფერად-ფერადი ფარჩეულობა გაფენილია. პეი-ლა თავის პატარა ტახტზე კონტრილებდა და ჰფიქრობდა: ახლა რომელი ამოვიჩიო ამათში?.. მოდი პირის-ფერს თხელს აბრეშუმის საკაბეს ამოვიჩიე, საზამის ყვეილის მსგავსს!.. თუ თეთრი აბრეშუმისა სჯობს, მწვანე გველაშაპებიანი, მანდარინის ტაი-მიუს ცოლს რომ ეცვა, იმისთანა?.. ისეც მკრთალი ლურჯი ატლასისა სჯობს, ოქროს-ფრად რომ უზის მშვენიერი ვარსკვლავები, ცის კამარას რომ ჰგავს!.. რა ექნა, რომელი სჯობს ამათში, რომელი ამოვიჩიო?.. მჰ, ისეც ცის-ფერი სჯობს... ზათავდა, ეს მიჩიენია!

მეორე დღეს განარებული პეი-ლა ჩაჯდა ტახტრევენში და თავისი გამდლით მამის ბაღებისაკენ გასწია. იანგ-წე გათენებისასვე ბაღში მისულიყო და მუშებს ადგა თავზე. ბაღის კარებთან რომ მივიდა პეი-ლა, ერთი საშინლად დაიწივლა: „ეუი, შენ ჩემო თავო!“ ზანა ამისთანა ბალი ეგონა პეი-ლას მამის ბალი? სად არის მშვენიერი, ბაირაღებით მორთული, ჯიხური? სად არის პაწაწა ტბა და ზედ ხილი გადაგდებული? პატარა-პატარა ხეები სადლანა? შრთი ისეთი უცნაური ბუჩქიეც არსად იყო, გველგეშავს რომ მიაშგავსებენ ხოლმე კარგი მოხელე მებაღები! ეს არის მამას ბალი?! იმის მაგიერად, რომ ზღაპრულად მორთული მშვენიერი წალკოტი ენახა პეი-ლას, ნახა მხოლოდ ისეთი ადგილი, საცა ბამბა და ბრინჯი ეთესა და თუთის ხეები იდგა. აქა-იქ რუები ჩამოუდიოდა და ვერცხლებრივ ბრჭყვილა ნაკადულები საზრდოს აძლევდნენ ამ ფრიად სასარგებლო მცენარეთ... მჰ, რა ნაირად შესწუხდა პატარა პეი-ლა!

— რას იტყვიან ახლა, ბინ-ზოა, მინგ-შა? შინ იცის, რა ნაირად დამცინებენ!

— პეი-ლა ტახტრეენიდან ჩამოხტა, გამოძერა დიდ ქოლგიდამ, რომელიც გამდელს პეი-ლას თავზე ეჭირა, თავისი პაწაწა სწრაფი ფეხებით გაექანა მამისაკენ და ბევრი უსაყვედურა.

— მჰ, მამა! რა არის ეს საძაგელი ბამბის ბუჩქები, ეს გუ-

ლის მომკვლელი ბრინჯი და² ეს მუდამ გათეთრებული თუთის ხეები! რად გინდა, რა ექნა?!

— წრეულის ცივი ზამთარი იყო, ჩემო შეილო, უპასუხა დინჯათ მოხუცმა. სხვა-და-სხვა გამოუსადეგარს სამკაულსა და მორთულობას ბამბა მირჩენია, რადგან შემძლია ღარიბები შევმოსო და ცივ ზამთარში ბამბის ტანისამოსით გავათბო. ბრინჯიც იმისთვის არის კარგი, რომ ღარიბებს შიმშილისაგან გადავარჩენ. მანა შენა გწყინს, მე რომ ღარიბებისათვის ვზრუნავ?

— არა მწყინს, ჩემო კარგო მამა, დაფიქრდა პეი-ლა და ისე უპასუხა, მაგრამ... რაღათ გინდა მაშ, ეს რაღაც თუთის ხეებია? ნინგ-წემ გაიღიმა.

— პეი-ლა, პეი-ლა, რა მოუთმენელი ბავშვი ხარ!

მშვენიერი ოქროს ფერი თმა კისერზე ჩამოუდიოდა პეი-ლას; მამამ თავზე ხელი მოუსვა და უთხრა:

— როცა გაიგებ, თუ რა განძია ამ თუთის ხეებში, მაშინ შენ ესენი უფრო მოგეწონება, ვიდრე ლოტოსის ყვავილი და ჩაის მცენარე.

— რა განძი უნდა იყოს ამ ხეებში, რას ამბობ, მამა-ჯან?

— აი, ჩემო ძვირფასო: ამ ხეებიდამ გამოვიტანთ ჩვენ იმ ცის-ფერ ატლასის საკაბებს, რომელიც შენ ასე გენატრება და რომელსაც დაგპირდი მე შენ.

პეი-ლამ განცვიფრებით შეაჰყიტა მამას თავისი პაწაწა თვალები, წარბები მალლა აიწია და ბოლოს წარმოსთქვა:

— ღამცინი განა, მამა!

— არა, ჩემო კარგო... აქეთ მოდი ნინგ-პო, დაუძახა ნინგ-წემ თავის მებაღეს: აჩვენე ამ უმცვარს ბავშვს ეს ძვირფასი თესლები, ხელში რომ გიჭირავს.

პეი-ლამ მებაღის დახრუკულს ხელში ათასამდე პაწაწა მარცვლები დაინახა. რას მოასწავებდა ეს თესლები?

— რა არის? იკითხა პეი-ლამ.

— მერ მიხვდი?— აი ჩემო შეილო: ნინგ-პოს შენი ატლასის საკაბე უჭირავს ხელში.



— რა არის, მამა, ასე რად მეხუმრები, რად დამცინი?

— არა; არც დაგცინი და არც გეხუმრები. პი, ჯერ მზემ თავისი გაელენა იქონიოს და მერე იქნება დამიჯგრო.

პეი-ლას არ ჰქონდა იმედი, მაგრამ რაკი მამის სიტყვები ყოველთვის სჯეროდა, მოთმინებით მოელოდა იმ დღეს, რომელიც მამამ ბაღში მოსასვლელად დაუნიშნა მას. ის დღეც დადგა. პეი-ლა მივიდა ბაღში, მაგრამ თესვები აღარსად იყო. იმათ მაგიერ თუთის ხესა თავიდან ბოლომდე მრავალთ-უმრავლესი პატარ-პატარა კიები აჯდა.

— ოჰ, რა საძაგელი კიებია ამ თუთის ხეებზე; ეგ-ლა აკლდათ, აი! წამოიძახა პეი-ლამ.

— მართალს ამბობ, ჩემო კარგო. ის პაწაწინა მარცვლები ამ კიებათ რომ არ გარდაქცეულიყვნენ, შენი სანატრელი ატლასის საკაბე აღარსად იქნებოდა.

პეი-ლამ გაიღიმა, ეგონა კიდევ მეხუმრებო.

შოველს დღეს დადიოდა პეი-ლა ბაღში ამ კიების სანახავად, თუმცა კი იმათი ნახვა ძლიერ ეზიზღებოდა. პაწაწა კიები, დლითი დღე კი არა, საათობით იზრდებოდნენ. იანგ-წემ დიდი ყურადღება მიაქცევინა შეილს.

— რა გასაკვირველია, ამბობდა პეი-ლა, რომ ასე სწრაფად იზრდებიან: რასაც ეს წუწუკი კიები სქამენ! რა ნაირი ფუს-ფუსი გააქეთ! რა ნაირად ხმაურობენ... ოჰ, რა საძაგლები რამ არიან. ახლა კი მეცოდება შენი საწყალი თუთის ხეები ამათი გადამკიდე, მამა!..

— რა გაეწყობა, ჩემო კარგო, უნდა ვასაზრდოვო ჩემი პაწაწინა მუშები, რომელნიც ასე გულ-მოდგინეთა და დაუღალავათ მუშაობენ ჩემი პატარა ქალისათვის.

ამ ნაირად ერთს თვეზე მეტმა გაიარა. შრთხელ დილით იანგ-წემ უთხრა პეი-ლას: აბა, დააკვირდი ამ კიებს. ხომ ნახე რამოდენჯერმე კანი გადიძვრეს; ოთხ-ნაირი ტანისამოსი გამოიცვალეს; როგორც ერთი დაუფიწროვდებოდათ, მეორეს იცვლიდნენ და, აი, ახლა ეს მეოთხეთ გამოიცვალეს, მეოთხე კანი

გადიძვრეს. ახლა ეს ქიები ათასჯერ უფრო დიდები არიან, ვიდრე დაბადების დროს იყვნენ.

— ძალიან კარგი. ძლივს მოისვენებენ საწყალი თუთის ხეები, როცა ამ ქიებს მოიშორებენ. მეღარ უძლებენ ამ წუწკებსა! შეჰხედე, ამ გაუმადღრებს ფოთლები როგორ დაუქამიათ; ისე გაუხდიათ, თითქო ბადე იყოსო, ან წვრილად ნაქსოვი ლეჩაქის არშია!

— მოთმინება იქონიე და თავის დროზედ ნახავ, რომ თუთის ფოთელი ატლასად გადაიქცევა, პეი-ლა, უთხრა მამამ: ეს ჩინეთური ანდაზა.

— ოჰ, მამა, რა გაგიხდა ეს ჩემი ფარჩის საკაბე! სად ატლასი და ფარჩა და სად ეს საძაგელი ქიები! გაბუტვით უთხრა პეი-ლამ მამას.

— შრთი კვირა კიდე მოითმინე, ჩემო შეილო, უპასუხა მოხუცებულმა. ჩემი პატარა ფეიქრები შუა მუშაობაში არიან, ცოტა-ლა უკლიათ გათავებამდინ.

შრთი კვირის შემდეგ იანგ-წემ ყაქის პარკი მიუტანა პეი-ლას. პეი-ლამ დიდის ყურადღებით მოისმინა, როგორ ახვევენ სამუხველზედ აბრეშუმსა და სიხარულით შეუდგა საქმეს.

— ოჰ რა წმინდა ძაფებია, იძახდა განცვიფრებული პეი-ლა: რომელი-ერთი კარგი შრთველი მოახერხებდა ამისთანა წმინდა ძაფის დართვას, ამ საძაგელმა ქიებმა რომ მოახერხეს.

— აბა, პეი-ლა, მართალს გეუბნებოდი თუ არა, უთხრა სამის თვის უკან იანგ-წემ, როცა პეი-ლას ვარსკვლავებით შემკული ცის-ფერი ატლასის საკაბე ხელში ეჭირა. ის საკაბე იმ ძაფებით იყო ნაქსოვი, რომელიც პეი-ლას „საძაგელმა“ ქიებმა უძღვნეს.

— ოჰ, მამა, ეს რა კარგი რამ მასწავლე. ამას იქით ყოველთვის მომეცი ხოლმე ამისთანა სასარგებლო გაკვეთილები, უთხრა პეი-ლამ.





მამის ბალებიდან პეი-ლამ მარტო ფარჩის საკაბე კი არ შეიძინა. მან იქ ისწავლა ავისა და კარგის გარჩევა, საქმის მოთმინებით დაკვირვება; სხვა-და-სხვა საყურადღებო საქმეების დანახვით გონება გაეხსნა, გამოცდილი ქალი გახდა. რადგან თვითონ გამჭირახე იყო, მამაც განვითარებული და გამოცდილი მასწავლებელი ჰყავდა, პეი-ლამ მოკლეს დროში ბევრი სამეცნიერო საგნები შეისწავლა. ღიდის ყურადღებითა და სიხარულით ისმენდა, რასაც მამა ასწავლიდა.

ამ ჟამად პეი-ლა მეცნიერი მანდარინის ცოლია, დიდად პატიოსანი და გონება გახსნილი, ასე რომ ნასწავლ და განათლებულ ქალად ითვლება იმ მხარეს, სადაც იმისი ქმარი მმართველად არის.

მამისაგან შეძენილის სწავლის ნაყოფით მარტო თვითონ კი არ ჰსარგებლობდა პეი-ლა: ბევრი სხვაც გაანათლა ამ სწავლით. ზოგიერთები ხან-და-ხან ვერ ითმენენ და ისე შორი-ახლოდამ ჰკითხვენ ხოლმე პეი-ლას, თუ სად შეიძინა ამ გვარი სწავლა-განათლება და გამოცდილება. პეი-ლა თავისი ძვირფასი მამის საყვარელის ანდაზით უპასუხებს ხოლმე:

„მოთმინება იქონიე და თავის დროსად ნახავ, რომ თუთუის ფოთელი ატლასად გადაიქცევა.“

კლუხე ღორთქიფხინძისა.

ლოკოკინა და მარდის ბუჩქი.

(ანდერსენის ზღაპარი.)



ამაჲ ბაღს გარს თხილნარი შემორტყმოდა. თხილნარს იქით გაშლილიყო მინდორ-ველი, სადაც სძოვდენ ძროხები და ცხერები. შუაში, სულ ერთიანად აყვავებული, იდგა ვარდის ბუჩქი. მარდის ბუჩქს ქვეშ ეგდო ლოკოკინა. ამ ლოკოკინას ძალიან ბეჭრი რამ ჰქონდა შიგნით: გამოტენილი იყო თავისი თავითვე.

— მითი მაცალეთ, ერთი მაცალეთ! შადა მომეცით, ჩემი დროც მოაწევს, — ამბობდა ლოკოკინა. ჩემგან, იმედია, უფრო მეტი ხეირი იქნება! მე მარტო ვარდებსა და თხილს როდი მოვისხამ, არც ცარიელ რძეს ვიწველი, როგორც ი ვარდის ბუჩქები, თხილნარი, ძროხები და ცხერები სჩადიან!.. ჩემგან დიდი მეტი ხეირი იქნება!

— მე ამისაგან, მართლაც რომ ბევრს მოველი, ძალიან ბევრს! ამბობდა თავისთვის ვარდის ბუჩქი. შემდეგ ვარდის ბუჩქი მიუბრუნდა ლოკოკინას და ჰკითხა:

— მითი მიბრძანეთ, გეთაყვა: როდის-ღა გამოჩნდება, რასაცა მაღაფთ?

— მე არ მეჩქარება, მიუფო ლოკოკინამ. დახე, რა მოსწრაფებული ხარო! ან კი რა არის, აგრე რომ ეშურებით, ვერ გამოიგია! ხომ სულ ერთია: ამით არაფერს ერთი ნამცეცი არა მოემატება-რა!..

მეორე წელიწადს ლოკოკინა თითქმის ისევ იმავე ფოთოლზე ეგდო, მზეზე, ვარდის ქვეშ. მარდის ბუჩქი კი ისევ კოკრებს ისხამდა და ისევ ახალს ქორთვა ვარდებს იშლიდა. ლოკოკინა თავის პაწია სახლიდამ ნახევარზე გამოძვრა, წამოჰიმა რქები, გაანძრ-გამოანძრია და ისევ უკან მიიმაღა.

— შევლავფერი ისეც ისეა, როგორც შარშან იყო, თქვა მან. მარდის ბუჩქმა თავის ვარდებით შეგვაწუხა! მტყობა, მეტს ველარ წაიწეეს!

ზაფხული გავიდა, გავიდა შემოდგომაც. მარდის ბუჩქი შლიდა და შლიდა ნორჩ კოკრებს, სანამ არ ჩამოთოვლა, სანამ ნოტიო და ცივი ტაროსი არ დადგა.

სიცოცხლეში ბუჩქი მიეკრო მიწას და ლოკოკინა კი შეძერა მიწაში. მოვიდა ახალი წელიწადი, დადგა გაზაფხული. აყვავდა ვარდები, გამოძვრა ლოკოკინა.

— თქვენ ახლა მოხუცებული ბრძანდებით! უთხრა ლოკოკინამ ვარდის ბუჩქს: დროა, რომ მოისვენოთ. მეც, თქვენ მიეცით ქვეყანას ყველაფერი, რაც გაგაჩნდათ, და, აბა, რა ხეირი ჰნახებით? მე, რასაკვირველია, არ ვიცი, რა ხეირი გამოვიდა და სამაგისოდ არც მეცალა, მაგრამ იმდენი მანც მესმის და გაგეგება, რომ დარწმუნებით შემძლია ვსთქვა: თქვენ არაფერი არ გაგეკეთებიათ თქვენი გონების განსავითარებლად! ღიად, თქვენ არაფერი გაგეკეთებიათ თქვენი გონების განსავითარებლად, თორემ, სხვაფერ რომ იყო, თქვენგან რამე მანც გამოვიდოდა. შეგიძლიათ მისცეთ თქვენს თავს თქვენი საქციელის ანგარიში? თქვენ ხომ, აგერ საცაა, სულ უბრალო ჩხირად ვადიქცევით!.. ხომ გეყურებათ, რასაც გეუბნებით?

— თქვენ მაშინებთ, სთქვა ვარდის ბუჩქმა: მე მაგაზე არასოდეს არ მიფიქრია.

— ამაზე არასოდეს არ გიფიქრიათ? ჰო, რასაკვირველია! ფიქრით თქვენ საზოგადოდ არასოდეს არ შეგიწუხებიათ თავი! აბა, მითხარით, მოგსვლიათ როდისმე თავში იმის ანგარიში, თუ რისთვის ჰყვავით, ან რა გემართებათ აყვავების დროს? რატომ ასეა და არა ისე?..

— არა, უპასუხა ვარდის ბუჩქმა. მე ვყვავი სიხარულით, აღტაცებით და სხვაფერ აყვავება არც შემძლია. მზე ბრწყინავდა და მათობდა, ჰაერი მაგრილებდა. მე ვეწაფებოდი კამკამ ნამს და ძლევა-მოსილ წვიმას; მე ვსუნთქავდი, ვსტოცობოდი! ძალა

ამომდიოდა მიწიდან, ძალა ჩამომდიოდა მალლიდან: მე ვგრძობ-
ბდი სულ ახალს და ახალს ბედნიერებას, რომელიც წამ-და-წამ
მემატებოდა.—აი, ამ ბედნიერებამ ამაყყავა. ეს იყო ჩემი სიცო-
ცხლე და სხვაფერ ცხოვრება არც შემძლო.

— ძალიან საამო სიცოცხლეა, თქვენმა მშემ! სთქვა ლო-
კოკინამ.

— ჰო-და! რა თქმა უნდა, საამოა! უბასუხა ვარდის ბუჩ-
ქმა, ჭველაფერი მოცემული მქონდა, მაგრამ თქვენ უფრო მე-
ტი გაქეთ ნაბოძები. თქვენ ერთი იმ ღრმა-ჭაჭრიანი ბუნების
პატრონთაგანი ბრძანდებით, ერთი იმ მაღალ-ნიჭიერ არსებათა-
განი, რომლებიც გააოცებენ ქვეყნიერებას!

— ეს მე სულაც არ შემეხება, სთქვა ლოკოკინამ. ჭვენიე-
რებასთან მე არაფერი საქმე არა მაქვს. რა ეუყო ქვეყნიერებას,
რად მინდა მე ის? ჩემი თავიც მეყოფა! ჩემთვის ისიც საკმარი-
სია, რაც ჩემშივეა.

— ძარგი, მაგრამ ეს მითხარით: განა ჩვენ აქ, ამ ქვეყნად,
არ უნდა მივცეთ სხვებს ყველაფერი, რაც კი საუკეთესო მო-
გებოვება? ბანა სხვებს არ უნდა მივსცეთ ყველაფერი, რაც კი
შეგვიძლია! რასაკვირველია, მე მარტო ვარდების მეტს არას
ვიძლეოდი! თქვენ კი, ჩემო ბატონო? თქვენ, აგრე უხ-
ვად დასაჩუქრებულს, რა მიგიციათ ქვეყნისათვის, რას აჩუქებთ
მას?

— რა მიმიცია, რას ვაჩუქებ? ძალიან საჭიროა!.. ჭვეყანა
ერთ ფარად არ მიღირს. რა ხელი მაქვს მე იმასთან! ისხით ვა-
რდები, თუ თქვენი ნება! ამაზე მეტს ხომ ვერც შესძლებთ,
რომ რამე გააკეთოთ. ღაე, თხილმა თხილი ისხას, ძროხებმა და
ცხვრებმა რძე იწველონ, იმათ ყველას თავის მუშტარი ჰყავთ;
ჩემი მუშტარი კი ჩემშივეა! მე შევდივარ შიგ ჩემშივე და იქ
ვიმალები. ჭვეყანასთან, აბა, მე რა ხელი მაქვს! სთქვა ლოკო-
კინამ, შებრუნდა სახლში და კარები შეიფლოსა.

— მეწყინა, თქვენ ნუ მომიკვდეთ! სთქვა ვარდის ბუჩქმა:
ძალიან მეწყინა! აი მე, რამდენი არ ვიგულსმოდგინე, რა არ

ვეცადე, მაინც არ იქნა და არ იქნა: ვერ შევიძელი, ვერ ჩაეძვერი ჩემ ქერქში. სულ ვარედ ვარ, სულ ვარდებს ვისხამ და ვისხამ,—ასეთი ყოფილა, სჩანს, ჩემი ბედის-წერა! მარდებს დასცივია ხან-და-ხან ყველა ფურცლები და ქარი ამ ფურცლებს ყოველ მხარეს წაიღ-წამოიღებს, მაგრამ სამაგიეროდ, მართალია, ისიც ვნახე, რომ ერთი ვარდი ჩაუდევს ლოცვანში ვიღაც კოპწია ქალბატონს; მეორეს ერგო ადგილი ტურფა ყმაწვილი ქალის გულზე, მესამეს კიდევ ჰკოცნიდნენ პაწიას ნორჩი ტუჩები ისეთის ცხოველის, ისეთის ნათელის სიხარულით... შერთიც ხელში ჩაუვარდა მიუწუნულ ავად-მყოფს, რომელიც ხან ჰსუნავდა და ხან ჰკოცნიდა... ჩემთვის ეს ისე ტკბილი იყო, რომ ვერც გამოძითქვამს. აი ჩემი მოგონებანი, აი ჩემი სიტკბოე! და ვარდის ბუჩქი ისევ ყვავოდა და ყვავოდა გულ-ალალად მზიარული; ლოკოკინა კი სულ ეგდო და შინ კარ-შევეტელი ნებეგობდა.

ლოკოკინას რა საქმე ჰქონდა ქვეყნიერებასთან: მას ქვეყანა ფეხებზე ჰკილია!

ბევრმა ხანმა გაირბინა. ლოკოკინა მიწაში მიწად იქცა. ის ვარდიც, კოპწია ქალბატონის ლოცვანში რომ იყო ჩატოვებული, დაქცა, მაგრამ ბაღში ისევ ჰყვავოდა ახალი ბუჩქები, ბაღში ისევ იზრდებოდა ახალი ლოკოკინები.

და ეს ლოკოკინები ისევ ძვრებოდნენ თავიანთ პაწაწკინტელა სახლებში, იმათაც ფეხებზე ეკიდათ ყველაფერი, თუ რამ ცხოველია; მათ რა ხელი აქვთ ქვეყნიერებასთან!

— ნეტა რა იქნება, ხელ-ახლა რომ თავიდანმე მოეყვე ამ ამბავსა?...—შერთი ნამცეცის ოდენაც არ შეიცვლება.

გრ ვოლსკი.



ყვავი და სურა.

(მედიანტისთვის დაწერილი)



რისა ყვავსა სიცხისაგან მოსწყუროდა ძლიერ წყალი.
 მინდორში სურა ენახა, თურმე შიგა მდგარა წყალი;
 მაგრამ ეინ უშველის მასა,
 ან ეინ ამოუღებს წყალსა?
 ბარს უვლიდა დიდხანს ყვავი,
 პერ უბოვნა სურას მტერალი.
 დიდხანს სურას აწვებოდა,
 მის წაქცევასა ლამოდა;
 ღონეც იმდენი არ ჰქონდა,
 ბაჯაერებული დარბოდა...
 ბოლოს, დიდი ფიქრის შემდეგ, მან კენჭები მოაგროვა.
 მერე, როცა მოიდროვა, შიგ სურაში ჩააგროვა.
 წყალმა ზევით აიწია,
 შეემა თავი წაიწია;
 თავი ჩაჰყო სურაშია,
 ბემო გაუჯდა ტანშია.

გ. ს. ა. კუჭუაძე ილია.



როგორც ვხედავს შეითხველი, ამ ლექსის შინაარსი ამოღებულია „დედა-ენიდან.“ ამის გამლექსავი თბილ. სახელოსნო სკოლის მოსწავლეა.

ჩიტიის უაჟა.

(სურათები ყმაწვილის ცხოვრებაში).

I

მნების კვირის საღამოს სოფლის ბიჭები შეიკრიბნენ საყდრის მოედანზე და პირობა მისცეს ერთმანერთს, რომ ჩიტის ფაფის მოსახარშავად შეშის გულურეები გამოეტანათ ტყიდგან. ამიტომ ერთს მათგანს უნდა ყველა გაეღვიძებინა.

მართლაც, ჯერეთ მამალს არ ეყივლა, ერთი გლეხის სახლის წინ დაებნენ ძაღლები, ასტეხეს საშინელი წკაცწკავი. ძაღლების ხმაურობაზედ სახლიდგან ღურა-ტყავში გახვეული, ყავარჯენზედ დაბჯენილი მოხუცი გამოვიდა და ბოხის ხმით შესძახა:

— შინა ხარ? რაზე აყეფებ ამ ღროს ამ ოხერ-ტიალეზსა?..

— მე ვარ, პაპავ, უპასუხა თეთრ-ოხიანმა ნაბლი-ქუდა ბიჭმა.

— მერე, რა გინდა? მხლა რა ღროს ძახილი გაქვს! ამ ღროს ჩიტიც კი თავის ბუღეშია და შენ რას დაჰწანწალებ კარი-კარს?

— შენი ჭირიმე, პაპავ, თქვენი მიხა გააღვიძე: ხვალე ჩიტი ფაფობაა და ტყეში შეშის გულურაზე უნდა წავიდეთ! ეხვეწებოდა ბიჭი.

— შე კაი კაცო, ჯერ ხო ცაში ნათელიც არ გამოჩენილა, რა ღროს შეშის გულურაა!.. წადი, წადი!.. მართი პირი ჩაიძინე და მერე მოდი! ურჩია მოხუცმა.

თომიკო—ასე ეძახდნენ ამ ნაბლი-ქუდა კოხტა ბიჭს—გულნაწყენი გაბრუნდა ახლა მიგანათას. ძარებიდგან რომ ძაღლების შიშით ვერ მივიდა, სახლს უკანიდან მოუარა და „გვერდ-კარიდგან“ (სამეზობლო) შესძახა:

— ბიგო!.. ჰეი, გიგოლო!!.. ბიჭო, პირობაზე როგორა ხარ? ტყეში არ მოხვალ?.. მე კი სულ მზათა ვარ და!..

— აი, აი, ამ წუთას!.. თქვენი კირიმი, ბიჭებო, უჩემოთ არ წახვიდეთ! ეხვეწებოდა ბიგო, რომელსაც ეგონა, რომ ყველანი მზად არიან იმის გარდა.

ბიგო საჩქაროდ წამოხტა, აანთო კრაქი, მარდათ ტანთ ჩაიკვა, წელზედ თოკი შამოიჭირა, ჩაირქვა შიგ წალდი, ვარკლიდგან დაწითლებული მქადი ამოიღო და გამოხტა კარში.

— ბიჭო!.. შემოაპკრა ტაში ბიგომ: მარტო შენა ხარ? მე კი გული გამისქდა: მეგონა, სუყველანი აქ არიან, ჩემ გარდა მეთქი.

— ჰო, მარტო მე ვარ... მიხასთან მიველი და იმისმა პაპამ ყავარჯნით დამიფრინა, „რა ღროს ეხლა ძახილი გაქეს, მერე მოდიო.“

— მაშ ეხლა რა ექნათ, ვისთან მივიდეთ? სხვებმაც რო იგრე გამოგევაგდონ, მაშინ რაღა გვეშველება, ა?.. ტყეში მარტო მე და შენ ხო ვერ წაეალთ?

— ჰი, შე შშიშარავ, შენა, არა გრტბენია? ჩემთანაც გეშინია და მარტო ხო სულ ფეხსაც ვერსად გადასდგამ... არა, მარტოც რო წავიდეთ, მითამ რა დაგვიშავდება? ჩვენ ტყეში დათვი არ იცის და, თუნდაც იყოს, ის ეხლა ჩენი მცონარ *) ნინიასავეთ გდია თავის სოროში; კეტებით რო მიაღვე, ადგილი-დამაც ვერ დასძრავ. მგლებსა და ტურებს ხომ ჩვენც მოკერე რევით... მაშ რად მინდა ეს ჩემი წალღუნა—დაიღო მომიკომ წალღზედ ხელი—თუ იმ ბოხვერა თავს შუაზედ არ გაფუჩხებავ! მამაცურად სთქვა მომამ.

— მაშ, შენი სიტყვით მარტო მე და შენ წავიდეთ!

— არა, კაცო, ნიკოს დაეუძახოთ: იქნება ის სიხარულითაც წამოვიდეს.

ამ სიტყვებით ყმაწვილებმა ჩაჰკიდეს ხელი-ხელსა და ნიკოანთას გასწიეს

— უწინ მეც მეშინოდა, მაგრამ რაც ბებიათ ერთი ლოცვა

*) მკეტის-მკეტ წაშლავს მცონარსა და სხვას.

მასწავლა, ის არის და ის: აღარც მეშინია და აღარა! სთქვა
თომიკომ.

— იგეთი რა ლოცვაა? თუ ძმა ხარ, მეც მასწავლე!

— აბა, ყური დამიგდე:

„მოვიარე სიონი, ვიტყოდი ახსარებას: ვკარი მრწამს ვკარ-
ცმული, ვერ-წას მეწინის მცდური: წმინდა გიორგიმ დასწევლას ქრის-
სტიანების მცდური.“

აბა, თუ ბიჭი ხარ, ახლა შენა სთქვი.

— მიტყვი და, რაც შემეშალოს, შენ მომაგონე...

II

მოვიდნენ თუ არა ნიკოს სახლთან, ორთავემ მეალილო-
ებსავეთ შესძახეს: ნიკო, გამოდი რალა! ბუშინ შენმა ბაქიაო-
ბამ ყურები წაიღო და ახლა კარგა ხშირ ძილში შესულხარ,
ლაქლანდარობდნენ ბიჭები.

— მოვალ, მოვალ!... აი ახლავ მოვალ! ეუბნებოდა ნიკო
მეგობრებს.

ზიგოსა და თომიკოს მოესმათ ნიკოს წმუკუნი, მერე ძა-
ხილი და ბოლოს გაჩქარებული ჩხუბიც.

— დედი, დედილო! შაილვიძე ქა!... ჩემი თოკი რა ქნილა?
შენ ხომ არ აიღე?

— მე რად მინდოდა, გენაცვალოს დედა.

— აი, აქ, ჩემი ბალიშის ქვეშ ამოვდე, მაშ რამ ჩაყლაპა,
ა?... მაიმე, რატომ მაგეთები ხართ! კბილებს აკრაქუნებდა
ნიკო.

ამათ ლაპარაკზედ გამოიღვიძა ბებია და ხრინწიანის ხმი-
თა დაუძახა რძალსა:

— შეილო ბაბე, რასა გთხოვს ეგ ყმაწვილი? მიეცი.

— თოკსა თხოულობს დედამთილო! ზრდილობიანათ უპა-
სუხა რძალმა.

— ბები, ჩემი თოკი შენ ხო არ აიღე? ჰკითხა ნიკომ.

— მე კი რად მინდოდა შეილო და, აბა, ე მაგ კულიანი გო-

გოს ბალიშის ქვეშა ნახე. მე ეშმაკი, შენ რო გეძინა, მანდ რალაცას ფუსფუსებდა.

ნიკო ფიცხლავ მიჰვარდა ბალიშს, გადმოსწია და თოკი მართლა იქ დაუხვდა. ზახარებულმა წელზედ შემოიჭირა, მერე თავის დასაც ორიოდ ჩაუთავაზა და გავიდა. ახლა კი სიმამაცე მოემატა ზიგოს: ხმა მალლა ლაპარაკობდა, ხუმრობდა, ძაღლებს აყეფებდა; ხან ერთი სახლის წინ შეიძახებდა და ხან მეორეს. ამ სახით ყველა ამხანაგები გააღვიძეს და მათთან ერთად სიცილით, კიჟინით, შაირებით, თოვლის გუნდაობით მიდიოდნენ ტყეში შემის ვულურებზედ.

III

ტყეში ყმაწვილები ქურდულად შევიდნენ. მტყობოდათ, რომ ტყის მცველს არა ერთხელ შეეშინებინა ისინი. ჯგუფ-ჯგუფად გაიფანტნენ. აგერ აქა-იქ წაღდის ჩაკი-ჩუკი მოისმა. მართი საათის უკან ეს ხმაურობაც შესწყდა. მართმა ბიჭმა მგლის ხმაზედ დაიყმულია: ეს იმათი გამოსვლის ნიშანი იყო, და ბიჭები გულურა-წამოკიდებულები გამოვიდნენ. მომიკომ ამხანაგები დათვალა და სათვალავში ერთი დააკლდა.

- შინ გვაკლია, კაცებო, ვინა? ჰკითხოლობდნენ ბიჭები.
- იცით, ბიჭებო, ვინ გვაკლია?.. შინა და მიხა.
- მიხა? ნუ გეშინიათ, ბიჭებო; უკან დარჩებოდა. სოტა ნელა ვიაროთ და ისიც დაგვეწევა, სთქვა ერთმა მათგანმა.

ზიგოს და მომიკოს კი სიკვდილის ფერი გადაედგათ: იმათ მოაგონდათ არსენას თავ-გადასაყალი და არ იცოდნენ, როგორ ეშველად მიხასთვის.

— ნიკოლ, ბიძა შენი არსენის საქმე კი არ დაემართოს მიხას! ეუბნებოდა ზიგო ნიკოს.

არსენას მოგონებაზედ ბიჭებს შიშისაგან თავზედ ქული აღარ აღგებოდათ, გაშტერებულები ერთმანერთს შესცქეროდნენ. იმათი სიჩუმე დაარღვია მომიკომ.

— მე არ მეშინია. თქვენ სოტა ხანს აქ მომიცადეთ, მივირბენ-მოვირბენ ტყეში და მიხას, საცა იქნება, მოგვკრით.

— ტყის მცველმა რო დაგიჭიროს, მაშინ რაღა გვეშველება?
— რას წამართმევს! ზულურას და წალღს აქ დაეტოვებ.
— არა, მომიკო, შენ მარტო არ გაგიშვებთ, ჩვენც შენ წამოგყვებით.

— რაკი მაგრეა, აქ ორი ბიჭი მოუსხათ გულურებს მოდარა-
ჯეთ და ჩვენ წავიდეთ.

— აგრე იყოს, დაიძახეს სხვებმაცა.
როგორც დაყარეს გულურები, თავზედ კიდევ წამოადგათ შიშისაგან და სიცივისაგან გაფითრებული მიხა.

— ბიჭებო, არიქათ, თავს უშველეთ, თორემ საცაა მოაგნებს ჩვენ კვალსა! აი გულურა მეც დავაგდე და ცარიელი მოველი! ეუბნებოდა მიხა ბიჭებსა.

— აი, უხეირო, მშიშარავ! ბიჭო, გულურა იქ როგორ დას-
ტოვე? დასცეს კიჲნა ამხანაგებმა.

„უცებ ტყიდგან ტყის მცველის ლანძღვა-გინება მოისმა: „აი, თქვე ეშმაკის შვილებო, თქვე გველის წიწილებო, თქვენა! რა-
დემდინ დამემალეებით? სად წახვალთ? მგლის სოროში ხომ ვერ შეძვრებით!... თუ ერთი ხელი გტაცეთ, მაშინ მე ვიცი!“ იცემ-
და გულზედ ხელს მცველი.

— ზაიგონეთ, ბიჭებო? აბა, ახლა აიკიდეთ გულურები და
გაევიტეთ, თორემ ხომ იცით: თუ დაგეინახა, სოფლამდინ
მოგყვება.

— პატარა ბიჭებო! თქვენ წინ წადით და ჩვენ მოგყვებით!
სთქვა მომიკომ.

ასე ირბინეს ბიჭებმა, ვინემ ტყეს საკმაოდ მოშორდებო-
დენ. სოფლის ბოლოს რო მივიდენ, აქ კი გულ მოსვენებით
მოიხსნეს გულურები და ზედ ჩამოსხდენ. ჰველა მათგანი დალო-
ლიყო და შესვენება უნდოდათ.

IV

საზედ ვარსკვლავები ჰქრებოდენ, თითქო არ უნდოდათ
ჩენი პატარა ცელქების საქციელი დაენახათ. მთვარე მკრთალად

გამოიკვირებოდა დასავლეთიდან. მის მაგიერ აღმოსავლეთის კუნჭული აღისფრად იღებებოდა, თითქოს ცეცხლი წაუკიდებიათო... სოფლებიც გამოვიდნენ თავიანთ ღრმა ძილიდან: აქ ბებერი საქათმეში საკენკს უყრიდა ქათმებს, იქ პატარაძალი „დიდ ყურას“ საკოკეებს ადგამდა წყლის მოსატანად. აგერ მეძროხეც ხურჯინ-გადაკიდებული ნაღვლიანის სახით, რომ ჩიტის ფაფაში ვერ ამოილოკა თითები, ზღაზნით მიდიოდა მინდორში საქონლის დასახედავთ.

— ბიჭებო, არ გვეყო ამდენი სხდომა, ვერ მოისვენეთ? ახლა კი დროა წავიდეთ ჩვენ ჩვენ სახლებში, თორემ ლოდინს დაგვიწყებენ, სთქვა თომიკომ და მარლათ ფეხზედ წამოხტა.

— მე კი ვერ წავალ და, ნაღვლიანის ხმით ამოიკენესა მიხამ.

— მართლა, კაცებო, მიხას რა მოეუხერხოთ? საწყალს დღეს ხო შინ აღარ შეუშვებენ? ეკითხებოდა თომიკო ამხანაგებსა.

— ჩემი გუდურა ძალიან დიდია, ცოტას მე მივცემ, ცოტ-ცოტა თქვენც უთავაზვებ და ესეც ხელ-ცარიელი არ მივა სახლში, სთქვა მიგომ.

— აჰ, რა ჰკვიანნი ხარ! მე იმიტომ დავიბეჭე ხელები, რომ მაგას მზამზარეულად მივართვა? როგორ არა, ვერ მოგართვეს!

— შენის ნებით არ მისცემ ტუხაურას ბიჭო! აბა, განახეთ როგორ არ მისცემ! ტუხაურას ბიჭი გადააჯდა გუდურას და იმუქრებოდა: აბა, თუ ბიჭები ხართ და ერთ წკირს გამოაძრობთ!

— რატო, შე ავო, შე საძაგელო? შენ კი ჩვენი ამხანაგი არა ხარ? მაი, რად გაგაღვიძეთ? აქამდინ ხო ლოგინში უნდა გდებულებოდა? ბიჭებო, კარგად დავიხსომოთ ეს. ღღის იქით ჩვენი ამხანაგი არ არის. მეორეთ რომ წავიდეთ, ამას ნულარ წავიყვანთ.

— ოჰ, ძალიან საჭიროა, თუ თქვენ არ წამიყვანეთ! მე ხომ ტყის გზა დამეწყებია და!

ამ სიტყვებით ტუხაურის ბიჭმა წამოიკიდა ზურგზედ გუდურა და უსირცხვილოდ სახლში გასწია.



— რაღას ვუყურებთ, ბიჭებო: ვისაც რა გემეტებათ, მიეცით მიხას.

— მიხავე, რამ გავაშტერა? ბაქიმე ვე თოკი, უთხრა მიგამ.

— აი, მე ამაზე მეტს ვერ მოგცემ, ჩემო მიხავე.

— მეტს ვერც მე მოგცემ, იძახოდენ ბიჭები და აწვდიდენ მიხას შეშას.

— აჰა, სიცოტავეზე ნუ დამემღურები „ბაჩაე“, უთხრა მომიკომ.

— მეტიც არ მინდა, ღმერთმა ავაშენოთ! სთქვა ამხანაგების გულ-კეთილობით გახარებულმა მიხამ.

— ახლა კი წავიდეთ, სთქვა მომიკომ და დაიწყო: „მინც არ მომყვეს, პაპას გაჰყვეს,“ „ვინც არ მომყვეს, პაპას გაჰყვეს!“ და ყველანი იმას დაედევნენ.

— შორიდგან დაინახეს ტუხაურას ბიჭი და დასცეს კივინა. უ!.. უ!.. ტუხაურას ბიჭო, რატომ მაგრე მგელივით კისერი გაგშეშებია. სიავკაცე შენი, თორემ უყურე ჩვენ ბაჩას, გულუროს ქვეშ ძლიეს-ლა სჩანს.

ტუხაურას ბიჭი ახლა კი მართლა სირცხვილით ველარ იხედებოდა უკან და სწყინდა, რომ ამისთანა მხიარულ დროს ამხანაგები შემოიფრთხნო, მაგრამ რას იზამდა.

V

მიხა გახარებული და თავ-მოწონებული სახლში მოვიდა. ძმები და დები გამოეგებნენ, ბებია და პაპამ ცეცხლაპირას ნაბაღზედ გასათბობათ დასვეს, მაგრამ მიხას არ ეჯლომიღებოდა: საკიდელზედ ქვაბი არ ეკიდა.

— ბები, აკი ჩიტის თაფა უნდა გავაყითოო? შენ რატომ არაფერს ამბავში ხარ?!

— შენ გელოდებოდით, გენაცვალოს ბებილო? აი, ახლავ შემოვდგამ.

ბებია და ნათო დიდი ცეცხლი, შემოდგა ზედ თანგირა ქვაბი და, როცა წყალი აღულდა, მიხას დედას მოატანინა

წმინდათ გამტკიცული ფქვილი. ბებია ჩქვები ცეცხლიდგან ძირს
გადმოდგა და აილა ხელში დიდი ციხევი. მიხას დედა მუჭით
უყრიდა ფქვილს, ბებია კი მარდათ ურეედა ციხესსა, რომ
ცხელ წყალში ფქვილი არ დამურკლებულიყო. როცა ფქვილი
საკმაოდ მოაყარეს, რძალმა და დედამთილმა ქვაბი ისევ ცეც-
ხლზედ შემოდგეს.

მიხას გარდა ცეცხლა-პირას ისხდნენ: მიხას ორი პატარა
ძმა და ერთი იმისი მომდევნო და. მათ სახეზედ სიხარულის
მოლოდინი იხატებოდა. პაპა კრასთან იჯდა, ჩიბუხს აბოლებ-
და და ყმაწვილებს ეხუმრებოდა. ბებია ჩქვები ძირს გადმოდგა;
პატარა სანდალა გარეთ გაიქცა, აკრიფა ნაფოტი, დაუდო თა-
ვის ურემზედა და შემოიტანა. ნუცამ ფაფა ნაფოტებზედ დაას-
ხა, წასცხო ერბო, გაიტანა კარში, ჩამაწკრია ღობეებზე, კუნ-
ძებზე და ეპატიყებოდა ჩიტებს გულ-ვაშლილი მასპინძელივით.

— მობრძანდით, მიირთვით, ჩვენო კარგო სტუმრებო, და
გახსოვდეთ, რომ ჩემი თუთა, სანდროს ბალი და ბებიას ბოს-
ტანი არ გაუცვკოთ!

სანდალა ც ჰშველოდა თავის დასა და იმასთანავე ტიტ-
ნებდა:

— „ბი, ციტებო, სანდროს არ შეუქამოთ ბალი, აი!“

მიხა თავის პაპის გვერდზედ იჯდა და მადიანათ ფაფას
შეექცეოდა; პატარა ცუცნიკოს თავისი პაწაწინა თათები ფაფაში
ჩაეყო, მოეთხუნა თავ-პირი და რალაცას მუნჯივით ათამაშებდა
თავის უსუსურს ენას.

მსევე ხდებოდა ჩენი ნაცნობ ქურდი ბიჭების სახლებში,
ჩემო პატარებო: ყველიერის ორშაბათს ასე გაუმასპინძლდებიან
ხოლმე ჩენში ზამთრივ-ზაფხულ განუმორებელ სტუმრებს, ბე-
ლურებს, რომ იმათ არ გაუცვკონ ნათესი და ხილეული. მაგ-
რამ ახსოვდებათ, თუ არა უმადურ სტუმრებს პატარა ნინუცების
და სანდალების ხეწნა-ვეღრება, ამის გამოცნობა თქვენთვის
მომინდვია.

პპ. ა — სს.

ქობის მკვლევარები, რომლებიც ითხოვდნენ, რომ მისი
რომელიც თითო მანძილზე იდგებოდა ითხოვდა რომელიც
ნათესაობის კავშირს უკავშირებდა. თითოეული
მეცნიერის მიზანმიმართული კვლევის მიზანს
„ყვავის-საყდარს“ ეძახიან.



ყვავის-საყდარი.

(ლეკენაძე).

აბუშრამოს, ზედა-ზნის მთის ძირში, არაგვის მა-
რცხენა ნაპირზე, გზის პირას არის ერთი პაწია
ძველი ქვით-კირის ოთხ-კუთხი შენობა, რომელ-
საც თალი ჩამოაქცევია. აი, ამ შენობას ხალხში
„ყვავის-საყდარს“ ეძახიან.

რად და რა მიზეზით დაარქვეს ტაძარს ასეთი საუცხოვო სახელი?..

იქ, საცა ეს საყდარია, მის გარეშემო მინდვრებში ერთხელ,
დიდი-ხნის წინად, დათესილიყო პური და საუცხოვო ყანაც შე-
მოვიდა. ამ ყანის მოსამკვლად პატრონმა-მებატონემ გამართა
ნადი ანუ მამითადი. ღლე მამითადისა იყო მშვენიერი. მომკლე-
ბი ყოჩაღად მკიდნენ, „ჰოლო-პუნა“ ყოველ მხრით გაისმოდა;
მათ მოსძახოდენ მთანი ტყიანნი და იმათვე ახლოს „არაგვი
არაგვიანი“ შეუპოვრად მოუთამაშებდა გარშემოს თვისსა ატე-
ხილს ქალებს.“ მაგრამ აგერ სამხრობის დროც მოვიდა. მომ-
კლებმა ერთიჯ ძმურად შეუტიეს და ამ სიმღერით:

„ნელა, ბეჭო! აწ კი კმარა
ქსადაკ, მსკმარ გადისარა?
ჯერ რიგინანდ ვისამხროთ,
ძერე მოვქვით უფრო ჩქარა!“

სვე ბოლოში გაიტანეს და შეგროვდნენ დიდი მუხის ქვეშ
ჯერის მისართმევად. შეგროვდნენ ყველანი. ნამგლები ხის ძირში
დააწყეს და თვითონაც მხიარულად ჩამომწყრიდნენ. მასპინძლის
ბიჭებმა მოართვეს პური, ყველი და ღვინო.

ის იყო ქამას შეუღდენ, რომ ზემოდან უსიამოვნო ხმა მოე-
სმათ: ყვავი დასჩხაოდა და შეუწყვეტილად გაიძახოდა: ყვა! ყვა! ყვა!

— შ ოხერ-ტიალს რა უნდა ჩვენგან? ბიჭებო! ადექით, მოგვაშორეთ ეგ ნავსი! სთქვა მეთაურმა.

მართი მესამკლე წამოხნდა და გააფრთხო ყვაფი.

დაიწყეს ჭამა და ერთმანერთის საოხუნჯო სიტყვებით შექცევა. შვაფი კი ისეე მოჰფრინდა მუხაზედ და ისეე დაიწყო ჩხავილი: ყვა! ყვა! ყვა! მართმა მესამკლემ ქვა ესროლა, უნდოდა მოეკლა, მაგრამ ყვაფი ღროიანად გაჰფრინდა.

ისეე ჭამა და სმაა მუხის ძირს... აგერ მზარეულიც დიდ ქვაბთან მივიდა, რომ ხალხს აქვე მოხარშული წვენი ჩამოუთრიგოს. აი, ხელში ჩამჩაც აიღო... შვა!.. ყვა!.. ყვა!.. შრრ.. ფრრ... ფრრ... და ყვაფი მაღლიდგან ელვასავით ქვაბში ჩამოიქრა, გაითუთქა და შიგვე ჩაიღრჩო. შველამ დაუწყო ყვაესა გონება, რადგან იმათი საკმელი წაბილწა და ამდენი ხალხი უსადილოდ დასტოვა. მასპინძელიც და მზარეულიც შესწუხდენ, მაგრამ გვიან-ლა იყო: ყვაფის წაბილწულოს ხომ არ მიართმევდენ მონადეთ?

ბაჯავრებულმა მზარეულმა გადმოიღო ცეცხლიდამ ქვაბი და მოაპირქვა. მაგრამ ნურც შენს მტერს, რა სანახავიც მან ნახა: ხორცთან ერთად ქვაბში დიდი გველი ჩახარშულიყო! ხალხს კანკალი დააწყებინა და ყველას ცივი ოფლი გადაესხა.

მხლა კი მიხვდენ, თუ რისთვის დასჩხავოდა მათ ყვაფი. მურმე ყვაეს წინადვე დაენახა ხიდგან, გველი რომ ქვაბში ჩავარდა, მზარეულის შეუმჩნეველად, და თავის ჩხავილით უნდოდა ხალხისათვის გაეგებინა, რა განსაცდელი მოელოდა მათ. მაგრამ ჩხავილით რომ ვერა გააწყო-რა, გადასწყვიტა თავი დაედო და თავისის სიკვდილით ასიოდე კაცი საშინელის განსაცდელისაგან ეხსნა.

ხალხმა ერთხმად აღვიარა ყვაფი წმინდანად და ამ საკვირველის სასწაულის სახსოვრად აღაშენა ეკლესია, რომელსაც „ყვა ეის-საყდარი“ უწოდა სახელად.

მოსე ჯანაშვილი.

ლიდი და პატარა ბიორგი

(ანდერსენის ზღაპარი, ფრანსუელიდამ).

მის პატარა სოფელში, ქალაქის მახლობლად, ორი კაცი ცხოვრობდა, რომელთაც ერთი და იგივე სახელი — ბიორგი — ერქვა, ამასთან ერთი გვარისანიც იყვნენ. იმათ გასარჩევად, პირველს დაარქვეს ლიდი ბიორგი და მეორეს — პატარა.

ამათგან ერთს ჰყავდა ოთხი ცხენი და მეორეს — ერთი. შური დამიდგეთ კარგად და გაიგებთ, რა დაემართა ამ ორ კაცს.

მთელი ერთი კვირის განმავლობაში პატარა-ბიორგი ვალდებული იყო ლიდი-ბიორგის მიწაზე ემუშაენა და თავისი ერთადი ერთი ცხენი მისთვის ეთხოვებინა; სამაგიეროდ ლიდი-ბიორგი კვირაში ერთხელ, კვირა დღეობით, თავისი ოთხი ცხენით ჰშველოდა პატარას. როცა პატარა-ბიორგი ამ ხუთივე ცხენს შეაბამდა და მიწის ხენას მოჰყვებოდა, იმას თავისი საკუთრება ეგონა. ალტაცებით გადაჰკრავდა ხოლმე შოლტს ამ ხუთ ცხენს და შეჰყვირებდა. მათ კვირას მშვენიერი მზიანი დღე იყო, შეაბა პატარა-ბიორგიმ ხუთივე ცხენი და მხიარულად ხენა დაიწყო... ზარები ირეკებოდა, ხალხი საკვირაო ტანისამოსით საყდარში მიეშურებოდა. მზა იმის ადგილის წინ მიდიოდა. პატარა-ბიორგი მხიარულად უყვიროდა ცხენებს: „აბა, ჩემო ცხენებო, გასწიეთ მარჯვით!“

— ნუ იძახი ჩემო ცხენებო, დაუყვირა ერთხელ ლიდმა-ბიორგიმ: შენი მარტო ერთი ცხენია მანდა!

მაგრამ პატარა-ბიორგის მალე დაეიწყებოდა იმის წყრომა და, როცა დაინახავდა ხალხი კიდევ მიდისო, შეჰყვირებდა: „აბა, ჩემო ცხენებო, გასწიეთ მარჯვით!“

— უკანასკნელად გეუბნები — ნუ იძახი მავას! უთხრა კიდევ

წყრომით ღიდმა-ზიორგიმ. თუ ერთხელ კიდევ წამოგცდომია
ევ სიტყვები, იმისთანას გავარტყამ შუბლში მაგ შენ ცხენს,
რომ მანდევ სული გაანთხიოს.

— არა, აღარ ვიტყვი, უთხრა პატარა-ზიორგიმ.

მაგრამ, დაიწყო ხალხმა კიდევ სიარული და მეგობრულად
სალამის მიცემა თუ არა, იმას ძალიან გაეხარდა და ამაყად წა-
მოიყვინა: „აბა, ჩემო ცხენებო, გასწიეთ მარჯვეთ!“

— მე შენ გიჩვენებ „ჩემო ცხენებო!“ დაიყვინა უფრო გა-
ჯავრებით ღიდმა-ზიორგიმ, წამოვარდა ზეზე, წამოაელო უშვე-
ლებელ ლოდს ხელი და სთხლიშა პატარა-ზიორგის ცხენს შუბ-
ლში. სხენმა იქვე სული გაანთხია.

პატარა-ზიორგიმ ტირილი დაიწყო. მისი ერთადერთი სი-
მდიდრე ხელიდამ გამოაცალეს. მოაბა კისერზე თოკი მკვდარ
ცხენს, გაატყავა და ტყავი გაახშო. ზამხმარი ტყავი პარკში ჩად-
ვა და გასასყიდლად ქალაქში წაიღო.

ქალაქი ერთობ მოშორებით იყო და ერთი დაბურული
ტყე უნდა გაველო. საძაგელი ტაროსი დაუდგა და ამასთანავე
გზაც დაებნა. ღალამდა და ქალაქამდინ მისვლა ვერ შესძლო.
ზნაზე დაუხვდა სახლი თავისი ბალითა. „იქნება შეიძლება აქ
თავი შევიფარო და ღამე გავატარო?“ იფიქრა პატარა-ზიორგიმ.
მივიდა და კარები დაარახუნა.

შრომა ქალმა გაუღო და, როდესაც ზიორგის სურვილი
შეიტყო, უარი უთხრა: ჩემი ქმარი შინ არ არის და სახლში
არავის შეყვანა არ შემიძლია.

— ძარგი, გარეთ დაეწვიები, უთხრა პატარა-ზიორგიმ.

ქალმა კარი ჩაიკეტა.

სახლის ახლო ბზით სავსე საბზელი იდგა. „იქ შევალ და
დავიძინებ, კარგი რბილი ლოგინი მექნება და არც არაფერი
მეინებს,“ გაიფიქრა პატარა-ზიორგიმ.

შეძრა საბზელში და დაწვა. ის რამდენიმეჯერ გადმო-
ტრიალდა. სახლის ფანჯრები ცოტათი ღია იყო და, რაც შიგა
ხდებოდა, ზიორგი ყველაფერსა ჰხედავდა.

შუაგულ ოთახში სუფრა გადაშლილი სტოლი იდგა, რომელზედაც მწვადი, ახალი თევზი და რამდენიმე ბოთლი ღვინო ეწყო. სტოლთან ისხდნენ სოფლის დედაკაცი და დიაკვანი და ქვიფობდნენ.

„რა ბედნიერები არიან, იფიქრა ბიორგიმ და თავი წაიწია წინ, რომ უკეთ დაენახა. დედა-კაცმა მშვენიერი ცხელი ხაჭაპური მოიტანა და დადგა სტოლზე. რა ღვინია და!

მართბაშად სახლს ცხენოსანი მოადგა. ეს იყო ამ დედა-კაცის ქმარი.

შველა პატივსა სცემდა ამ კაცს, რადგან ძალიან პატიოსანი იყო, მხოლოდ ერთი სისუტე ჰქონდა: ძლიერ ეჯავრებოდა ის დიაკვანი. ამ დიაკვანმა იცოდა იმისი სისუსტე და ამიტომაც ისარგებლა იმისი წასვლით და მოვიდა იმის სახლში დროს გასატარებლად. თავისი ქმრის გაწყრომა რომ თავიდან აეცილებინა, ქალმა სთხოვა დიაკვანს დამალულიყო ერთს დიდ ცარიელ სკივრში. დიაკვანი დიდის სიამოვნებით დათანხმდა. ძალმა საქმელი და ღვინოები საჩქაროდ სტოლიდან მოჰკრიბა და ბუხარში დამალა.

„აფსუს!“ ამოიოხრა პატარა-ბიორგიმ, როდესაც დაინახა ამ საქმელების უცბად დამალვა.

— მინ არის მანდა? შეჰყვირა სახლის პატრონმა. მივიდა საბზელთან და ნახა პატარა-ბიორგი.

— მანდ რად დაწოლილხარ? შემოდი ოთახში.

პატარა-ბიორგიმ უთხრა, გზა დამებნაო და ღამის გათენება მინდა აქაო.

— ძალიან კარგი. ჯერ ცოტა ვივხვმოთ.

დედა-კაცი ორივეს მხიარულად მიეგება. ბაშალა სუფრა და ერთი დიდი ფლავი მოიტანა სტოლზე. მლექსს ძალიან ჰშიოდა და მადიანად სქამდა, მაგრამ პატარა-ბიორგის მწვადისა და ხაჭაპურის ჯაფრი ჩაჰყვა და ფლავს ხელი არ ახლო.

თავისი გამხმარი ცხენის ტყავი ბიორგიმ თან შემოიტანა და ფეხ-ქვეშ დაიდვა. ღაპირა ფეხი და ტყავმა ხრიალი შეჰქნა.

— „სუ!“ შესძახა პატარა-ბიორგიმ თავის პარკს და უფრო მაგრად დააჭირა კიდე ფეხი.

— რა გაქვს მაგ პარკში? ჰკითხა გლეხმა.

— აქ ჯაღო-ქარია, უპასუხა პატარა-ბიორგიმ. ამას არ მოსწონს, რომ ჩვენ ბრინჯსა ეჭამთ და მეუბნება ბუხარში მშვენიერი ხაკაპური, მწვადი და თევზიაო.

— ეს შეუძლებელია, სთქვა გლეხმა; ამასთანავე ბუხარს ფარდა მოჰხადა და ნახა ეს საკმელები. მისმა ცოლმა ვერაფრის თქმა ვერ გაბედა, ყველა მოიტანა და სუფრაზე დააწყო.

პატარა-ბიორგიმ კიდე დაახრიალა თავისი ტყავი.

— მხლა რალს ამბობს? ჰკითხა გლეხმა.

— ამბობს, ბუხრის გვერდით სამი ბოთლი ღვინოაო.

ღვინო-კაცმა ეს ღვინოც მოიტანა სუფრაზე. გლეხმა დაიწყო სმა, თან-და-თან გამხიარულდა და ლაპარაკს მოუმატა. ძალიან მოუწონდა ამისთანა ჯაღო-ქარი ეშოვნა სადმე.

— ძალიან გულით მინდა მიჩვენოს ნამდვილი ეშმაკი, სთქვა გლეხმა. იმნაირ გუნებაზე ვარ, რომ ძალიან მიამება სწორედ.

— ჩემს ჯაღო-ქარს ყველაფერი შეუძლია, რასაც კი ვეტყვი.

ღაპირა ფეხი ტომარას და გამხმარი ტყავი დაახრავუნა.

— ზესმის? იძახის შემოძლიანო, მაგრამ ძალიან საშიშარი და საზიზღარი სანახავი იქნებაო.

— არა, არ მეშინიან... როგორი იქნებაო?

— მინც შენ გეჯავრება, ის მოგეჩვენებაო.

— უჰ! რა საზიზღრობაა! სწორედ ვერ შემოძლია იმის დანახვა... მაგრამ არა უშავს რა: რაკი მეცოდინება, რომ ის ეშმაკია, როგორც არის, მოვითმენ. მხოლოდ ნუ მომიახლოვდება.

პატარა-ბიორგიმ თავის ტომარას ყური მიადვა, ვითომც უსმენდა, რასაც ის ამბობდა.

— რას ამბობს შენი ჯაღო-ქარი?

— ამბობს, ის დიდი ზანდუკი ახადეთ და იქ კუთხეში ეშმა-

კი ზისო. მაგრამ ზანდუკის ხუფი უნდა მაგრად დავიკიროთ, რომ არ გაიქცეს.

— აბა, შენც მიშველე! სთქვა გლეხმა და მიუახლოვდა იმ ზანდუკს, რომელშიაც მისმა ცოლმა თავისი სტუმარი დამალა.

ახადა ხუფი და ყვირილით უკან დაიწია...

— ეს სწორედ იმასა ჰგავს. ხუფი ისევ მაგრად დაჰხურა. მივიდა სურასთან და ხელ-ახლავ სმა დაიწყო.

— მომყიდე ეგ შენი ჯადო-ქარი, უთხრა გლეხმა: რასაც კი მთხოვ, მოგცემ. თუ გინდა, ერთ დიდ ქისა ვერცხლის ფულს მოგცემ.

— არ შემძილია, უპასუხა ეშმაკობით პატარა-ბიორგმი. შენ თვითონ წარმოიდგინე, რამდენ სიკეთეს მიშვრება. ძალიან გამძინელდება ამისი მოშორება.

— სწორედ ძალიან მასიამოვნებ! განუმეორა გლეხმა.

— ქარგი! დათანხმდა პატარა-ბიორგი. სწორედ შენი მასპინძლობისთვის გითმობ ამ ჯადო-ქარს ერთ დიდ ქისა ფულზე, მაგრამ უნდა დამათვლევინო კი, რამდენი იქნება შიგ ფული.

— მართის სიტყვით შენ სრული კმაყოფილი დარჩები; მხოლოდ ერთი ესეც ამისრულე: მოიკიდე ეს ზანდუკი და თან წაიღე, არ მინდა, რომ სახლში მედგას. იქნება მუდამ შიგა ზის ეშმაკი.

პატარა-ბიორგმი მისცა თავის ტომარა გამხმარი ცხენის ტყავით და მის მაგივრად დიდი ქისა სავსე ფული და სკივრი მიიღო, მასთან პატარა ურემიც ყველა ამეების წასაღებად.

პატარა-ბიორგი გამოემშვიდობა და გაუდგა გზას.

ზაიარა მშვიდობიანად ტყე და შესდგა ახალ გაკეთებულ ხილზე. მდინარე კარგა აღიდებული და ღრმა იყო. პატარა-ბიორგმი ხმა მალლა ლაპარაკი დაიწყო:

— რათ მინდა ეს ძველი ყუთი? ისეთი მძიმეა, გეგონება ქვით არის გამოტენილიო. მხრები დამაგლიჯა და ძალიანაც დავიღალე სწორედ. ავიღებ, წყალში გადავაგდებ და, თუ წყალი ჩემ სახლამდინ მიიტანს, ხომ რა კარგი, თუ არა და—რა ფუჟო,



უამისოდაც გავძლებ. სთქვა ესა, ასწია ერთი ხელით და ვითომ გადაგდება უნდოდა.

— ზოიცი, ზოიცი ჯერ! ზოისმა ზანდუკიდან ხმა. ჯერ მე ამომიშვი და მერე გადაგდე.

პატარა-ზიორგიმ შეშინებულივით დაიყვირა: ეშმაკი კიდევ შიგ ყოფილა, უნდა უეჭველად დავახრჩო!

— არა, არა! ზოისმა კიდევ ხმა: გამანთავისუფლევ და მეც იმდენა ფულს მოგცემ, რამოდენიც გლენხმა მოგცა.

— სულ ერთია, უთხრა პატარა-ზიორგიმ და ამოუშვა ყუთიდან.

ზანდუკში მჯდომი ამოვიდა, ყუთი წყალში გადააგდო და დაბრუნდა სახლში, რომ ფული მიეცა ზიორგისთვის. ამ რიგად პატარა-ზიორგი გამდიდრდა.

როცა თავის სახლში დაბრუნდა, პატარა-ზიორგიმ მთელი თავისი ქონება დედა მიწაზე გადმოყარა. აი, რა კარგა მასარგებლა უხვირო გამხმარ-ტყავმა, სთქვა თავის გულში: ეხლა ღიღმა-ზიორგიმ რომ დანახოს და შეიტყოს საიდან მოვიგე ამოდენა ფული, ჯავრით მოკვდება.

ბაუფ ზაენა ბიჭი ღიღმა-ზიორგის და სთხოვა ერთი ქილა ეთხოვებინა.

— რათ უნდა? იფიქრა ღიღმა-ზიორგიმ.

ძირში ქილას ღიღმა-ზიორგიმ კუპრი ამოაცხო, რომ მიჰქროდა, რასაც ჩაჰყრიდა. როდესაც პატარა-ზიორგიმ ქილა დაუბრუნა, მართლაც ძირში ორი ვერცხლის ფული მიჰქროდა და დარჩენილიყო.

— როგორ! დაიყვირა გაკვირებულმა ღიღმა-ზიორგიმ: სად ეშმაკებში უშოვნია იმას ამდენი ფული? ბაეჩანა პატარა-ზიორგისას.

— საიდან გიშოვნია შენ ეგ ფული? ეკითხებოდა ღიღმა-ზიორგი.

— ჩემი ცხენის ტყავი გავყიდე გუშინლამ.

— მერე მაგოდენა ფული აიღე იმ უხვირო ტყავში? ჰკითხა ღიღმა-ზიორგიმ.



ღაბრუნდა სახლში თუ არა, აიღო დიდი ცული და ოთხივე ცხენები დაჰხოცა; გაატყავა, გაახმო ტყავი და გასწია ქალაქში.

ჭუჩა-ჭუჩა დაიწყო სიარული და ჰყვიროდა: „ტყავები! კარგი ტყავები!... მის უნდა იყიდოს?“

შანგარიშო ხარაზი და მეტყავეები მოცინდნენ და დაუწყეს ვაჭრობა.

— მითო ტყავს თითო ქისა ვერცხლის ნაკლებ არ მიეცემ, ეუბნებოდა ყველას ღიდი-ბიორგი.

— ხომ არ გაგიყებულხარ, კაცო? შენ გგონია, რომ ქისობით ქვიწყვია ფულები თუ?

ღიდი-ბიორგი იმედს არ ჰკარგავდა და ყვიროდა: „ტყავები, კარგი ტყავები!... მითო ქისა ვერცხლი ღირს, ვის უნდა!“

— შთუოდ დაგეცინის, სთქვეს ერთ ხმად ხარაზებმა: მოიხსნეს წელიდამ ქამრები და მწარედ ცემა დაუწყეს ბიორგის.

— ბიჩვენებთ, როგორც უნდა ტყავების დაფასება! სულ ერთიან აგიწითლებთ და აგილოურჯებთ მაგ ტყავს, თუ ეხლავე აქედამ არ წახვედი!...

ღიდი-ბიორგი ნაცემი საჩქაროდ გამოიქცა თავის სახლში.

„ძარგი, სთქვა თავისთვის ბიორგიმ: ეხლა კი თვითონ ის უნდა მოგვკლა სწორედ, რომ ასე მომატყვილა.“

პატარა-ბიორგის ამ დროს ძიძა მოუყვდა და, თუმცა ძალიან ავი დედა-კაცი იყო და თავის გაზრდილს ცულათ ეყრობოდა, მაინც ძალიან ბევრი იტირა. ჯერ იმედი არა ჰქონდა გადაწყვეტილი, აიღო და თავის ლოგინში ჩააწინა, ეგონა, იქნება მობრუნდესო. მთვითონ ერთ კუთხეში მიჯდა და მთელი ღამე იქ გაატარა.

შუა ღამისას კარები გაიღო და ჩუმათ შემოვიდა ღიდი ბიორგი ცულით. იმან ძალიან კარგათ იცოდა, საცა იყო პატარა-ბიორგის საწოლი: მიიპარა და დაჰკრა ცული თავში მკვლარ დედა-კაცს.

— შესლა კი ველარ მომატყუილებ, დაიძახა ღიდმა-ზიორგიმ. პატარა-ზიორგი მკვდარი ეგონა.

„რა ავი კაცია!“ იფიქრა პატარა-ზიორგიმ: „ჩემი მოკვლა უნდოდა. ძარგი რომ საწყალი ჩემი გამდელი მკვდარია.“

ღილაზე, გაუთენებლივ, ძიძას საუკეთესო კაბა ჩააცვა, მორთო. მეზობლისაგან ცხენი ითხოვა, შეება თავის მარხილში და ჩასვა შიგ მკვდარი. რომ არ გადავარდნილიყო, გაამაგრა, და ტყისკენ გასწია. მივიდა ერთ სასტუმროში, ჩამოხტა და შევიდა.

სასტუმროს პატრონი ძალიან მდიდარი კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე ავი გულისა, ანჩხლი.

— ზამარჯობა! უთხრა მან პატარა-ზიორგის: რაზედ მორთულხარ მაგრე დღეს!

— ღიად, უპასუხა პატარა-ზიორგიმ: ჩემი ძიძა მიმყავს ქალაქში და ერთი სტაქანი ღვინო მიუტანე, რომ პატარა გავრილდეს. მაგრამ ძალიან მაღლა ელაპარაკე, რადგან ერთობ ყრუ არის...

— ჭერილს არ დავაკლებ, სთქვა მასპინძელმა. ჩამოასხა ღიდ სტაქანში ღვინო და გაუტანა მოხუცებულ დედა-კაცს გარეთ.

— ბი სტაქანი ღვინო! დაუყვირა მკვდარ დედა-კაცს; მაგრამ ის არ გაინძრა.

— ზანა არ გესმის ჩემი ყვირილი? ჰკითხა მან უფრო მაღლა. შენმა ბატონმა გამოგიგზავნა დასაღვეათ!

სასტუმროს პატრონი დაილაღა ყვირილით, მაგრამ დედა-კაცი არ ინძრეოდა. ზანჩხლდა საშინლად, სტაქანი ძალით ცხვირ-პირში მიარტყა; დედა-კაცი გადიქა უკან და გადმოვარდა ძირს. ამ დროს პატარა-ზიორგიც გამოვიდა.

— მაი ჩემს თავს, დაიყვირა მან, და მივარდა სასტუმროს პატრონს: რაზედ მომიკალ ჩემი საწყალი ძიძა? შეხედე შუბლი გაგიხეთქია!

— ღიად, ვაი ჩემ თავს! უთხრა მასპინძელმა და ხელებს იმტყვედა. ეს პირველად არ მემართება ჩემი სიანჩხლისაგან.



ჩემო კარგო პატარა-ბიორგი! ოღონდა კი ნუ გამამხელ, და მთელ ერთ ქისა ფულს მოგცემ და მაგ შენ ძიძას ისე დაგიმარხავ, როგორც დედა ჩემს. რომ შემიტყონ, ძალიან დამსაჯენ და თავსაც მომჭრიან!

პატარა-ბიორგი დათანხმდა, გამოართვა ფული, თავისი მკვდარი ძიძა მასპინძელს მიუტოვა და გასწია სახლში.

როდესაც მივიდა, გაუგზავნა ბიჭი ლიდ-ბიორგის და კიდევ ქილა სთხოვა.

— ეს რა ამბავია? დაიყვინძა მან: მაშ წუხელის ვერ მოკვალი მე ის? უნდა წავიდე და ვნახო ჩემის თვალით!

აიღო ქილა და თვითონ მივიდა პატარა-ბიორგისთან. თვალეები აუჭრებოდა, როდესაც ამოდენა ფული დაინახა.

— საიღამ მოიგე მაგოდენა ფული? ჰკითხა მან.

— წუხელის ჩემ მაგივრად შენ ჩემი ძიძა მოკვალი; მე იმის გვამი გავყიდე და იმაში მომცეს ამოდენა ფული.

— ძარგი ფასი მოუტიათ, უთხრა ლიდმა-ბიორგიმ.

— მოვიდა სახლში, მოჰკლა თავისი ბებერი ძიძა, დასვა ურემზე და წაიყვანა ქალაქში. მივიდა ერთ აფთექართან და ჰკითხა, თუ უნდა იყიდოს მკვდრის გვამი.

— საიღამ გიშოვნია? ჰკითხა აფთექარმა.

— ეს ჩემი ძიძაა, მოკვალი და მინდა ერთ ქისა ფულად გავყიდე.

— რას ამბობ, შე უბედურო, მაგას, გავიყებულხარ? რომ გავიგოს ვინმემ, ხომ თავს მოგჭრიან მაგისთვის.

როდესაც გაიგო, რომ ამ საქციელისთვის შემუძლიათ მართლა ძალიან დასაჯონ, დაჯდა საჩქაროდ ურემზე და სახლში გამოსწია. შველას გიჟი ეგონათ და ყვირილი და დაცინვა დაუწყეს. „სამაგიეროს გადაუუხდი მე იმ წუწკს ავაზაკს!“

როგორც მივიდა სახლში, აიღო ერთი დიდი ტომარა და წავიდა პატარა-ბიორგისთან.

— ეს მეორეჯერ გამამბოვიყვე! პირველში ოთხი ცხენი დამახოცინე, მეორეჯერ საწყალი ძიძა მომაკლევინე; სულ ამავების



მიზეზი შენა ხარ, მაგრამ ეხლა ვეღარ მომატყუილებ! ლიკი-რა პატარა-ბიორი, ჩასვა ტომარაში, მოიკიდა ზურგზე და სთქვა: ეხლა კი წყალში უნდა გადაგადლო და დაგახრჩო.

მდინარე ძალიან შორს იყო და ერთობ მძიმე ტვირთი ეკიდა ზურგზე ლიდ-ბიორგის. ძალიან დაიღალა და მაგრად პირ-წაკრული თავისი ტომარა კარში მიაკურდა, თვითონ კი დუქანში დასასვენებლად შევიდა.

— მაიმე, ვაიმე! ამოიოხრა პატარა-ბიორგიმ. ბევრი ეცადა გაეხსნა თოკი და ტომრიდამ ამოსულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა.

შემთხვევით, ერთ მწყემსს ძროხა გამოჰქცევოდა და სწორედ იმ ადგილას მივიდა, საცა პატარა-ბიორგი ტომარაში ეგდო. ტომარა გაიხსრა.

— მინა ხარ მანდ ტომარაში? ჰკითხა მწყემსმა.

— მართი ყმაწვილი ბიკი, რომელიც, საცაა, სასუფეველში უნდა შევიდე.

— შთუოდ გეზარება სიკვდილი და სასუფეველში შესვლა. მართალი გითხრა, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შენს ადგილას ვიყო: ერთობ მოხუცებული ვარ და მომწყინდა სიცოცხლე.

— მაშ კარგი, ჩემო პატოიასნო მოხუცო, ვახსენი ტომარა: მე შენს ადგილას დამაყენე და შენ ამ ტომარაში ჩაძვერი.

— ლიდის სიამოვნებით, უთხრა მოხუცმა. მოხსნა ტომარას პირი, და ამოუშვა პატარა-ბიორგი. მაგრამ უნდა შემპირდე, რომ ჩემ ჯოგს კარგა შეინახე.

— რა საკვირველია! სიხარულით უთხრა ბიორგიმ.

მოხუცი ჩაჯდა ტომარაში, პატარა-ბიორგიმ ტომარას პირი მოუკრა. მერე მოაგროვა მთელი ჯოგი, წინ გაირკვა და მიჰყვა უკან.

პატარა ხანს უკან ლიდ-ბიორგი გამოვიდა სამიკიტნოდამ და თავის ტომარა ზურგზე მოიკიდა. მხლა ტომარა ძალიან სუმბუქი ეგონა, რადგან მოხუცებული მწყემსი ერთობ გამხმ-

რი და პატარა კაცი იყო. „მს სწორედ არაყმა გამაღონიერა“, მხიარულად სთქვა თავის გულში ღიღმა-ბიორგიმ. მიუხსლოვდა თუ არა მდინარეს, ტომარა წყალში გადააგდო და მიადხა:

— მხლა კი ველარ მომატყუილებ და ვერ მაცდენ!

ზამოზრუნდა და დამშვიდებული თავის სახლისკენ წამოვიდა, მაგრამ გზაზე პატარა-ბიორგი შეხვდა, მთელს ჯოგს მიერეკებოდა.

— როგორ! ძიდევ ცოცხალი ხარ? აკი დაგალრჩე მე შენ?

— ღიღ, მართალია! მას აქეთ, რაც მე შენ წყალში გადამგდე, თითქმის ნახვეარი საათია.

— მერე ვინ მოგცა მაგისთანა მშვენიერი ჯოგი?

— მს ზღვის პირუტყვია! .. მხლავე დაწერილებით გიამზობ. მართალი გითხრა, ძალიან დიდი სიკეთე მიყაევი, წყალში რომ გადამგდე. ახლა საუკუნოდ გაემდიდრდი. როდესაც შენ ტომარაში ჩამსვი და პირი მაგრად წააკარი, ძალიან მეშინოდა, მაგრამ წყალში რომ გადამგდე, სრულებით არაფერი მეტყინა: ჩაეძირე და ქვეშ მშვენიერი რბილი ბალახი დამხვდა. ბოლოს ვილამაც ტომარას პირი მოხსნა, თავი ამოვიღე და წინ მშვენიერი, თეთრად ჩაცმული არსება დამხვდა და მითხრა: „დიდი ხანია ვიცდიდი, ჩემო პატარა-ბიორგი. ჰხედავ რა საჩუქარი მაქვს შენთვის მომზადებული!“ მიმითითა ეს ჯოგი. მე ბევრი მადლობა გადაეუხადე და მერე ვთხოვე დედა მიწაზე გამოსასვლელი გზა ეჩვენებინა. იმანაც დიდი სიამოვნებით აასრულა ჩემი თხოვნა. — ხედავ, ჩემო ღიღმა-ბიორგი! ძირს, მდინარეში მშვენიერი სუნელოვანი და რბილი ბალახია; აქა იქ მრავალი ჯოგები სძოვენ. ჩემ ზევით სხვა-და-სხვა ნაირი თევზები ცურავდენ... ძაღვ მივალწიე იმ ადგილს, საიდანაც მიწაზედ ამოსვლა შეიძლებოდა. ზამოვირეკე ჯოგი და, როგორც შენ თვითონ ჰხედავ, ამოვედი და ეხლა ჩემს სახლში მივიდივარ.

— შენ სწორედ ბედი გაქვს ყველაფერში! უთხრა ღიღმა ბიორგიმ. როგორ ჰფიქრობ: მეც რომ ჩავარდე მდინარეში, მომცემენ ჯოგსა?

— შექველდ. მხოლოდ შენი თრევა მე ვერ შემიძლია. შენ თვითონ მიდი მდინარემდინ, ჩაჯექი ტომარაში; მე პირს მოგიკრავ და გადაგადებ.

— სწორედ ძალიან კეთილი გულისა და პატიოსანი ბიჭი ხარ. მაგრამ ეს კი განსოვდეს კარგად, რომ, თუ ეინცობაა იქ ჯოგი ვერ ვიშოვნო და ხელ-ცარიელი დავბრუნდე, იცოდე რომ ძალიან ბერსა გცემ.

— მე მაგისი არ მეშინია, უთხრა პატარა-ბიორგიმ. ღარივენი მდინარისაკენ გამობრუნდნ.

პირუტყვეს ძალიან სწყუროდა და აჩქარებული მდინარისკენ წყლის დასაღევათ მიდიოდა.

— შუტრე, როგორ ეჩქარებათ წყალში შესვლა! უთხრა პატარა-ბიორგიმ.

— ღაფეჩქართ ჩვენც! ძაღე!.. აბა, ერთი მიშველე, ტომარაში ჩავჯდე, უთხრა აღტაცებით ღიღმა-ბიორგიმ—და, რომ უფრო ჩამძიროს, ერთი კარგი დიდი ლოდი მომაბი კისერზე, თორემ უიმისოდ ჩემი სისუქნის გამო იქნება ვერც კი მივალწიო ძირამდინ.

— შენ ნუ გეშინია! უთხრა პატარა-ბიორგიმ. ბარწმუნებ და გაძლეე პატიოსან სიტყვას, რომ იმ წამსვე ჩასძირავ.

— მოაბა მაინც კისერზე დიდი ლოდი, ჰკრა ხელი და ღიღმა-ბიორგი დიდის ხრიალით ჩავარდა წყალში და იმ წამსვე ჩასძირა.

— მეშინია, რომ ის მშვენიერი არსება იქ არ დაუხედეს და არ დასაჩუქროს, სთქვა პატარა-ბიორგიმ და წამოვიდა; წინ ჯოგი გამოირეკა.

ბევრი სიარულის შემდეგ მხიარულად სახლში დაბრუნდა.

ქ. შ—ს.

საკვირველი გლეხი.



ითმის ორასი წელიწადია მას აქვთ, რაც რუსეთში, ერთ მივარდნილ ადგილს (პრხანგელის გუბერნიაში) დაიბადა ერთი საკვირველი გლეხი, სახელად მიხა. მამა მისი, ღენისი, გვარად ღოროჭევი, მეთევზე იყო და ოჯახს ამ ხელობით არჩენდა. რადგან ის ღარიბი და მარტოხელი გლეხი იყო, ამიტომ, როცა სათევზოდ წაიდოდა ხოლმე, პატარა შვილიც თან დაჰყავდა. თვალ-გაღუწვდენელი ზღვებისა და უცხო ქალაქების ნახვამ პატარა გლეხს ცნობის-მოყვარეობა განუღვიძა და მოინდომა წიგნის შესწავლა. ღელა მისი დიაკვნის ქალი იყო, კითხვა ცოტად იცოდა, და ანბანი მიხამ მისგან ისწავლა. მერმეთ თავის სოფლის დიაკვნს შეეხვეწა და ხუცური წიგნის კითხვის სწავლა დაიწყო. რადგან მიხა ძლიერ ნიჭიერი ყმაწვილი იყო, ამიტომ ორი წლის განმავლობაში ისე გაიმართა კითხვაში, რომ ეკლესიაშიც კითხულობდა ჰამნსა და ღაფითს. მაგრამ პატარა გლეხი ამით არ დაკმაყოფილდა და სულ იმას ჰფიქრობდა, რომ როგორმე სწავლა განეგრძო.

მართლმეგობრის ყმაწვილებმა უთხრეს მიხას, რომ პაპას ორი ისეთი რაღაც წიგნი აქვსო, რომლებშიაც ლოცვები კი არა, სულ სხვა რაღაცები სწერიაო. მიხას ეს ამბავი ძლიერ გაეხარდა, გაიქცა იმ წიგნების პატრონთან და დიდის ევდრებით გამოართვა. როგორც აღმოჩნდა, ის წიგნები ერთი ძველი გრამატიკა ყოფილა და ერთიც არითმეტიკა. ყმაწვილის სიხარულს ბოლო აღარა ჰქონდა, მაგრამ რას უზამს კაცი ესეთ წიგნებს,

თუ კი მასწავლებელი არა ჰყავს? მაინც კიდე ბეჯითად შეუდგა იმ უცხო წიგნების გარჩევას და ხელიდამ აღარ იშორებდა არც დღე და არც ღამე. მაგრამ, საუბედუროდ მას ჰყავდა ბოროტი დედის-ნაცვალი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მას: სულ იმას ეჩიხინებოდა, სწავლა რა გლეხის საქმეაო და ქმართანაც ამას უჩიოდა. მამამაც ცოლის მხარე დაიჭირა და შეიღოს უჯავრდებოდა. საბრალო სწავლის მოყვარე ყმაწვილს მეტი საშუალება აღარა ჰქონდა: ცხადათ წიგნების კითხვას თავი დაანება და მარტო ჩუმად-ლა ჰკითხულობდა, უმეტესად ღამით. ბოლოს როგორც იყო, დასძლია მან ის ორი უცხო წიგნი, თუმცა მასწავლებელი არა ყვნდა.

ამ წიგნების შესწავლის შემდეგ, კიდევ უფრო გაეღვიძა მიხას სწავლის სურვილი და სულ იმაზე ჰფიქრობდა, რომ როგორმე ვუშველო თავსაო. მართლმაც გამოჰკითხა მან თავისი სოფლის დიაკვანს, თუ სად და როგორ შეიძლება სწავლის მიღება. დიაკვანი ძლიერ გააკვირვა ვერეთმა კითხვებმა და უაზბო, რომ, ვისაც სწავლა უნდა, მოსკოვში უნდა წავიდესო, რადგან სკოლა იქ არის და ლათინურსაც იქ ასწავლიანო. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედეს სწავლის მოყვარე პატარა გლეხზე, რომ ამის შემდეგ სულ იმასა ჰფიქრობდა, როგორმე თავის თავისთვის ეშველებინა. უნდოდა გაპარვა და მოსკოვში წასვლა, მაგრამ საბრალოდ გზაც კი არ იცოდა.

მართლმაც მიხამ დაინახა, რომ მისი მეზობლები თევზით ურმებს ტვირთავდნ და სადღაც წასასვლელად ემზადებოდნ. გამოჰკითხა გლეხებსა და შეიტყო, რომ ისინი მოსკოვში აპირებდნ წასვლას. ზაიგო ეს აზბავი თუ არა, მაშინათვე გადასწყვიტა მეთევზეებს უკან გამოდგომოდა. მაგრამ მისი სადარდელი ერთი ის იყო, რომ მას ნებით არავინ გაუშვებდა და მეორეც, იმ დროს ზამთარი იყო და საშინელი ყინვები იდგა. საბრალო მიხა გულ-დაწყვეტილი უტკბოდა, დილით ადრე როგორ გაემწკრივნენ ურმები და გამოვიდნენ სოფლიდამ; ის კი შინ დარჩა. არ იცოდა რა ექნა.

ღალამდა. მიხას მშობლებმა დაიძინეს. მიხაც დაწვა, მაგრამ საბრალოს, აბა, რა დააძინებდა? როცა შეატყო, რომ მშობლები ღრმა ძილს მიეცნენ, ჩუმად ადგა; რაც კი რამ სამოსელი ებადა, სულ ტანზედ ჩაიცვა, თავისი საყვარელი წიგნებიც ილიაში ამოიღვა, გააღო ჩუმად კარები, გამოვიდა, ახსენა ლმერთი და მოსკოვში გამგზავრებულ მეთევზეებს უკან გამოუდგა. სამოც-და-ათი ვერსი ექნებოდათ გავლილი, როცა მიხა მოეწია მათ. მეთევზეები ძლიერ გაკვირდნენ და კიდევ გაუჯავრდნენ მიხას, მაგრამ, შემდეგ ბევრი ხვეწნისა, შეეცოდათ საბრალო ყმაწვილი და ნება მისცეს, რომ უკან გაჰყოლოდა ურმებს. ამ გვარად საბრალო მიხა იმ საშინელ ყინვებში თითქმის ერთი თვე უკან მისდევდა ურმებს ფეხით, მინამ მოსკოვში მივიდნენ.

ამითი კიდევ არ ვათავებულა მიხას ტანჯვა. პირველი ღამე მეთევზეებთან გაათენა. ღილით ყველაზედ ადრე ადგა და მიეცა ფიქრს, თუ რა ექმნა. მოსკოვი მისთვის უცხო ქალაქი იყო, და არც არავინ ნაცნობი არა ჰყავდა იქ. საბრალო გლეხმა დაიჩოქა და ცხარა ცრემლით შეევეღრა ლმერთსა. ლმერთმა მართლაც არ დააგლო ის უნუგეზოდ. ღიდანს არ გაუვლია, რომ მეთევზეებთან მოვიდა თევზის საყიდლათ ერთი ვილაც მისი სოფლის კაცი, რომელიც მოსკოვში მოჯამაგირედ იდგა. მეთევზეებმა უთხრეს, რომ ჩვენი ღოროჰვის შვილი გამოიქცა სახლიდამ, უნდა ისწავლოს და არ ვიცით ეხლა რა ვუყოთო. შეეცოდა პატარა გლეხი ამ კაცს და თან წაიყვანა. მაშინდელ მოსკოვის სასულიერო სკოლაში ამ კაცს ერთი ბერი ყვანდა ნაცნობი, რომელსაც ყველაფერი დაწერილებით უამბო, საილამ და როგორ ჩამოვიდა და რისთვის. ბერს გაუკვირდა ეს ამბავი, წაიყვანა თან და ძლივს ბერის ვაი-ვაგლახით მიღებინა სკოლაში, რადგან მაშინ რუსეთში გლეხების შვილებს სწავლის უფლება არა ჰქონდათ. არც მიიღებდნენ მიხას სკოლაში, თუ რომ ერთი ხერხი არ მოეგონებინა: სასულიერო წოდებისა ვარო, მამა ჩემი დიაკანი არისო და გვარადაც ლამანოსოვი არ დაერქვა.

ამ გვარად ჩვიდმეტის წლის გლეხი მიხეილ ლამანოსოვი (1728 წ.) მიიღეს სკოლაში და მისცეს ხელში ლათინური ანბანი. აუსრულდა მიხას თავისი წადილი, და, რაღა თქმა უნდა, საქმესაც ბეჯითად მოჰკიდა ხელი. თავისი ნიჭითა მიხამ ძლიერ გააკვირვა ყველა მასწავლებლები: ერთ წელიწადში სამი კლასი შეასრულა და ორი წლის განმავლობაში ისე კარგად შეისწავლა ლათინური ენა, რომ ლექსების წერა დაიწყო, თუმცა ბევრ რასმესა ითმენდა ამ სკოლაში. მითი რომ უგუნური პატარა ამხანაგები მოსვენებას არ აძლევდნ მას: „აი, მოვიდა დიდი ვირი ანბანის სწავლისთვის!“ დასციროდნ ხოლმე ისინი ლამანოსოვს. მაგრამ ლამანოსოვი ყურადღებასაც არ აქცევდა მათ; ჩაუჯდებოდა ხოლმე წიგნსა და ჰკითხულობდა იმ დროსაც კი, როცა მისი ამხანაგები ცეცქობდნ და თამაშობდნ. მეორეც, ეს საკვირველი გლეხი დიდ სიღარიბეში იყო: დღეში მარტო ხუთი გროში ჰქონდა დანიშნული ხარჯად. ამ ფულით მას კიდევ უნდა ეჭამა, ჩაეცვა და სხვა საქიროებაც დაეკმაყოფილებინა. საზრდოთ მარტო ერთი თუ ორი გროშის პურსა და კვასს ჰყიდულობდა, დანარჩენსაც სხვა საქიროებაზე ჰხმარობდა. ამ გვარ მდგომარეობაში გაატარა ლამანოსოვმა მოსკოვის მაშინდელ აკადემიაში ხუთი წელიწადი; ის ვერაფერმა ვერ შეაშინა: ვერც შიმშილმა, ვერც სიცოცემ, ვერც ამხანაგების დაცინვამ, და ამ ხუთი წლის განმავლობაში მშვენიერად შეისწავლა ლათინური, ბერძნული და სხვა ყველაფერი, რასაც კი იქ ასწავლიდნ, და ბოლოს ყველაზედ უკეთესად შეასრულა კურსი.

მოსკოვიდამ ძიევის სასულიერო აკადემიაში წავიდა ლამანოსოვი სწავლის გასაგრძობად, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იქაც თითქის იმასვე ასწავლიდნ, რასაც მოსკოვის სკოლაში; ამიტომ ძიევში დიდ ხანს აღარ დარჩენილა და უკანვე მოსკოვში დაბრუნდა.

იმ დროს მოსკოვის არქიელს ბრძანება მოუვიდა პეტერბურგიდამ, რომ თორმეტი ისერი კურს-შესრულებული ყმაწ-

ვილები გამოგზავნეო, რომელთაც მალალი სწავლის მოსმენა შეეძლოთო. იმ თორმეტ ყმაწვილთ შორის ლამანოსოვიც დანიშნეს და გაგზავნეს პეტერბურგში. საკვირველმა გლეხმა იქაც დიდი ნიჭი და ბეჯითობა გამოიჩინა: ცოტა ხნის შემდეგ ის დარი სხვა ახალგაზდა ყმაწვილები მთავრობამ სამზღვარს გარეთ (ბერმანიაში) გაგზავნა მალალ სასწავლებელში (უნდერსიტეტში).

ლამანოსოვმა აქაც ბეჯითად განაგრძო სწავლა. ძლიერ კარგად შეისწავლა, სხვათა შორის, ბუნებითი საგნები. მაგრამ ამასთანავე ძლიერ ბევრი გაკირებაც გამოსცადა, რადგან რუსის მთავრობა ფულს თავის დროზე არ უგზავნიდა. ამ მიზეზისა გამო ვალებში ჩავარდა. მოვალეებმა ისე გაუჭირვეს საქმე, რომ, მეტი გზა აღარა ჰქონდა, გამოიპარა სამშობლოში. მაგრამ ჯერ კიდევ გზაზე იყო, როცა ერთი უბედურება შეემთხვა. იმ დროს პრუსიაში მეფობდა შრიდრიხი პირველი. ამ ხელმწიფეს ძლიერ უყვარდა მალალი ტანისა და მოსრული სალდათები. მისგან გაგზავნილი კაცები დადიოდნენ და, სადაც კი შეხვდებოდნენ ახლავან ვაჟ-კაცს, მაშინათვე სალდათათ ჩასწორდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო. პი ამათ მიიპატივეს ლამანოსოვი, ჯერ დაათვრეს და მერმეთ სალდათათ ჩარიცხეს და ძალათ წაიყვანეს ციხეში. რალა თქმა უნდა, ძლიერ ცუდი ბედი დაადგებოდა, თუ არ მოეხერხებინა და არ გამოჰქცევოდა იმით. როგორც იქნა, გამოიპარა და, შემდეგ ბევრი გაკირვებისა, ძლიეს სამშობლოში დაპბრუნდა.

პირველად არც აქ იყო ბედნიერებაში. დიდ ხანს არც ადგილი მისცეს და არც ჯამაგირი, მინამ თვითონ ხელმწიფეს არ მიართვა თხოვნა. შემდეგ კი მისცეს სამეცნიერო აკადემიაში ადგილი და ცოტა ჯამაგირიც დაუნიშნეს. ამ გვარად მის წვალეზას ძლიეს ბოლო მოელო. აკადემიაში, სადაც ლამანასოვი მსახურობდა, სწავლოლი ნემეცები ჩემეტერენ, რადგან იქ მის გარდა თითქმის ყველა ნემეცები იყვნენ, და არ უნდოდათ, სწავლოლი რუსი რომ ყოფილიყო მათ შორის.




მრი წლის შემდეგ პრაქსორის ადგილი მისცეს აკადემი-
აში, და ამ დროდგან ლამანოსოვი ერთგულად შეუდგა თავი-
სი ხალხისა და მამულის სამსახურს და სიკვდილამდის ბეჯითად
ადგა ამ გზას.

ამ ხანებში რუსებს ძლიერ ცოტა ყვანდათ ნასწავლი კა-
ცები; ამიტომაც ლამანოსოვი პირველ განათლებულ და სწავ-
ლულ კაცად ითვლებოდა მთელს რუსეთში. ძლიერ უყვარდა
თავისი მამული და ბევრი სამსახურიც გაუწია მას, როგორც
მწერლობით, ისე სხვა ფერაც.

ამ გვარად, უბრალო გლეხის შვილი, თავისი მეცადინეო-
ბითა და სწავლის წყალობით, შეიქმნა სახელოვანი სწავლეუ-
ლი და გამოჩენილი კაცი, ასე რომ მისი სახელი დღესაც ქე-
ბით იხსენიება და სამაგალითოდაც მიაჩნიათ მთელს რუსეთში.

სწავლასა და ბეჯითობას შრომაში, სჩანს, ყველაფერი
შესძლებია.

წესდებოდა.



ისტორიული კომორი.

მეფე მირა და ამისა მძა მეფე არჩალა მე-II მოწამე.



ირისა და არჩილის მამას სახელად ერქვა სტეფანოზ მე-II. 686 წელს, სიკვდილის წინ, ამან გაუყო საქართველო შუაზე ორს თავის შვილს. პირველს, მირს, ერგო სამეფოდ: იმერეთი, ზურია, ბათუმის მაზრა, სამეგრელო, სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი; მეორეს—არჩილს: ქართლი, ქახეთი, სამცხე, სომხითი, ორიალეთი, ჯავახეთი და სხვანი.

სტეფანოზმა, მამამ, ორად გაუყო შვილებს სამეფო ხაზინაცა. შუროსს, მირს, მისცა ორი გვირგვინი: ერთი ოქროსი, მეორე ანთრაქისა *), მირიან მეფისა და მახტანგ-ზორგასლანის ნაქონნი. მსენი ერუქათ მათთვის სპარსეთის ხელმწიფეებს. ამასვე მისცა მამამ ნახევარი სხვა ქონებისა: ოქროსი, ვერცხლისა, თვალ-მარგალიტისა და ტახტის სამკაულისა. შმცროს შვილს, არჩილს, მისცა აგრეთვე ორი გვირგვინი: ერთი ზურმუხტისა, მეორე იაგუნდისა, ძოწეულით შემკობილი. მსენი მოეტანა ინდოეთით მახტანგ-ზორგასლანს. ამასთანავე არჩილმა მიიღო ნახევარი სამეფო განძისაცა.

სიმდიდრე, რომელიც ერგოთ არჩილსა და მირს, არ იყო მცირე, ამისათვის რომ ეს იყო ქონება საქართველოს ყველა მეფეებისა. მაგრამ სტეფანოზი უფრო იმ მიზეზით იყო მდიდარი, რომ ჰქონდა გამართული ზარაფხანა და სჭირდა ვერცხლის

*) ანთრაქი—ძვირფასი ქვაა.

ფულს თავის სახელით. იმის მანეთებზე ერთს მხარეს გამოხატულია მისი სახე; თავზე ჰხურავს გვირგვინი, თვალ-მარგალიტით შემკობილი; პირი აქვს მიქცეული მარჯვენა მკლავისაკენ და ზედ გარეშემო აწერია ხუცურად სტეფანოს; მეორე მხარეზე დახატულია ლამპარი, რომელსაც აქვს ორი შტო სანთლისა და თავზე აღმართულია ჯვარი. მის ორსავე მხარეს დგანან მცველნი, რომელთაც თავზე ჩაფხუტი ჰხურავთ.

სამეფო და ხაზინა სტეფანოზმა ორად რომ გაუყო შეილებს, მერმე წავიდა იმერეთს; თან გაჰყვა ძირი და წაიღო თავისი ხვედრი ხაზინაცა.

ამისი ძმა პრჩილი კი დარჩა საქართველოში და გამეფდა შართლ-ძახეთს. როცა შეიტყო, რომ არაბებმა დაიპირეს ღარუბანდის კარი და საქართველოს დასარბევათა და ასაკლებად მოდიანო, ამანაც შეხიზნა ხალხი ძავკასიის მთებში და სიმაგრეებში, და მერმე გადვიდა იმერეთს და მივიდა თავის მამასა და ძმასთან. იმას ეგონა, მტერი როგორც მოვა, ისე წავაო, როცა ხალს ვერა ჰნახავს და საზრდოც შემოაკლდებაო.

ბავიდა თუ არა იმერეთს მეფე პრჩილი, არაბნიც შემოესიგნენ წმნ წელს საქართველოს. წინ მოუძღოდათ მაჰმედის დისწული მურვანი. *) საცა კი გაიარა ამ უწყალო კაცმა თავის ჯარებით, იმ ადგილებში აღარც რამე შენობა დარჩა, აღარც კაცთა საქმელი; ბალახიც კი განადგურეს. როგორც კალია, ისე მოედვა ქვეყანას მურვან-პრუს ჯარი და ყოველივე მოკამეს, თუ გააოხრეს და გააფუქეს. აიკლეს და ააოხრეს აგრეთვე სოფლები და ქალაქები, დაანგრევს სახლები და ეკლესიები, დაარღვიეს ძირიანად კოშკები, სიმაგრეები და ციხეები. მაგრამ ხალხი კი ვერსად ვერ ნახეს ბარში. აქცის სისხლის მსმელმა მურვან-პრუმ დაიწყო ხალხის ძებნა და მიავნო იმას ძავკასიის მთის ძირს, ბელაქნის არე-მარეში თავ-შეფარებული.

*) ეს ღვთის რისხვა კაცი ისეთი ხასიათისა იყო, რომ რასაც იტყოდა, აღარ გადასთქვამდა, თუნდა რომ მთელს ქვეყანას ხვეწნა დაეწყო. რადგან ასეთი გაუგონარი იყო, ამისათვის ქართველმა ხალხმა იმას უწოდა სახელად მურვან-ყრუ.



აქ იყო დამალული ძახეთის ხალხი. მტერი თამამად თავს დაესხა. ასტყდა სასტიკი ბრძოლა. არც ქართველები და არც არაბები ერთმანერთს არ უთმობდნენ: ორივე მხარე თავ-განწირულად იბრძოდა. აქ, მთებში მცხოვრები წარმართი ქართველი ხალხი, ნოზბატელები, ისე მედგრად დაუხვდნენ მტერს და ისე ძლიერად შეებნენ, რომ უმრავლესი ნაწილი ომში გასწყდა. მტერმა გაიმარჯვა, მაგრამ თვითონაც ისეთი დიდი ზარალი მოუყიდა, რომ შეშინდა, ველარ გაჩერდა აქ, დასტოვა ეს ადგილები, გადმოიარა მიწიყზე, მოვიდა, აიღო ტბილისი, ააოხრა აქაურობაცა, გაიარა და შევიდა სომხეთში; ააოხრა და აიკლო ეს მხარეც; მერმე გაიარა ტაბირზე და შევიდა სამცხე—ძლარჯეთში. აქ აიღო იმან სახელოვანი ქალაქი ოძრხე, აიკლო და განადგურა მისი არე-მარე და გადვიდა იმერეთს, რადგან შეიტყო, რომ მეფე მირი და არჩილი აქ შეხიზნულანო.

იმერეთში ხალხი მამაცად დაუხვდა მურვან-ჰრუს. მისი მოწინავე რჩეული ჯარები გასწყვიტეს არგვეთის მთავრებმა დავითმა და აოსტანტინემ, მაგრამ ბოლოს ესენიც დამარცხდნენ და ეწამნენ. მტერმა გული რომ მოიოხა ზემო-იმერეთში ხალხის გაწყვეტით და ქვეყნის გავერანებით, მერმე ჩაჰყვა ჰვემო-იმერეთს, აქაურობაც მიანგრვი-მოანგრია, შევიდა სამეგრელოში, გააოხრა ეკლესიები და მერმე აუხაზეთისაკენ გაემართა. აქ ანაკოფიის ციხეში იმყოფებოდნენ მირი და არჩილი. მტერმა დაიბანაკა მის მახლობლად, მაგრამ ახლა კი ბედმა უღალატა მას და ეწვია ღეთის რისხვა უსამართლოდ ქცევისათვის.

როცა მურვან-ჰრუ თავის ჯარებით სხენის-წყალსა და მდინარე აბაშას შუა ველზე დადგა და ემზადებოდა მეორე ღღეს ციხის აღებას, იმ ღამეს ელვა-ქექა და ქარიშხალი ასტყდა; თან ისეთი დიდი სეტყვა მოჰყვა, რომ, საცა მისი ჯარები იყვნენ დაბანაკებულნი, იმ ველზე დიდი ნიაღვარი მოვარდა, ნაპირებიდგან გადმოვიდნენ მდინარენიც და სრულიად წალეკეს მისი ჯარები. ასტყდა არაბთა შორის არეულობა, ხმიანობა და ტირილი. სიხეში მყოფ ქართველებმა რომ შეიტყეს მათი გოდე-



ბა, დარწმუნდენ, რომ ნიაღვარმა დიდი ზარალი მისცა მტრის ბანაკსაო.

სინემი ამ დროს ათასი ქართველი იყო, რომელნიც არ-
ჩილს გაჰყოლოდენ მართლ-მანეთით, და ორი ათასი აფხაზ-იმე-
რელნი. ზათენებისას მირი და არჩილი ამ ჯარებით გამოუცვი-
ვდენ ციხილგან მტერს და თავ-ზარი დასცეს მას; მაგრამ მეფე
მირი მიძიმედ დაიქრა.

მურვან-ჰრუ შეშინდა და არ იცოდა რა ექნა, საითკენ
წასულიყო. მართის მხრით ქართველები სწყევტდენ მის ჯარებს,
მეორეს მხრით აღიდებული მდინარეები და ნიაღვრები ანადგუ-
რებდენ ბანაკს. აღიდებულმა მდინარეებმა გაუწყვიტეს მას ოც-
დახუთმეტი ათასი ჯარის კაცი და ოც-დაცამეტი ათასი ცხენი.

ამ უბედურებამ მურვან-ჰრუ ძალიან შეშინა და დაიწია
სოხუმისკენ და დიდს წვალეებით, როგორც იყო, ჩაიარეს შავ-
ზღვის პირზე, მივიდენ შურიას, ააოხრეს აქაურობაც და მერმე
წავიდენ ქოსტანტინეპოლისაკენ.

მაგრამ ჯარები ისე დაიქანცნენ და დაილაღნენ, რომ მრავალი
მათგანი ძალიან შეწუხდა, აღარ გაჰყვა თავის უფროსს
და თავის ნებით დარჩნენ საქართველოში. იყვნენ ისეთნიც,
რომელნიც ქართველებს ტყვედ ჰყვანდათ დაჰკერილნი.

მტერი წავიდა. საქართველო დამშვიდდა. მეფე მირიც მო-
კვდა ქრილობისაგან 732 წელს. მას ვაჟი არ დარჩენია. მარ-
თლი, მანეთი და იმერეთი შეერთდენ და მეფედ დაისვეს არჩი-
ლი მე-II.

წინათ მდიდარი საქართველო ახლა ძალიან გაღარიბებუ-
ლი იყო. მურვან-ჰრუმ ის დაამზავესა ვერანას. დიდი ჭკუის
გამჭრიახობა იყო საჭირო, რომ ქვეყანა ისევ გაკეთებული და
აშენებული ყოფილიყო. არჩილ მეფემ არ დაიშურა თავისი
მხნეობა და სიმდიდრე, რომ საქართველო თავისივე წინანდელ
ღონეზე დაეყენებინა. მიჰყო ხელი სამეფოს გამგეობას; განაგო
და გააწყო იმერეთის დაშლილი საქმეები, და დაუყენა ხალხს
გონიერნი გამგებელნი. იმერეთი მოსულიერდა, გამხნვედა და
იწყო ჩვეულებრივი ცხოვრება.

ამის შემდეგ მეფე იმერეთიდან ქართლს გადმოვიდა. აქაც ისე მხნედ მოიქცა, როგორც იმერეთში და განაახლა ეკლესიები, სოფლები და ქალაქები; დააყენა ქვეყნის გამგებელნი. ამ დროს მცხეთა უფრო აშენდა და გამაგრდა. არჩილმა არ დასტოვა უუურადღებოდ ძახეთიცა.

ის გავიდა ბაღმა-მხარს, ლაგოდახში, მოაქცია აქაური მთის წარმართი ხალხი, ნოხვატელნი, შრისტეს რჯულზე და ააშენა მთებში მრავალგან ეკლესიები, სიმაგრეები და ციხეები. მისგან არის აშენებული სოფელს ძაკში, მთაზე, ძახარის საყდარი.

არჩილმა იმეფა 50 წელიწადი. ის იყო მხნე და გონიერი პატრონი ქვეყნისა. იმას უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა და ერის კეთილ-დღეობისათვის არა ჰზოგავდა სამეფო ხაზინას. მამა-პაპისაგან დარჩენილი სიმდიდრე ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობას მოახმარა და მურვან-შრუსაგან აოხრებულს საქართველოს ისევ სული ჩაუდგა. ხალხი დამშვიდდა და დადგა ცხოვრების წარმატების გზას. შრის ცხოვრება გაუკეთესდა. შევლანი კმაყოფილნი იყვნენ თავისი ბედისა, სცხოვრებდნენ არხენად და არსაიდგან მოვლოდნენ მტრის შემოსევას.

მაგრამ ბედი ჩუმ-ჩუმად მწარე ხვედრს უმზადებდა არჩილსა და მის სამეფოს. 744 წელს ძახეთს შემოესია ღიდის ჯარებით არაბი შიქუმ-ასიმი. შეშინდა მშვიდობის მოყვარე მოხუცი მეფე არჩილი, ამისათვის რომ არა ჰყვანდა მტრისათვის პასუხის გასაცემად დამზადებული ჯარები. ამაზე იყო ის დღონებული და, რო სხვა ველარა მოახერხა რა სამშობლოს დასახსნელად, განიზრახა შიქუმ-ასიმთან მისვლა და შებრალების თხოვნა. მოიწადინა და აღასრულა კიდეცა. მტერი პირველად კარგად და აღერსიანად დაუხვდა, მაგრამ მეორე დღეს უთხრა: „თუ მაჰმადის რჯულს მიიღებ, არას ვაენებ შენს სამეფოსაო.“ არჩილმა ეს არ იკისრა. შიქუმში განრისხდა, დაატუსაღა და საპრობილეში ჩასვა.

ამ დროს მეფე დააბეჭდა მტერთან ერთმა ქართველმა თავადმა. ეს უღირსი ქართველი იყო შარაიაშელი—ბარდაბანე-



ლი. არჩილის მტერობით იმან ჯერ მაჰმადის რჯული მიიღო, რომ თავი შეეყვარებინა მტრისთვის. ამისი პაპა თურმე მოეკლა ერთს ვილაცა წანარს, ზაქათალის მაზრაში მცხოვრებს მთიულს, მაგრამ არჩილის პაპას აღარანსეს ის არ დაესაჯა. თავადი ეხლა არჩილისაგან პაპის სისხლს ითხოვდა. ის მივიდა ჭიჭუმ-სიმითან და ასე უთხრა: „იცი, ვინ არის ეს არჩილი? მს არის შვილი სტეფანოზისა, ჩამამავალი მირიან მეფისა და დიდის მეფის მახტანგ-მორგასლანისა; იგი თავის მამასთან იყო იმ დროს, როცა ის ჰმალავდა საქართველოს სამეფო ხაზინას არაბთაგან. იცის აგრეთვე, საცა დამარხა თავისი ხაზინა საბერძნეთის იმპერატორმა შრეკლემ, როცა ის საქართველოში იყო და ებრძოდა სპარსეთის ხელმწიფეს ქასრე ნუშირვანს.“

ჭიჭუმ-სიმიმა ბეჯითად გამოჰკითხა არჩილს ადგილი ხაზინებისა, მაგრამ მან არ უთხრა. მს მტერმა იწყინა და დაუწყო უფრო დაჯინებით ძალ-დატანება, უარი ეყო მას ქრისტეს რჯული და მიეღო მაჰმადიანობა; მაგრამ ყოველმა მუქარამ და მეცადინეობამ მას ცუდათ ჩაუარა. არჩილი მტკიცედ იდგა თავის მამა-პაპის რჯულზე. ამაზე ის უფრო გასწყრა, განრისხდა და გააფორდა: ვასცა ბრძანება მოეკვეთათ თავი სულ-გრძელისა მეფისათვის. არჩილი გაიყვანეს საპაპო-ბილიდამ. მოვიდა ჯალათი-ცი და მოჰკვეთა არჩილს პატიოსანი თავი, რომელიც ეუბნებოდა მტერს: „მიყვარს მამაპაპული ქრისტეს რჯული და მსურს უვნებლობა მისი და სამშობლო ქვეყნისა, და ამისათვის არა ვშიშობ მიეგებო სიკვდილს!“ მს მოხდა 744 წელს, 20 მარტსა.

მართველმა ხალხმა მიიღო ეს უზომო მსხვერპლი თავის მეფისა დიდის მადლობითა და პატივით. მან მოიყარა მუხლი საღმრთო მოწიწებით და ღმობიერებით წინაშე წმინდისა მეფის გვამისა; აღიდა მისი სახელი, შერაცხა წმინდა მოწამედ და აღიარა თავის მეოხად წინაშე ზეციერი მამისა.

არჩილი ასაფლავია მრწო-თიანეთს ნოტკორის ეკლესიაში, რომელიც მისგანვე არის აშენებული. ის მოასვენეს აქ ბოდბე-ძიშვილებმა და აზნაურთ მამეაშვილებმა. საქართველოს ეკლესია მის ხსენებას დღესასწაულობს 21-ს ივნისს.

მღვდ. დ. ჯანაშვილი.



...თუცნობს...
...თუცნობს...
...თუცნობს...

ჰაერის და მისი თვისებანი *).

თ ა გ ი VIII.

სანამ ჰაერის სხვა თვისებებს შევისწავლიდეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვა მის სიმძიმეზედ ვსთქვათ, განსაკუთრებით კიდევ მასზედ, თუ რა გვარად ისარგებლა კაცმა ჰაერის სიმძიმის გაგებით.

სდა მე-18. წარმოიდგინეთ ერთი დიდი რამ ქურჭელი, თუნდა ბოქვა (სურ. 19). ვსთქვათ, ეს ბოქვა საცხა რომელიმე საღვრელი სხეულით: წყლით, ღვინით ანუ ნავთით. ამ ბოქვას კრანი არა აქვს, მხოლოდ ზემოლამ აქვს ერთი პატარა ნახვრეტი. მხლა მითხარით, რანაირად მოვიქცეთ, რომ უკრანოთ, ბოქვის შეუნძრევლად (რადგან ძლიერ მძიმეა), საღვრელი სხეულის ცოტაოდენი ნაწილის ამოღება გესურდეს?



სურ. 19

ამისათვის ერთგვარი იარაღი არსებობს, რომელსაც უწოდებენ ლივერს. ლივერი წარმოადგენს ქურჭელს ორის ნახვრეტით—ერთი ზემოლამ, მეორე ქვემოლამ. ნახვრეტებში გაცემებული აქვს სხვა-და-სხვა სივრცის მიღები. ლივერის გრძელ მილს ბოქვის ნახვრეტში ჩაუშვებენ; მეორე მილს პირში ჩაიდებენ და ლივერში მყოფ ჰაერს სულ ერთიან ამოზიდვენ; მაშინ საღვრელი სხეული ბოქვიდამ ლივერში ამოვა. რათა?—ამიტომა რომ, ლივერში მყოფ ჰაერს დაწოლის ძალა, შედარებით გარეთა ჰაერთან, ძლიერ აკლდება, რადგან თვითონ ჰაერიც ძლიერ ცოტალა რჩება მას შემდეგ, რაც იქილამ ჰაერი გამოიყვანეს.

*) იხ. „ნობათი“-ს №№ VII, VIII და IX.

როდესაც ლივერის რამოდენიმე ნაწილი გაივსება საღვრელი სხეულით, მაშინ ზემოთა მილს თითს დაადებენ და ბოჭკი-დამაც სრულიად ამოიღებენ. აქ თქვენ შენიშნავთ, რომ საღვრელი სხეული ლივერიდამ არ იღვრება. აბა მითხარით, რატომ? რა უნდა ვქნათ, რომ ლივერიდამ სხვა ჭურჭელში გადასხმა შეეძლოს?

სიქონი. შეიძლება რომელიმე ჭურჭლიდამ საღვრელი ისე ამოვღვაროთ, რომ თვით ჭურჭელს სრულიად არ შევეხოთ. ამისათვის ხმარობენ, ესრედ წოდებულს, სიქონს (სურ. 20).



შთავრესი ნაწილი სიქონისა არის კრკალივით მოხრილი მილი. ამ მილს ერთი მხარე მოკლე აქვს, მეორე გრძელი; გრძელ მხარეზედ მიმაგრებული აქვს სხვა მილი, რომელიც შუა ადგილას ბურთივით გრგვლად გამოზბერილია.

სურ. 20

სიქონის მოკლე მხარეს ჩაუშვებენ წყლით ან სხვა სხეულით სავსე ჭურჭელში, გრძელ მხარეს კი თითით დაჰხურავენ; ბურთიან მილს ჩაიდებენ პირში და ჰაერს შეისუნთქავენ. მაშინ მთელი სიქონი გაივსება წყლით და კიდევ გამოედინება გრძელ მხრიდგან, თუ მას თითს მოაშორებენ.

ასევე შეიძლება ჭურჭლიდამ ამოღვაროთ საღვრელი სხეული, თუნდა სიქონის მაგივრად უბრალოდ მოხრილი მილი, რომელსაც ორი მხარის მეტი სხვა მეტი ნაწილი არაფერი არა აქვს რა. მაშინ საკიროა მხოლოდ პირში გრძელი მხარე ჩაიდოთ და ჰაერი იქიდან გამოჴიდოთ. ბარჩევა სიქონისა და უბრალო მოხრილი მილის ხმარებაში ის არის რომ, როდესაც პირველიდგან ჰაერს შეისუნთქავენ, საღვრელი სხეული პირამდის არ ამოვა, რადგან, ჭურჭლიდამ ამოსვლის შემდეგ, იმას გზაში დახვდება გამოზბერილი ადგილი; სანამ ეს ადგილი სხეულით გაივსება, თქვენ შეგიძლიათ მიფარებული თითი სიქონის გრძელ მხარეს მოაშოროთ და სხეული იქიდან მაშინვე გამოედინება და პირამდის ვერას გზით ველარ ავა.



შბრალო მოხრილი მილის ხმარებაში კი თქვენ სხვა მოვლენას შენიშნავთ. რაც გინდა ბევრი ეცადოთ, საღერელი სხეული მილიდამ ჰაერის შესუნთქვის დროს უსათუოდ, ცოტად თუ ბევრად, პირში გეცემათ. რასაკვირველია, ეს სასიამოვნო არ არის, მეტადრე თუ მყრალი წყლის ანუ სხვა რამ სიმრთელისათვის მავნე სხეულის ამოღება გსურთ.


როგორც პირველ შემთხვევაში, აგრეთვე მეორეშიაც ჰაერის სიმძიმე ანუ მისი დაწოლის ძალა მოქმედობს. აბა, თვითონ თქვენ ახსენით ეხლა, რა ადგილი აქვს აქ ჰაერის სიმძიმეს?

ცად მე-19. აიღეთ ბოთლი და შუამდის წყლით გაავსეთ; მერე პრობკაში მინის მოგრძო მილი გაუბნით, რომელსაც ერთი ბოლო ცოტათი შევიწროებული უნდა ჰქონდეს. ამ პრობკით ბოთლს პირი დაუცვით იმ გვარად, რომ მასში გაბნეული მილის შევიწროებული ბოლო ბოთლის გარეთ მოჰყვეს (სურ. 21).

შემდეგ მილის ამოშვებულ ბოლოდამ, რაც ძალი და ღონე გაქვთ, ჩაჰბერეთ ბოთლში. ბოთლში შენიშნავთ მრავალ ბუშტებს, რომლებიც დაგანახვებთ, რომ ბოთლში მყოფს ჰაერს თქვენ კიდევ სხვა ჰაერიც დაუმატეთ; ეს შინაგანი ჰაერი წყალს ზემოდამ დაწვება და რა-წამს მილს პირს მოარიდებთ, მაშინვე წყალი შადრე-ვანივით ზემოთ ამოვარდება.

სურ 21

აი დალაქები რომელთაც უტხო ენაზედ „პარაკმახერებს“ უწოდებენ, თმის დასასველებლად ერთგვარ იარაღს ხმარობენ, სახელად ჰუ ლ ე ვ რ ი ზ ა ტ ო რ ი (სურ. 22). პულვერი-



სურ. 22

ზატორი ძლიერ ადვილი მოსამზადებელია: აიღეთ მინის ორი მილი,—ერთი მოკლე, მეორე გრძელი; ორსავე მილებს თითო ბოლო პატარა შევიწროებული უნდა ჰქონდეთ. ეს მილები კუთხად ლაქით გადააბით, როგორც არის ნაჩვენები სურათზედ; ეცადეთ კი, რომ შევიწროებული ბოლოები, რაც შეიძლება, ახლო იყვნენ ხელზედ მიტანილნი. ლა-

ქი რომ მიუდგეს მილებს, საჭიროა უკანასკნელნი ცოტათი შეა-



თბოთ. ზრძელი მილი გაუბნით პრობკაში და ამ პრობკით ბოთლს პირი დაუცვით (ბოთლი ნაკლულად უნდა იყოს). შემდეგ მოკლე მილი ჩაიდეთ პირში და დაუწყეთ ბერვა. ამ დროს გრძელი მილიდამ ამოვა რამოდენიმე ნაწილი ჰაერისა, წყალი ბოთლიდამ მილში ამოიწვეს და წვრილ წინწყლებად გაიფანტება. რათა?

თუ თვალი კარგათ ადევნეთ რამოდენიმე უკანასკნელ ცდათა, უსათუოდ შენიშნავდით, რომ, როდესაც ჰაერს შევკუმშავდით ხოლმე, მას დაწოლის ძალა ემატებოდა; პირიქით, როდესაც ცოტა ჰაერს დიდ ჭურჭელში განვვინდით,—მაშინ მას ეს ძალა აკლდებოდა. ამ გვარად ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ არამც თუ მარტო ჰაერი, ყველა სხვა ჰაერის მაგვარი სხეულიც კი.

შეინდა სანთელი რომ შევკუმშოთ, შეკუმშულივე დარჩება: ის წინანდელს თავის შეხედულობას ანუ, როგორც ამბობენ, ფორმას აღარ მიიღებს.

ჰაერსა და მის მაგვარ სხეულებს კიდევ ის თვისება აქვთ, რომ შეკუმშვის დროს ცდილობენ წინანდელი სიფართოვე დაიკირონ, რის გამოთაც ემატებათ დაწოლის ძალა და ამიტომ აწევებიან იმ ჭურჭლის კედლებს, რომელშიაც შეკუმშვილნი არიან; და როდესაც ცოტა ჰაერს დიდ ჭურჭელში მოათავსებთ, მაშინ ჰაერი თავის-თავად გაიწვეს განზედ, გათხელდება და დაწოლის ძალაც, რასაკვირველია, მოაკლდება. ჰაერის ამ თვისებას უწოდებენ უდრეკელობას.

თ ა ვ ი IX.

ზარდა იმ თვისებებისა, რომლებიც თქვენ უკვე გაიცანით, ჰაერს აქვს კიდევ ბევრი სხვაც. მე გირჩევთ საფუძვლიანად გაიცნოთ კიდევ ერთი თვისება ჰაერისა.

აიღეთ ბოთლი და კარგა მაგრა დაუცვით პირი პრობკით; პრობკაში გაუბნით მინის მოგრძო მილი; ბოთლი როგორმე ხელებით შეათბეთ. მერე გადახარეთ ეს ბოთლი და მილის ბო-



ლო წყალში ჩაუშვით,—გათბობას კი თავი დაანებეთ. თქვენ აქ შენიშნავთ, რომ წყალი მიღში ნელ-ნელა ზევით ამოვა. რათა?—ბოთლში იყო ჰაერი; თქვენ გაათბეთ ბოთლი, მაშასადამე გაათბეთ მასში მყოფი ჰაერიც. ჰაერი სითბოსაგან განვრცელდა, გაგანივრდა და რამოდენიმე მისი ნაწილი ბოთლიდან ამოვიდა, რადგან შიგ ველარ მოთაესდა. როდესაც ბოთლი გაცივდა, მასში მყოფი ჰაერიც, რასაკვირველია, გაცივდებოდა. სიცივისაგან ჰაერი შეიკუმშა, ადგილიც, შედარებით წინანდელთან, უფრო მცირედი დაიკავა, რადგან, როგორც ზემოთა ვსთქვით, ჰაერის რამოდენიმე ნაწილი ბოთლიდან ამოსულია; ამასთან დაწოლის ძალაც, რასაკვირველია, მოაკლდა და ამიტომაც ავიდა წყალი მიღში.

ბეჭიროთ მილის ბოლო ისევ წყალში და ბოთლი ხელმეორედ გაათბეთ; დაინახეთ, რომ მიღში წყალი ძირს დაიწვეს. რათა?

ამგვარად შეგვიძლია ბევრნაირათა ვსცადოთ; ყველა ეს ცდანი დაგვარწმუნებენ, რომ ჰაერი სითბოსაგან ვრცელდება, განივრდება და ამასთან დაწოლის ძალა ემატება; სიცივისაგან ჰაერი, პირიქით, იკუმშება და ამასთან დაწოლის ძალაც აკლდება.

აბა, თქვენ თვითონ გამოიგონეთ ისეთი ცდანი, რომელნიც სითბოსაგან ჰაერის გაგანივრებას ამტკიცებდნენ.

მამთბარი ჰაერი ყოველთვის მსუბუქია ცივ ჰაერზედ; ამას თქვენ ძლიერ ხშირათა ჰნახავთ. როდესაც „ლამპა“ ანთია, მის შუშაში ჰაერი თბება, განივრდება, მსუბუქდება და ამიტომ ადის მაღლა. აბა, შუშის თავზედ დაიჭირეთ ბუმბული ანუ მიუშვით პაპიროზის ბოლი და მაშინ დაინახავთ, როგორ აიწვევენ ისინი ზევით. ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ მაშინ, როდესაც ანთებულ სანთელს ან ბუხარს ვუცქერით: ცეცხლის ალის ზემოდად და გარშემო ჰაერი თბება, განივრდება ანუ ფართოვდება, მსუბუქდება, ადის ზევით და იმის მაგივრად ალთან სხვა ახალი ჰაერი მიიწვეს. ამისთანა შემთხვევებში, როგორცა ჰხედავთ, ჰაე-



რი სულ მოძრაობაში არის. ზამთბარი ჰაერი აღის ზევით იმავე მიზეზისაგამო, რომლითაც ხის ნაჭერი ან პროპკა მოიტვიტეებს ხოლმე წყალში.

ჰაერის მოძრაობა ანუ დენა შესაძლოა იქ, სადაც იგი ერთნაირად არა თბება. ზამთბარი ჰაერი ყოველთვის ზევით აღის — ის მსუბუქია; იმის ადგილსა მდინარეობს ცივი ჰაერი. ეს თქვენ შეგიძლიათ სცადოთ. ზაღეთ თბილი ოთახის კარები ეზოსაკენ; ანთეთ ორი სანთელი; ერთი დაიჭირეთ ძირს გაღებულს კარებში, მეორე — მაღლა. ჭვემოთა სანთლის ალი უსათუოდ შიგნით ოთახისაკენ შეიწვეს, ზემოთა კი გარეთ ეზოსაკენ გაიწვეს. რათა? — ცივი ჰაერი ძირიდან ჰბერავს თბილს ოთახისაკენ და თბილი ჰაერი-კი, პირ-იქით, ოთახიდან მაღლა-მაღლა გადის ეზოსაკენ, სადაც ჰაერი შედარებით უფრო ცივია.

აქ თქვენ მიხედვით, თუ რად აღიან მაღლა საპნის ბუშტები, რომლებსაც ბავშვები ხშირად აკეთებენ. ბუშტები გაიფხობიან ხოლმე ჩაბერილი თბილი ჰაერით; და რადგან თბილი ჰაერი ცივზედ მსუბუქია, ამიტომაც ბუშტები მაღლა აღიან.

ზამთბარი ჰაერის ეს თვისება ხალხმა დიდი ხანია გაიგო. ასის წლის წინად საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში ან ონ ეში სცხოვრებდენ ძმანი მონგოლკეცრები, რომელთაც ისარგებლეს ჰაერის ამ საკვირველის თვისებით და გამოიგონეს უფრო გასაკვირველი რამ — ჰაერში მატარებელი.

ამ ორმა ძმამ შეკრეს ერთი დიდი ტილოს ბურთი სიგანით 21 არშინი, ზემოდამ გადააკრეს ქალაღდი; ქვემოდამ ბურთის კარგა მოზრდილი ნახვრეტი ჰქონდა; ნახვრეტთან ახლო მიბმული იყო ტაფა, რომელზედაც ვალვიებული ნახშირი ეყარა. ამ ნახშირის წყალობით ბურთში მყოფი ჰაერი თბებოდა და რადგან (როგორც უკვე იცით) ზამთბარი ჰაერი შედარებით, ცივზედ მძიმეა, ამიტომ ბურთი მაღლა წავიდა სწორეთ იმავე მიზეზისა გამო, რა მიზეზითაც წყალში გაღებულთი ხის ნაჭერი ზევით მოიტვიტეებს ხოლმე.

ჰაერში ასასვლელ ბურთებს, მონგოლკეცრების შემდეგ,

ბევრი სხვანიც აკეთებდენ. იმის მოსამზადებლად ამ ჟამად ტილოს კი აღარა ხმარობენ—სხვა ნაქსოვს, უფრო ძვირს და იმისთანას, რომელიც სრულიად ჰაერს არ გაიტარებს. ბურთს ავსებენ გამთბარი ჰაერით კი არა, არამედ სხვა გაზით, რომელიც, ჰაერთან შედარებით, გაცილებით მსუბუქია. თვითონ ბურთებს ძლიერ დიდს ამზადებენ, რომ, რაც შეიძლება, მაღლა ავიდეს. ბურთს გარეშემო თოკების ბაღე არტყია, რომელზედაც ქვემოდამ მიბმულია დიდი კალათა. კალათაში 2, ზოგჯერ 3 კაცი ჯდება. როდესაც ბურთი გაზით გაივსება, მაღლა ცისაკენ აიწევს; კალათასაც და მასში მსხდომ კაცებსაც თან აიტანს. (სურ. 23).



ჰაერში მატარებელს ამგვარს ბურთს უწოდებენ ჰაეროსტატს.

მეცნიერები ხშირად ასულან ჰაეროსტატით ძლიერ მაღლა; ზოგჯერ 10 ვერსის სიმაღლეზედაც.

ამგვარი მოგზაურობით ხალხმა გაიცნო ძლიერ ბევრი მოვლენანი ბუნებისა და ცდილობს ამ გაცნობით ცხოვრებაში ისარგებლოს.

სურ. 23. საუბედუროთ, ჯერ მეცნიერებს არა აქვთ გამოგონილი ის საშუალება, რომლითაც ჰაეროსტატის სრულიად დამორჩილება შეიძლებოდეს და იქით მიმართვა, საითაც კაცს წასვლა-წამოსვლა ჰსურს. მართალია, ეხლა ხშირად აღიან ჰაეროსტატით მაღლა, მაგრამ ჰაერს თავის ნებით დააქვს ის და ატრიალებს ისე, როგორც უნდა და არა შიგ მჯდომის ნდომაზედ. როდესაც ამის საშუალებას გამოიგონებენ, იქვი არ არის, ძლიერ მოუხშირებენ ჰაეროსტატით მოგზაურობას ერთი ადგილიდან მეორემდის, მეტადრე იმიტომ რომ ჰაეროსტატით მოგზაურობა, გაცილებით, უფრო მაღლე შეიძლება და იაფათაც დაჯდება, ვინემ ეხლანდელი რკინის გზით.

მხლა, დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით მიზეზი ჰაერის მოძრაობისა ან დენისა (მოიგონეთ გაღებული კარებით ცდა).

ამ ჰაერის მოძრაობას ჩვენ ვეძახით ნიავს (თუ სუსტია) და ქარს (თუ ღონიერია). იმის შავივრად, რომ ვსთქვათ: ჰაერი

მოძრაობს, მირბის ან მოაბის, ჩვენ ვამბობთ: ქარი ჰქრის, ნია-
ვი ჰბერავს.

თქვენ უსათუოდ ვაგონილი ან წაკითხული გექნებათ, თუ
რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქარს კერძოდ ჩვენთვის, ხალხისა-
თვის, და, საზოგადოდ, ყველა მცენარე-ცხოველთათვის. ჭარბი
აბრუნებს ქარის წისკვილების ჩარხს; ზღვაში ჰმველის ზოგიერ-
თა ხომალდებს სიარულში; მოაქვს სითბო და სინოტიც, რო-
დესაც ჰქრის თბილი ზღვიანი ქვეყნებიდან, სიცივე და სიხმეც,
როდესაც ჩრდილოეთიდან ჰქრის. იგივე სცვლის ჩვენი ოთახის
ჰაერს და ჰუნტავს ყოველ-გვარს ცუდსა და კაცის სიმრთელი-
სათვის მავნე სუნოვნებას.

თავი X.

ზავათავით ჰაერის თვისებების შესწავლა იმითივე, რითაც
დავიწყეთ. შევიტყობთ: რა მიზეზია, რომ ზოგიერთ ალავს სუნ-
თქვა გვიჰქრის? ან ტყეში და მინდორში უფრო სასიამოვნო და
სიმრთელისათვის სასარგებლო ჰაერი რათ არის, ვინემ სხვაგან,
მაგალ. დიდ ქალაქებში და, განსაკუთრებით, იმისთანა ოთახ-
ში, სადაც ბლომა ხალხი იკრიბება: მაგალითად, თეატრებში
და სხვ.

ცდა მმ-20. აიღეთ წმინდა სანთლის ნამწვი, მიაკრიოთ
პატარა მართულის ერთ ბოლოს, მეორე ბოლო მართულისა კი
გატარეთ პრობკაში და ამ პრობკით ბოთლს პირი დაუცვიოთ,
ასე რომ ნამწვი ბოთლში მოჰყვეს. რამდენიმე წამის შემდეგ
თქვენ შეამჩნევთ, რომ სანთელი გაჰქრება. ეს ცდა გვიჩვენებს,
რომ ანთებული სხეული დახურულ ჰურჭელში ჰქრება. ამის
მიზეზსა მალე შეიტყობთ.

ცდა მმ-21. აიღეთ ცოტათი მაგრა მოხარშული კვერცხი
და ნაქუჭი გადააცალეთ; მერე გრაფინში ცოტა წყალი ჩასხით,
შემდეგ ჩაყარეთ შიგ ქალაღის ნახევები და მოუკიდეთ ცეცხ-
ლი. რა წამს აენთება, გრაფინს პირში კვერცხი გაუყეთეთ. თქვენ
აქ შენიშნავთ, რომ კვერცხი მძიმე-მძიმედ ძირს დაწვეას დაიწ-



ყებს და ბოლოს სულ გრაფინში ჩაეარდება. რათა?—როდესაც ქალღი იწეება, გრაფინში ჰაერი ცოტავედება, აკლდება დაწოლის ძალა, გარეთა ჰაერი ჰსძლეეს და კვრცხს ზევიდამ აწეება. რათ ცოტავედება, ან სად მიდის გრაფინში მყოფი ჰაერი—ამას თქვენ შემდეგ შეიტყობთ.

ჴერ ეს ვიცოდეთ, რომ დახუროულ ჴურქელში ანთებული სხეული ჴქრება და მერე ისა, რომ ამას გარდა ჴურქელში მყოფი ჰაერი ამ ღროს ცოტავედება. ამის ახსნა დიდი გასაქირი არ არის.

ცდა მმ-22. ფოსფორის სპიქებს დაამტერიეთ თავები—ბრონილად კი, თორემ ფოსფორი მალე აენტება. სპიქის თავები ბრტყელ პრობკაზედ დაყარეთ და ეს უკანასკნელი წყალში ჩადეთ. მოამზადეთ ჴიქის პირ-განიერი ჴილა; მოუკიდეთ ცეცხლი ანთებული გრძელი მკვართი სპიქის თავებს და მთელი პრობკა გადმოპირქვავებულ ჴილით უცებ დაჰხურეთ. (სურ. მე-24).



სურ. მე-24.

რომ, სანამ სპიქის თავები არ გამქრალან, წყალი ჴილაში მალე აწევას დაიწყებს და ბოლოს ერთ ადგილს გაჩერდება; დანარჩენი ადგილი ჴილაში გაივსება მოთეთრო ბოლით.

სოტა ხანი რომ მოიცადოთ, ფოსფორი სრულიად გაჰქრება და შემდეგ თეთრი ბოლიც დაიკარგება. ჴილა ისევ მკვირვალე გახდება—ეს იმის ნიშანი იქნება, რომ იქ ბოლი სრულიად აღარ არის. (ფოსფორის სპიქის მაგივრად შეგიძლიათ უბრალო ქალღი ანთოთ,—შედეგი ერთი და იგივე იქნება).

ახლა ჩვენ შემდეგი გამოვიკვლიოთ: საით წავიდა ბოლი? ჴილაში წყალი რათ ავიდა? რათ გაქრა ფოსფორი? რა დარჩა ჴილაში წყალ ჴემოდამ შემდეგ ფოსფორის დაწვისა და ბოლის დაკარგვისა?

ბოლი, როგორც უსათუოდ უკვე მიხვდებოდით, წარმოსდგა ფოსფორის დაწვისაგან; ბოლი, გარდა წყლისა, ვერ საით

ვერ წავიღოდა. იგი შეუერთდა ან უკეთ ვსთქვათ, გაღნა წყალში ისე, როგორც ღნება შაქარი ან მარილი. როგორ შევიტყოთ, რომ ბოლი ნამდვილად შეერია წყალს? ის ვიცით, რომ როდესაც წყალში შაქარი ღნება, წყალი ტკბილდება. თუ ბოლი, როგორც ვამბობთ, მართლა შეერთებია წყალს, მაშინ ამ უკანასკნელს რაიმე ცვლილება უნდა შეეცუოს. ცვლილებასაც ნამდვილად შეატყობთ: ენაზედ რომ დაიწვეთოთ, ნამეტნავად თუ ბოლი ბევრი იყო, უსათუოთ მკავე გემო ექნება. მაშასადამე ბოლი შეუერთდა წყალს.

ახლა მითხარით, რა მიზეზით ავიდა წყალი ქილაში? წყალს შეეძლო ასეღა მხოლოდ მაშინ, თუ ქილაში ჰაერი დაცოტაეღებოდა. მართლაც, ჰაერის რამოდენიმე ნაწილი წავიდა იმაზედ, რომ ფოსფორი დამწვარიყო და გაჩენილიყო ბოლი.

ახლა გავიგოთ—რამდენი დარჩა ქილაში ჰაერი. აბა, შეიტყეთ: ჰაერია ეს დარჩომილი ნაწილი, თუ არა? ჩვენ შეგვიძლია ექვი შევიტანოთ, რომ იგი ჰაერი არ არის. რატომ?—პარგათ ვიცით, რომ ჰაერში ყვეღა სხეული თავისუფლად ენთება. აქ კი აღვიღად შეამჩნევთ, რომ დარჩომილ ჰაერის ნაწილში ფოსფორი მალე გაქრა და აღარ აენტო. მაშასადამე ის ჰაერი არ უნდა იყო. ჩვენ ეს შეგვიძლია სხვაგვარად ვსცადოთ.

ცღა მმ-23. ბანავარძოთ წინა ცღა. წყალში მოპირქევეღბულს ქიღას წყალშივე დაუცვით დიდი პრობკა; მერე წყლიდამ ამოიღეთ, ორიოდეჯერ შეაქანჭყარეთ, რომ, რაც ბოლი დარჩა, სულ შეუერთდეს წყალს. ბანთეთ კვარი, ახადეთ ქიღა და ანთებული კვარი შიგ ჩაუშვით, როგორც არის ნაჩვენები მე-25



სურათზედ. თქვენ ნახეთ, რომ კვარი უცებ ქრება, თითქო წყალში ჩაუშვესო. ამით უნდა დავრწმუნდეთ, რომ, ფოსფორის დაწვის შემდეგ, ბოლის გარღა ქიღაში კიღვე რჩება ჰაერის ერთი ნაწილი, რომელიც გარეგანი შეხედულობით სრულიად ჰაერს წაგავს, მაგრამ დიდად განირჩევა იმით, რომ ანთებული სხეული იმაში უცებ ჰქრება და, რასაკვირვეღია, ასანთები სხეული ზომ სრულიად სურ. მე-25. არ აენტება.

ამას განსაკუთრებთი ყურადღება მიაკციეთ.

აქედამ სჩანს, რომ ჰაერი შესდგება ერთი სსეუღისგან კო

ანა, როგორც ზეენ გვეჩვენება, ანამედ ორისაგან. წადგან ეს ორი სხეული გარეგნობით ჰერისაგან სრულიად არ გაიხსენება, ამიტომ ამათ, როგორც თვითონ ჰერს, ჰქვანთ გაზები. ერთსა ჰქვანთ აზოტი, მეორეს — მჟავა-მზადი.

აზოტი სწორედ ის არის, რომელიც დარჩა ქილაში ფოსფორის დაწვის შემდეგ. აზოტში ანთებული სხეულები ჰქვებიან ანუ, როგორც ამბობენ, აზოტი არ ეხმარება ნთებას. რაც შეეხება მეორე გაზს, მჟავა-მზადს, უნდა ვსთქვათ რომ ის ნთებას ძლიერ ეხმარება. სანამ ჰაერში მჟავა-მზადი მოიპოვება, სხეულები ენთებიან, როდესაც ის აღარ არის, სხეულებიც ჰქვებიან.

სხეული რამდენიც იწვის, იმის-და-გვარად ჰაერს მჟავა-მზადიც აკლდება; ეს მჟავა-მზადი უერთდება სხეულის იმ ნაწილებს, რომელიც იწვის და ჰბადავს ბოლს. სხვა-და-სხვა გვარს სხეულეც სხვა-და-სხვა ნაირი ბოლი აუდის. მაგ. ანთებულ გოგირდს სრულიად უფერული, მაგრამ მაგარი სუნიანი ბოლი აქვს. (მოიგონეთ გოგირდის სპიკვა).

მჟავა-მზადისა და აზოტის გარდა ჰაერში კიდევ რამდენიმე სხვა გაზებია და მათთან წყლის უბრალო ორთქლიც. ამ გაზებზედ ჩვენ ბერს არას ვიტყვით რას, ნამეტნავად იმიტომ რომ, შედარებით პირველს ორ გაზებთან, ესენი ჰაერში ძლიერ ნაკლებად არიან. საილამ ჩნდება ჰაერში წყლის ორთქლი, ამას დარწმუნებული ვარ, თითონვე მიხედვით.

აბა განმარტეთ: რათა ჰქვება ანთებული ლამპარი, როდესაც იმის შუშას ზევიდამ რასმე დააფარებენ ხოლმე? — როდესაც შუშას ზემოდამ აფარებთ, მაშინ ამით თქვენ უშლით ახალ ჰაერს შუშაში ქვემოდამ შესვლას და ჰაერთან მჟავა-მზადსაც. მჟავა-მზადი თუ არ მიადწევს იმ სხეულთან, რომელიც იწვის, ის ვეღარც აენთება.

მგონია, ეხლა ადვილად მიხედვით, რათ ჰბოლავს ლამპარი, როდესაც იმას შუშას მოაშორებენ ხოლმე. ამბობენ, რომ შუშის შემწვობით ლამპარის აღთან მიმავალ ჰაერს უფრო

ემატება დენა, უფრო სისწრაფით მიდის ჰაერიო. რა მიზეზით? — როდესაც შუშა ცხელდება, რასაკვირველია, ამასთან შიგ მყოფი ჰაერიც ძლიერ გათბება. ეს კიდევაც ვიცით, რომ ჰაერი რამდენიც უფრო გათბება, იმდენი უფრო სისწრაფით ავარდება მაღლა; იმის სამაგიეროდ ქვეშითა ნაჩერეტიბი დამ იმავე სისწრაფით, რასაკვირველია, სხვა ახალი ჰაერი შევა შუშაში. ჰაერს თან შეჰყვება მჟავ-მბადიც, რომლის წყალობითაც ყოველი ნაფ-თის ან სხვა სხეულის ნაწილი, რომელიც კი პატრუქში ამოდის, მოასწრობს დაწვას.

ითუ რომ შუშა არ არის, მაშინ ჰაერი ძლიერ მძიმედ მოძრაობს, ნაკლებად მიდის ალთან, ნაკლებადვე მივა, რასაკვირველია, მჟავ-მბადიც; ამიტომ სხეულის ზოგიერთა ნაწილები სრულიად ვერ დაიწვებიან და მკვარტლისა და ბოლის მსგავსად ავლენ სიერცეში.

მართალია, ჰაერის ყველა თვისებები არ გაგიცნიათ, მაგრამ იმდენი კი შევიტყუეთ, რომ ცოტად თუ ბევრად, შეგიძლიათ ახსნათ, განმარტათ: რათ გვიკირდება სუნტქვა, გვეხუთება სული იმ ოთახში, რომელშიაც ერთად ბლომად იკრიბება ხალხი, ნამეტნავად, თუ იმ ოთახში ბევრი სანთლებიც ან ლამპრები ანთია. მსწავლული, მეცნიერი ხალხი ბევრ ცდათა შემდეგ დარწმუნდნენ, რომ ადამიანისა და ცხოველის ამოსუნთქვის დროს, ფილტვებიდამ ჰაერის ყველა ნაწილები სრულიად არ ამოდიან; ფილტვებიდამ უკან ამოდიან მხოლოდ აზოტი, წყლის ორთქლი და კიდევ ერთგვარი გაზი, რომელსაც ჰქვიან ნახშირი-მჟავა. შესანიშნავი ის არის, რომ მჟავ-მბადი არასდროს უკან არ ამოდის ფილტვებიდამ.

ამიტომ, როდესაც ერთ ოთახში ბევრი ხალხია მომწყვდეული, მჟავ-მბადი საჩქაროდ იხარჯება, ჰქრება ჰაერიდამ. შემოაკლდება თუ არა ოთახის ჰაერს მჟავ-მბადი, ხალხი მაშინათვე იგრძნობს ამას: გაუძნელდება სუნტქვა, სული შეეხუთება. ხშირად ზოგი ამას ვერ აიტანს ხოლმე, შეუწყუნდება გული და ახლო მდგომნი იძულებულნი ხდებიან აიღონ და ხელით გაი-



ტანონ გარეთ სუფთა ჰაერზედ, რომელიც მსწრაფლ ააყვებინებს ხოლმე თვალებს შეწუხებულს.

სანთლები და ლამპრები, როცა ანთია, ძლიერ ეხმარებიან მკაფ-მბადის გამოღოევას ოთახში; ამიტომ, რამდენსაც ბევრ სანთელს აანთებთ ოთახში, იცოდეთ, იმდონს ტექენს თავს აცნებთ. ჟოფილა ისეთი შემთხვევები, რომ სამოცი, ოთხმოცი კაცი (ტყვეები) მოუშწყედდეთ ერთ პატარა დაკეტილს სარდაფში, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში სულ ერთიან ამომწყდარან.

აი, ასე საქირთა ყველა სულდგმულისათვის მკაფ-მბადი და მაშასადამე ნორჩი, წმინდა ჰაერი. აი, რისთვის არის საქირთა, რომ იმ ოთახში, სადაც ბევრი ხალხი იკრიბება, მალ-მალ გაილოს კარი და ფანჯარა.

როდესაც ოთახში ბუხარი ანუ ფეხი ხურდება, მშვენიერად იცვლება ჰაერი: ოთახის ცუდი ჰაერი თბება და ბუხრის შემწვობით გარეთ მიდის, როგორც იცით; სამაგიეროდ კი ფანჯრებისა და კარების ნაჩერეტებიდამ შედის ოთახში წმინდა ჰაერი. ამიტომ საქირთა ზოგჯერ ბუხარი გახურდეს არა მარტო სახლის გასათბობათ, ჰაერის გასაწმენდათაც კი.

მნლა მხოლოდ ის დამრჩა გითხრათ: რათ არის ჰაერი უფრო სუფთა ტყეში, მინდორში და ბაღში, ვიდრე ქალაქში ან ოთახში?—მცენარეები ცხოველებივით სუნთქავენ, უკეთ ესთქვათ, შეიზიდავენ ხოლმე ჰაერს, და ზოგიერთა იმის ნაწილებს უკანვე აბრუნებენ. მაგრამ ცხოველებისა და მცენარეების სუნთქვას შუა დიდი გარჩევაა. მცენარეები სუნთქავენ ნახშირ-მკაფას, ე. ი. იმ გაზს, რომელსაც ცხოველები უკან ამოისუნთქავენ და რომლითაც იმათ სუნთქვა არ შეუძლიათ; ნახშირ-მკაფას სამაგიეროდ მცენარეები გამოსცემენ ხოლმე წმინდა მკაფ-მბადს, რომელიც ესე საქირთა ადამიანებისა და საზოგადოთ ცხოველების სუნთქვისათვის. ამიტომ მინდორებში და ტყეებში მკაფ-მბადი ძლიერ ბლომად მოიპოვება, რომლის გამო სუნთქვაც ადვილდება და

ადამიანის ჯანსაღ სიმართლევ ეძლევა. აქედამ ადვილად მიხედვით, რა სასარგებლოა, კაცმა თავის სადგური მცენარეებით დაამშვენოს ხოლმე.

აბა, ახლა სათითაოდ ჩამოთვალეთ ჰაერის ყველა ის თვისებანი, რომელნიც დასაწყისიდანვე გაიცანით.

ბოლოს კიდევ მოგაგონებთ, რომ თქვენ ჰაერის მხოლოდ უმთავრესი თვისებანი გაიცანით და არა ყოველი, რომლებიც კი შეადგენენ ჰაერის სრულ კუთვნილებას.

ა. მიწიანაშვილი

შენი შენა. ამ სტატიის შედგენის დროს ჩვენ ვსარგებლობდით რუსული წიგნით *Доступные опыты С. С. Григорьева*.



სინტაქსო. ცნობები.

✓ *** მწერების მოსასპობი საშუალებები. თუ გინდათ, რომ სახლში ბალღინფო მოსპოთ, კრაოტებს, კედლებს და სხვ. ახლად ადუღებული შაბ-წყალი წაუსვით და ბალღინფოები გაჰქრებიან.

სახლის კედლებისა და ჭერის თეთრად შეღების დროს, კირს რომ შაბ-წყალი გაურიოთ, ამბობენ, ამ გვარ შენობებში ბუზები არ ჩერდებიან.

✓ *** სინესტეს მოსპობა. აი რა საშუალება იხმარება იმისათვის, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში ნესტიანი კედლები და სარდაფები გამოშრეს. 3-4 გოჯის მოშორებით კედლიდამ უნდა გააკეთოთ ფიცრული კედელი და პირველსა და მეორეს შორის ცარიელი ადგილი აავსოთ დაუქრობელი (უწყლო) კირით. ეს კირი რამოდენიმე საათის განმავლობაში შეისვამს კედლიდამ სინესტეს; ის სიმზურვალე, რომელიც ჩნდება კირისა და სისველის შენებისაგან, აშრობს კედლებს. სარდაფის იატაკზე უნდა მოაყაროთ იმისთანავე კირი 2 გოჯის სისქეზე. ასე უნდა გაიმეოროთ სამი დღის განმავლობაში სამეფერ, მაგრამ ყოველ გამოცვლაზე კირი ახალი უნდა იყოს; გამოცვლილი კირი კი ძლიერ კარგი იქნება, რომ მიწას მოაყაროთ ბაღში ან საყანე ადგილებში, რადგან მოსავლისათვის მეტად სასარგებლოა. ცემენტშიც იხმარება სინესტეს მოსასპობათ, მაგრამ სამაგიეროდ 300—400-ჯერ უფრო ძვირად დაჯდება.

*** ვინ რამდენს ქალაქსა სმარობს. სტატისტიკურად გამოანგარიშებულია, რომ მთელს დედა-მიწაზედ სულ 3985 ქალაქის ქარხა-



ნაა, სადაც ყოველ-წლოვით 952 მილიონი კილოგრამი ქაღალდი კეთდება. აქედამ, მარტო გაზეთებზე მიდის 300 მილ. კილ. რომელი ხალხი რამდენსა ხმარობს, რომ გამოვიანგარიშოთ, აი რა გამოდის: ერთი ინგლისელი ყოველ-წელს ხმარობს 11¹/₂ გირვანქა ქაღალდსა, ერთი ამერიკელი—10¹/₂ გირვანქასა, ნემეცი—8 გირვ., ფრანცუზი—7¹/₂ გირვ., იტალიელი და ავსტრიელი—სამ-სამ ნახევარ გირვ.; მექსიკელი—2 გირვ., ესპანიელი—1¹/₂ გირვ., რუსი კი—1 გირვ.

*** უდიდესი საათი. ყველაზედ უდიდესი საათი მთელს დედამიწაზედ ჰესტმინისტერის სასახლის საათია ლონდონში (ინგლისში). ამ საათის ოთხ ციფერბლატს, (რომელზედაც ციფრებია დაწერილი) უჭირავს 22 კუბიკური ფუტი; ერთი მინუტის განმავლობაში მინუტის მაჩვენებელი გადის 7 დიუმი მანძილსა. ეს საათი 8¹/₂ დღეში ერთხელ მოიმართება, რეკავს კი 7¹/₈ დღის განმავლობაში; ასე რომ ამ რეკვის შესწევებით აცნობებს, ახლად მომართება საჭიროვო. „მაიატნიკი“ ამ საათისა სიგრძით 15 ფუტია; გორგოლები თუფისაა; ზარი, რომლითაც რეკავს საათებს, სიმაღლით 8 ფუტია, განით 10 ფუტი; წონით თითქმის 15 ტონია; ეს საათი მეოთხედ საათსაც რეკს, ასე რომ პარლამენტის „სტენოგრაფები“ ამ საშუალებით სარგებლობენ და იცვლებიან ერთი-მეორეს ყოველ მეოთხედ საათის განმავლობაში.

*** შაჰის შასუსი. შაჰი რომ ვენაში (ავსტრიაში) იყო, ერთხელ ცხენის დოღზე მიიპატიჟეს. ამაზედ შაჰმა მიუგო: „ერთი ცხენი რომ მეორეზე უფრო ჩქარა გარბის, ეს დიდი ხანია ვიცი; და, თუ გინდათ მიჩვენოთ, იმათგან რომელი უფრო ჩქარა გარბის, ეგ ჩემთვის, სწორედ მოგანსენოთ, სრულებით ერთია.“

*** მოსკოვსკეული ქება.—ნუ თუ აქამდისინ ვერაფერი ვერ დაიშასხურეთ?—ეკითხებოდენ ერთს, 25 წლის დო-ყლაპიასა, რომელსაც ჯერ პირველი „ჩინი“-ც არ მიეღო.

მეორე ვაჟ-ბატონი დაეხმარება, რომ გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდან.

— რას ბრძანებთ, ბატონო? ეს ჯერ ასე ჯიულია და რამდენი ხანია... რამდენი ხანია ლენერლის შვილი გახდა.

ამის მეტი ქება ვერ უთხრა.

*** ჭკუის ძაღა.— როგორ შეგიძლიათ მთხოვით მოსამსახურედ დაგიყენოთ, როდესაც წასული კვირას თვითონ მე გიცავდით ქურდობის ბრალ-დებულობისაგან?

— „გიდევაც მიტომ გიხველით, ბატონო ჩემო: თქვენ იმ დღეს ისე მშვენიერად მაქეთ სასამართლოში, რომ ჩემზე უკეთესი კაცი, მე გგონებ, ცას ქვეშეც არ უნდა იყოს.“

*** ამერიკელის მოსურსება ერთმა ამერიკელმა გამოაცხადა შემდეგი: „მშვენიერი მოგონება. ვისაც უნდა შეისწავლოს უკალმოთ და უმეღნოთ წერა, გამომიგზავნოს ორი მანეთი (ამა-და-ამ ადრესით) და საიდუმლოს შევეუფლი“.

რომელთაც კი გაუგზავნეს ფული ამ ამერიკელს, შემდეგი მოკლე პასუხი მიიღეს: „ფანქარა (ყარანდაში) იხმარეთ“.

*** „მეტის მეტიო—რეტის რეტო.“ —საკვირველია! ექიმი ამბობს, რომ ერთი სტაქანია ღვინო ღონეს აძლევს ადამიანსაო, მე კი ეს მეექვსე სტაქანია ვათავებ, და ძლიერ ფეხებზე ვდგევარ.

*** თასაც არ მოკლდი ერთი ჭინჭელი ავად-მყოფი შესწივლის ექიმს, რომ არც ჯდომა შემიძლია, არც წოლა, არც დგომაო.

— ერთი-ღა დაგროშიათ: დაკიდება—მიუგო ექიმმა.



წარმოდგენილი ბ. ცახელისაგან.

უსელოდ წსუელი სატური მადლა გუთსეში ჰკიდა,
სხვისთვის მახეა, ჰატონის დერუფანი და სიდა.



შეკრებილი ეფრ. მ — მისაგან.



1. ჩემი ცხენი სოხანი,
სოხანზე უფრო სოხანი,
წავა ინდოეთს, წყალს დალექს,
მომივა ისევ ცოცხალი.
2. შიგნით გული გუღია,
მას გარედგან ატლასი,
მას გაღაფანი ჯღია,
ქომაძი ათასი.
3. ორი ფრინველი ჩემ თავსა დაბადებითვე სსდებიან,
ამ წამსა ჩემთან არიან, იმ წამსა გაჭფრინდებიან;
სსკასა უმინჯვენ ვავარსა, თავისას ვერა სეღვიან,
ასღო არიან მკზობლად, ერთმანერთს ვერა სეღვიან.



მე-7, 8 და მე-9 № № გამოცანების ახსნა.

1 — მამალი. 2. — სავალეები. 3. — სახვარშიშო ჩოთქი.

რ ე ბ უ ს ი.



რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. დუღაძე.



3 ე დ ა ზ მ ზ ი ა.

ქ ი ს ი კ უ რ ი ა ღ ს რ დ ა.

ადამიან. გარეგანი გრძნობები; მათი მნიშვნელობა, მოვლა და ღსრდა.

ადამიანს აქვს სუთი გარეგანი გრძნობა: მსკდკელოზა, სმკნა, შეხება, გემოვნება და უნოსკვა. თვითვეულ გარეგან გრძნობას თვისი საკუთარი ორგანო აქვს. ორგანო მსედველობისა არის თვალუბი, სმენისა—უურები, შესებისა სასოკადოთ მთელი სსკეულის კანი და განსაკუთრებით სელების თითუბი, გემოვნებისა ენა, სოლო უნოსკვისა—ცხვირი. ამ სემო მოსსენებულ გარეგან გრძნობებს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვსთ ადამიანისთვის, რომ უძათოდ მისი გასსნა, სწავლის შექნა და სიციცსლეუ ყოკლად შეუშლებულია. ყოკლივე, რაც კი ადამიანმა იცის გარეგანი მემკნიერების შესსება, გავებული აქვს გარეგანი გრძნობების შემწყობით. ამიტომ, თუ ადამიანი მოკლებულია რომელიმე გარეგან გრძნობას, მას მან ცოდნაში სრული მისი განკითარება შეუძლებულია: ბრამ სრულუბით არ იცის მკ. რა არის სანათლე და ფერები; ურუს არ აქვს წარმოდგენა არაფრის სმასე და ამიტომ ის მტყუკლებსაც მოკლებულია და სსკ. აქედამ ადვილი მისსკედრია, თუ როგორ დიდი გაფრთხილება, მოვლა და გასსნა ეჭირება ყმაწვილის გარეგან გრძნობებს, და როგორ უნდა ზრუნავდეს მათსე მშობლები და აღმსრდელებიც.

გარეგან გრძნობათა შორის ყველასე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვსთ, ადამიანის განების გასსნისა და განკითარებისათვის, მსკდკელოზასა და სმენას. ამიტომაც ხეინც ამ ორ გარეგან გრძნობებსე უფრო ვრცლად უნდა ვიღამარაკოთ.

მსედველობის უმთავრესი და სმენადური დანიშნულება არის ნათელისა და სსკა-და-სსკა ფერების გავება და განობა, მკრამ ამას გარდა, ამ გრძნობის საშუალებით ადამიანს შეუძლიან საგანთა სსკა მრავალ გარი თვასებანიც გაიციოს, როგორც მკ. ფორმა, სიდიდე, მდებარეობა, სიშორე და სსკანი, ისე რომ არც

ერთ გრძნობას არ შეუძლია მის მაგიერი სამსახური გაუწიოს ადამიანს. ამას ვარდა, ის შთაბეჭდილებანი, რომლებითაც ადამიანი ამ გრძნობის შექმნაობით მდიდრდება, უფრო ცხადნი, გარკვეულნი და საფუძვლიანი არიან, ვიდრე სხვა გრძნობებით შექმნილნი შთაბეჭდილებანი.

მსგავსეობის ორგანიზაცი, როგორც ზემოთა ვსთქვით, თავლების, თავლები საზოგადოდ, და განსაკუთრებით ყმაწვილებისა, ძლიერ ნაწ ორგანიზაციებს შეადგენენ. ამიტომ იმათ ძლიერ სიფრთხილედ და მოვლად ეჭირვებათ. განა ცოტანი არიან ისეთები, რომელთაც ზატარაობისას გაუფუჭებიათ თავლები და სინათლედ დაუკარგავთ მოუწველობით? ზრუნვა აღმზრდელებისა ყმაწვილის თავლების შესახებ ორ გვარია: ერთის მხრით, ისინი უნდა სცდილობდნენ დაიცვან ყმაწვილის თავლები ყოველ გვარი დაზიანებისაგან, მეორეს მხრით, უნდა უშეუღონ მათ გასწავლა და განვითარებას.

ზირველი საშუალება, რომელიც აღმზრდელებმა უნდა იხმარონ თავლების მოსავლელად, არის სისუფთავე. ზატარა ყმაწვილს, როგორც ყველასი შენიშნავდნენ, თავლები სშირად ეწინააღმდეგებათ. ამიტომ საჭიროა სშირად მოწმენდა და მოხანა, მაგრამ ჩვენი ქართველი დედები ამ გარემოებას, სამწუხაროდ, სშირად ვერაფერს ვუზადებენ არ აჩვენებენ. ჩვენ სშირად შევხვდებით ზატარა ყმაწვილებს, რომელთაც თავლების ბუკებში მკებნარი ვეობა (ჭიჭბები) გახედათ. ამ მკებნარის მოსაშორებლად დედები ნემსს ანუ ქინძისთავს ჰხმარებენ, რომლითაც, ადვილად შესაძლებელია, დიდი ვნება მისცენ თავლებს. თავლებზე ცუდი გავლენა მომეტებული სინათლესა და მზის სხივებსაც აქვს. ყველამ ცნის გამოცდილებით, როგორ უსიამოვნობას ვგრძნობს ადამიანი, როცა შემდეგ ძილის ანუ სიბნელეში მუთუობისა, მის თავლებს ერთბაშად სინათლე სვდება, და როცა ადამიანი მზეს თავს უსწორებს, ანუ მზიან დღეში თოვლს დასცქერის, ანუ სარკიდან დაბრუნებული სინათლის შუქი მის თავლებს სვდება. და სხვ. მამ საჭიროა სყმაწვილო ოთახის ოფანჯრები დაცულნი იყვნენ სუფთა ოფარდებით მომეტებული სინათლისაგან. დამედ აგრეთვე გაფრთხილება უნდა, რომ ყმაწვილის თავლებს არ ავრს დაზიან ანუ სმთლის შუქმა. მაგრამ ესეც კი უნდა ვიჭინოთ სხეულში, რომ, როგორც მომეტებული და ძლიერი სინათლეს მკებნებელი თავლებისათვის, ისე სინათლის ნაკლებეგანება ანუ ბნელ ოთახში ყოფნა. მამსადავე თავლებისთვის სასარგებლოა მსოლოდ ზომიერი და ერთ ნაირი სინითლე. თავლებს ახდენენ აგრეთვე კომლი, მტვერი და საზოგადოთ ყოველ გვარი უსუფთაობა.

თვალისათვის ძრვიელ მკვებელია აგრეთვე მომეტებული და ღალა და ძალ დატანებული ცქერა. მაშ უმაწვილებს ან უხდა ამ-
ლეკუნენ ნებს დიდ სანს და დალაკამდის იმეცადინონ და იკითხონ,
ნამეტურ ღამე. არის კიდევ ერთხანირი გადაძებთ თვალის სეულებს
(თვალის ტკივილი), რომელიც ძლიერ მკვებელია თვალისათვის.

მოუკლედობისა და ცუდი აღზრდისაგან წარმოსდგება სოღმე
თვალის მრავალ ხანირი ნაკლულებსება. უძთაგრესნი მათგანნი არი-
ან: ბეცობა და სიკლმე. ბეცობა ეს არის, რომ ბეცი ადამიანი
ახლოს თუ არა, შორს ვერაიერს ხედავს და ამიტომ სდდილობს, იმ
საგანს, რომელიც უნდა დაინახოს, თვალეი დაუხსლოვოს. ამ ნაკ-
ლულებსების გაჩენის მიზეზი ის არის, რომ ადამიანი პატარაობი-
სას ისეთ მდგომარეობაში ყოფილა, სულ ახლოს უცქერიდა საგნებისა-
თვის. ეს თვალის ნაკლულებსება ძლიერ განშირებულია მოსწავლე-
თა შორის, ისე რომ, როგორც ზოგიერთი სწავლული ექიმები ამ-
ბობენ, დაბალ სასწავლებელში, თუ მეტი არა, მოსწავლეთა ერთი მე-
ათედი მანინ სულ ბეცები არიან: მალე სასწავლებლებში კი თითო-
მის ნახევარი მეტი. მომეტებული სმარება სათვალეებისა ესლანდელ
დროში იმასვე ამტკიცებს, რომ თვალის მოსხეული ნაკლულებ-
სება სულ თან-და-თან ხშირდება სოღმე.


რადგან თვალის ამ ნაკლულებსებს დიდი და ცუდი მნიშე-
ნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში და სწავლაში, ამიტომ საჭი-
როა, მშობლებსა და აღზრდელებსა, როგორც ოქსში, ისე სკო-
ლებში, ვეროვანი ყურადღება მიაქციონ და დაისხნან მისგან ახლი
შთამძავლობა. ამისთვის საჭიროა ისეთი ზირობებით იყოს მოცუ-
ლი უმაწვილი, როგორც პატარაობისას, ისე სწავლის დროს, რომ
ძლიერ ან დაუხსლოვოს თვალეი ცქერის დროს წეგნებს, რვეულს
და საზოგადოდ ყოველ საგანს, რომელიც მის წინ იყოფილა.

თვალის მეორე ცუდ ნაკლულებსებს შეადგენს სიკლმე. ეს
ნაკლულებსება მისგან წარმოსდგება, რომ პატარაობისას უმაწვილი
ზოგიერთი მიზეზებისა გამო, იმულებულია სულ ერთი მხრისაკენ
იციროს. ამ გვარ მდგომარეობაში უმაწვილს თვალის მუსკულები
ერთი მხრისაკენ უძოვდებიან, მეორისაკენ კი უგრძელდებიან, და
ამიტომ მსეველობაც ერთხანირ მიმართულებას მიიღებს სოღმე, და
ადამიანი თვალის კაკლებს თავისუფლად ვეღარ ატრიალებს. ერთი
მხრისაკენ მუდმივი ცქერა იმ მიზეზისაგან წარმოსდგება, სხვათა შო-
რის, რომ ან ნათელი ერთი მხრიდან ადგია უმაწვილის თვალებს,
ან კიდევ ისე უჭკირით უმაწვილი ხელში, რომ იმულებულია ერთი
მხრისაკენ მიაქციოს თვალეი.

რაცა შეეხება თვალების აღზდასა და გახსნას, ეს დამოკიდებულია მათ ვარჯიშობაზე. ასლად შობილ ემაწვილს, თუმცა კი თვალები ახელილი აქვს, მაგრამ ის ჟერ ვერაფერსა სედავს და მას-სადამე ვერ არჩევს ერთ საგანს მეორისგან. თითო რომ დაუხსლო-ვით თვალებთან არც კი დასამსამებს. მხოლოდ შემდეგ ეხვევა სედავს და ვირველად სინათლის სინულედგან გარჩევას, ასე რომ ორი ანუ სამი კვირის ემაწვილს თვალები იქითკენ უჭირავს, სიდა-მაც სინათლე ადგია; ნახევარი წლის ემაწვილი უკვე სწინობს თავის დედას და არჩევს სხვა ადამიანებიდამ. ამ გვარად ის სულ თანდი-თან სწავლობს სედავს და მსედველობის საშუალებით არჩევს საგნებსა და მათ თვისებათა, რაცა ცხადათა სხანს იქიდამ, რომ ის სწდი-ლობს მასწავლეს იმ საგნებს, რომლებიც მას უფრო მოსწონს ან ფე-რითა და ან სხვა რითიმე.

ერთი წლის ემაწვილს იმოდენათ აქვს უკვე გახსნილი მსედვე-ლობა, რომ მას შეუძლია ამ გრძობით ყოველი შესატყრი შთაბეჭ-დილება მიიღოს. ამ დროდამ დაწყებული ემაწვილის გრძობები სა-ზოგადოდ ძლიერ ცოცხლად მუშაობენ. მას ამ დროდამე ძლიერ საჭირთა მოძებნება და აღმწოდვლებმა სული შეუწყონ და მისცან ემაწვილს საშუალება სხვა-და-სხვა საგნებს და მათ თვისებებს თვალ-ფერი ადევნოს და გაიგნოს ისინი; ისინი უნდა სწილობდნენ შე-სწიონ ემაწვილი, რომ ვეროვანი ყურადლება მაქციაოს თვითვეულ ნახულ საგანს, მის თვისებათა, რომ ამ გვარად გაარჩიოს ერთი სა-განი მეორისგან. მაგრამ არც ისე უნდა მოიქცნენ, რომ ძრავალი სხვა-და-სხვა საირი საგნები ერთად უჩვენონ, თორემ ემაწვილს უფ-რო დაეხვევა გულის ყური.

წყალტუბელი.





სამაგალითო. გაკვეთილები.

წერა-კითხვის გაკვეთილები *)

გაკვეთილი მეოთხე.

მასწავლებელს შემოაქვს კლასში თოხი ან თოხის სურათი და დაიწეებს მოსწავლეებთან მასზე ბასს შეძლების კითხვებით (ანკენებს თოხს):—რა ჰქვია ამას ან რის სურათი არის ეს?—თოხი.—რა ნაწილები აქვს თოხსა?—შირი და ყუა.—ყუაში რა არის გაურდილი?—თოხის ტარი.—რისას სჭედენ თოხს?—რკინისას.—ტარს?—ხისას.—ვინ სჭედს თოხსა?—მჭედელი.—რის შემუშავებაზე ხმარობენ თოხსა?—მიწის.—კიდევ რას ხმარობენ მიწის შემუშავებაზე?—ბარს, სახნისს და სხვ.—ერთის სიტყვით რას ეძახიან თოხს, ბარს, სახნისს?—იარაღს.—რადგან ამ იარაღებით მიწას მუშაობენ, ამისათვის რა იარაღებს ეძახიან ამათ?—მიწის შესამუშავებელ იარაღებს.—მშ კინ მტყუის, რა არის თოხი?—მიწის შესამუშავებელი იარაღი.—გამეორეთ სულ, რატ ვსთქვით თოხსზე.

ერთი მოსწავლეთაგანი იმეორებს: თოხი არის მიწის შესამუშავებელი იარაღი; თოხს სჭედს მჭედელი რკინისას; თოხის ნაწილებია შირი და ყუა. ყუაში თოხს ხის ტარი აქვს გაურდილი. ამასვე გამეორებს მეორე მოსწავლე, მეომეთ მესამე და სხვ. ადექით: ერთი; დასკვით: ორი; ერთი, ორი; ერთი, ორი!—გამეორე, ვანო: რა არის თოხი?—მიწის შესამუშავებელი იარაღი.—ვსთქვათ ყველამ ერთად (ამბობენ): თოხი არის... კიდევ, კიდევ...—რამდენი სიტყვა არის აქ?—ხუთი.—რომელია შირიკელი? მეორე? მესამე?... მესუთე? მეოთხე...—ვსთქვათ ყველამ ერთად სიტყვა თოხი (ამბობენ): თოხი,

*) იხ. „ნობათი“-ს I, II და IV № № დამატება.



თოხი, თოხი.—რამდენი მარცვლისაგან შესდგება ეს სიტყვა?—ორი მარცვლისაგან.—რომელია პირველი? მეორე?—ვსთქვათ ერთად პირველი მარცვალი (წარმოთქმენ): თო, თო, თო...—ყური მიგდეთ: თოთოთ, თოთოთ, თოთოთ...—რა სმით ბოლოვდება ეს მარცვალი?—სმით თ.—რა სმით იწყობა?—სმით თ.—ამ ორი სმის მეტი სმა ისმის თუ არა ამ მარცვალში?—არა.—მაშ, რამდენი სმებისაგან შესდგება ეს მარცვალი?—ორი სმისაგან.—რომელია ეს სმები?—ხმები: თ და თ.—რომელია მათში პირველი? მეორე?—განიყოფეთ, რა მარცვლებისაგან შესდგება სიტყვა თოხი და რა სმებისაგან შესდგება პირველი მარცვალი?—სიტყვა თოხი შესდგება ორი მარცვლისაგან; პირველ მარცვალს შეადგენს ორი სმა: თ და თ.—მითხარი თუ მეორე მარცვალი. — ხი.—ვსთქვათ ყველამ ერთად ეს მარცვალი! (ამბობენ): ხი, ხი, ხი.—ყური მიგდეთ: ხიიიი, ხიიიი, ხიიიი...—რა სმით ბოლოვდება ეს მარცვალი?—სმით ი.—რა სმით იწყობა?—სმით ხ.—ამ ორი სმის მეტი სმა ისმის თუ არა ამ მარცვალში? —არა.—მაშ რამდენი სმისაგან შესდგება ეს მარცვალი?—ორი სმისაგან.—რა სმა არის პირველი? მეორე?—რა სმები ვისწავლეთ დღეს?—ხმები თ და ხ.—მითხარი თ ისეთი სიტყვები, რომლებშიაღ სმა თ, სმა ხ ისმოდეს.

ამის შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეთ ასოებს თ და ხ და ჭვითხავს: — როდესაც ამ ასოს დაინახავთ, რა სმა გავსსენდებათ?—ხმა თ, ხმა ხ. როდესაც მოსწავლეთ შესთქვამთ კარგად შთაბეჭდებთ ამ ასოების გამოხატულობა, მასწავლებელი ასოებს შეურევს სხვა ასოებში და მოსწავლეებმა უნდა გამოიჩინონ ასოები თ და ხ.—აი ასოები თ და თ. ახა, ვინ შეადგენს ამ ასოებისაგან მარცვალს თო? (ერთი მოსწავლეთაგანი მიდის კლასის დაფასთან და შეადგენს ამ ასოებისაგან მარცვალს თო ამ გვარადვე შესდგება მარცვალი ხი.)

ჟერ ეს ორი მარცვლები ერთმანერთზედ დაშორებულნი არიან, და მოსწავლენი რამდენიმეჯერ სწორთ ვითხულობენ: თო—ხი. მეორე მასწავლებელი ამ მარცვლებს ერთმანერთთან დაწყობს, წაკითხებს წყარა, —გამოვა სიტყვა თოხი.—ადექით: ერთი; დასხედით: ორი.

(სამკერ.)—ჩვენ ვისწავლეთ ხმები და ასოები **ა** და **ხ**; ესაა ვისწავლათ ამ ასოების წერა. მიუერთე! ასო **ა**, აი, ასე იწერება (სწერს კლასის დაფაზე თვლით). ერთი, ორი, სამი, ოთხი.—ამოიღეთ დაფები და გრიფილები; მოემზადებით საწერად; დასწერეთ სამკერ **ა**.—ესაა მე კსთვლი, და თქვენ ყველამ ერთად დასწერეთ ასო **ა**. (სწერენ რამდენიმეჯერ)—ესაა ყველამ ერთად სთვალეთ და სწერეთ ასო **ა** (ხორეთ სთვლიან და სწერენ ამ ასოს)—დასწერეთ გრიფილები! მიუერთე: ასო **ხ**, აი, ასე იწერება (სწერს კლასის დაფაზე): ერთი, ორი.—აიღეთ გრიფილები, მოემზადებით საწერად. დასწერეთ რამდენიმეჯერ ასო **ხ** (სწერენ)—მე კსთვლი და თქვენ სწერეთ ასო **ხ**. მოემზადებით! დასწერეთ: ერთი, ორი, ერთი, ორი...—ესაა თქვენ სთვალეთ და სწერეთ სწორედ ერთად. (სთვლიან და სწერავენ ყველა ერთად.)—დასწერეთ უანგარიშოდ სამ-სამჯერ სიტყვა **თ ო ს ი**.—ესაა ყველამ ერთხმად ვსთვალეთ და ვსწერეთ სიტყვა **თ ო ს ი**; მოემზადებით, დასწერეთ: ერთი, ორი, სამი... კიდევ, კიდევ ...—დასწერეთ უანგარიშოთ შემდეგი სიტყვები: **თისა, სასა, ახია, ოსი, სოსა, ასა...**

გაკეთებენ ამით თვლებს.

ხვევლი.



სამაგალითო გაკვეთილები.

ქართული ენა.

განმარტებითი კითხვა.

ე ვ ა ვ ი ს ბ ა ხ ა ლ ა .

(იგავ-არავი).

ცოდგან არწივი დაეშვა და ბატკანი მოიტაცა;
 მანამ მწყემსი მოუწრობდა, დახანჯა იმს ზეცა...
 ევავის ბახალამ შექსედა, ჩაივინა, გაიოცა
 და სთქვა: „კლანჭს კი არ გავისვრი ასე მტირე კერძედ შეცა!“

ნათქვამია ძველთაგანა,
 მდაბალ ხალხში, გლეხთაგანა:
 „მარსვა ვჭამო დოსთვინაო,
 ქურდობა ვქნა ხბოსთვინაო!..“

სხანს სვაგებშიც სუსტობს ზოგი,
 რომ თვალწინ ჰუგს ცხვრისა ჯოგი,
 და ვერ არჩევს ბატკანს და ყოხს,
 გტანება ქორთვას და ნორჩს...

აი, შე კი, რომ მინდოდეს,
 მწყემსებს დაუყენებ შავს დღეს:
 შეკინავარდებ, თუ მსურსა,
 და ლუკმას აკვრავ მეფურსა!...“

ამ დროს ავირინდა ჰერში ევავი
 და ცხვრებს დასტკერდა, როგორც რომ სვავი...
 დიდ-ხანს არჩია მან დიდი კერძი,
 ბოლოს შენიშნა მსუქანი გერძი...
 დაუშვა დაბლა ფრთები, კანჭები
 და ცხვრის მატყელს სტაცა მაგრა კლანჭები!...

გაქვს უკვირ,
 უტკო, ბედ-მავი...
 ბევრი ინსულა და იფთხრიალა,
 უდროთ თავი გაიტიალა!

მწუქსმა დუქარდი გაუგდო ცხვარსა,
 მატული შეართო უკავს უმეცარსა
 და, რადგან იგი უბაძვლა სვავსა,
 თარივე ფრთები შეჭვრიჭა უკავსა!...

საწყაღმა უკავმა ბევრი იმფოთა,
 მაგრამ ბაღღს მისცეს სათამაშოთა!..

კრილოვი (გადმოკეთებული თ. რ. ერისთავისაგან.)

ნაწილ-ნაწილად გარჩევა.

მასწავლებელა.—მოვიგონოთ, რა სიტყვებით იწუება ეს ლექსი:

ციდან არწივი დაეშვა და ბატონი მოიტაცა:
 მინამ მწუქსმა მოუსწრობდა, დახანსვა იმას ზეცა...

— რა ფრინველია არწივი?

მოსწავლე.—გარეული, მტაცებელი ფრინველი.—კიდევ რა იცით არწივზედ?—იგი დიდი ღონიერი და მდიდა-მოფრინავი ფრინველია.—
 —რათ ჭკიან არწივს მტაცებელი ფრინველი?—იმიტომ, რომ თავის გამოსაკვებავთ მომეტეულ ნაწილს სხვა-და-სხვა ფრინველებს და, სწოგადოდ, სუსტ ოთხ-ფეხ ცხოველებს იტაცებს.—რათ არის ნათქვამი დაეშვა და არა ჩამოვიდა?—დაეშვა, ე. ი. ჩამოვიდა, მსოფლიდ სწრაფად, მარდათ.—რა აჩქარებდა, რატომ წუნანად არ ჩამოფრინდა?—იმას მწუქსისა ეშინოდა, არ მომასწროსო.—რას ნიშნავს დახანსვა იმას ზეცა?—გითომ მდიდა ცაში აიფხანათ.

უკავის ბახალამ შესედა, ჩაიციანა, გაიოცა...

— რა განსაკვებავა ამ ორ სიტყვას შუა: ჩაიციანა და გაიციანა? მოსწავლე.—გაიციანა ნიშნავს უფრო ხანგრძლივს მდგომარეობას, ამას მოსდევს უეჭველად ხმის ამოღებენ, და მოასწავებს მხოლოდ სიმხარულეს; ხოლო ჩაიციანა—(შესაძლოა ხმა ამოუღებელი-გან) უფრო ხან მოკლე მდგომარეობას გვიხატავს და ამასთან ზოგჯერ კილვას ან დატინვასაც მოასწავებს.—რა ქსურს ატკორს გვიითხრას ჩვენ სიტყვით ჩაიციანა?—ისა, რომ უკავის ბახალამ არწივს დასტინათ.—რა სიტყვით შეიძლება შეესწავლოთ სიტყვას გაიოცა?—გაუკვირდა.

ნათქვამია...

„ძარსვა ვჭამო დღესთვისა,
ქურდობა ვქნა ხბოსთვისა!“

— როდის ამბობენ ამ ანდაზას?—როდესაც კაცო ცოტა სარგებლობისთვის დიდ ცოდვას ჩადის.

სხანს სვავებშიც სურტობს ზოგი,
რომ თვალწინ ჰქუეს ცხვირისა ჯოგი,
და ვერ არჩევს ბატკანს და ყონს,
ეტანება ქორფას და ნორჩს.

— რამდენ ხანად შეიძლება კაცი სურტი იყოს?—ღრწანიდა: სურტი ჯანით, ღრწით და სურტი ჭკუით, გონებით.—რას სისურტესა ჰქნადავს ყვავის ბასლა სვავებში?—გონების სისურტესა.—ვისაც გონების სისურტეს ამხნევენ, იმას რას ეძახიან?—უკუთურს, სეზრეს.—რათ სწამებს ყვავის ბასლა არწივს უკუთურობას?—თვითონვე ამბობს, რომ ცხვირის ჯოგი თვალწინ ჰქუდა და ბატკნებადან ყონი ვერ გააჩნიაო ე. ი. ავის და კარვის გაჩნება ვერ შეიძლო.—ნუ თუ ძარობა არწივში ის არ იცოდა, რომ ყონი ბატკანსა სწობდა?—ცოდნით იცოდა, მაგრამ იმან თავისი ღრწი გაზომა და იმას-და-გვარად მოიჭრა.—რას ეძახიან ყონს?—დიდს მამალ ცხვიარს.—ეტანება—ანუ სხვანაირად?—ემებს, ეწეობა, რჩეობს—რას არის ქორფა?—ნორჩი ახალი, ახალ-გაზდა.

აი შეგი, რომ მინდოდას,
მწეუმებს დაუყენებ შავ დღეს;
შეკინავარდებ, თუ მსურსა,
და ლუკმას ავკრავ შეფურსა!

— რას გვარად უჩადის მწეუმებს შავი დღის დაყენებას?—შეკინავარდებ, ე. ი. შეფურინდები და შეფურ ლუკმას წავართმევ იმათაო.—რას უნდა ვიგულისხმობთ ლუკმის ალაგას?—ცხვიარი—როგორ ლუკმას მართმევენ შეფურს?—უკეთესს, ფრად გეძრიალს.—ახა, თუ მინვლებით, თავის თავსად რას ჰფიქრობდა ყვავის ბასლა, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა?—იმას ეგონა ღრწიერი და ყოველის შემძლებელი რომ ვარო.

ამ დროს აფრინდა ჰქერში ყვავი

და ცხვირებს დასჭერდა, როგორც რომ სვავი.

— ვის ეტყვიან: აი, შე სვავო?—გაუმადლარს, მსუნავს.—საზოგადოდ, რას თვისება აქვთ მსუნავებს?—ისა, რომ უკვართ დიდო



ლუკმა, ბუკრის ჭმა — ევაკის ბასლა სვაკვიით დასწქერდა ცხვრის ფარას, მამასადაქე, რა განსწასვა ჭქონდა? — ისა, რომ რაც შეიძლება დიდი ცხვარი ამოკარნიოვო. — რამოდენა ყოფილა თვითონ ფარა? — დიდი. — საიღამა სწანს ესა? — ანაკშია ნათქვამი: დიდსანს აწიის მან დიდი ვერძიო; შატარა რომ ყოფილიყო ფარა, უეჭველია, მალე ამოკარნივდა. — ბოლოს შენი შნა მსუქანი ვერძი. — რა არის ვერძი? — ვერძი — დიდი მამალი ცხვარია.

შუქუმსმა დუქარდი გაუგლო ცხვარსა.

— რას ეტყვიან დუქარდს? — დუქარდი არის მკრატლის მკვარი იარაღი, რომელითაც ცხვრებსა ჭმარსაკენ ან ჭკრეჭაკენ. — უმთავრესად რითი განსხვავდება ერთმანერთისაგან დუქარდი და მკრატელი? — მკრატელს აქვს ტარისაკენ ორი რგოლი, რომლებშიაც სმარების დროს ცურსა და შუა თითსა გაუბნეკენ სოლმე; დუქარდს კი ეს რგოლები არა აქვს და ტარსედ ერთბაშად მარჯვენა ხელს მოჭხეკენ სოლმე.

— აბა, სვაკოთარის თქვენის სიტყვებით მოკლედ გადმოქვით შინაარსი ამ იტაკ-არაკისა.

— ერთხელ არწივმა ციღამ ძირს ცხვრის დიდი ფარა დაინახა, დაეჭვა და ერთი ბატკანი აიტაცა. შემთხვევით ამის ხსლო დაეტანა ევაკის ბასლა, რომელმაც არწივს თვალი მოასწრო; დანახვისთანავე ევაკს მოუვიდა სიცილი და დაცინვით წარმოსთქვა: დასე ამ უგუნურს სვაკს: ამოდენა ცხვრის ფარა წინ უდგა და შაწაწინა ბატკანისთვის კლანჭებს ისურისო; მე რომ მიხლოდეს, შუქუმებს თვალებს დაუქვანებ: დავაფრინდები ფარას და რომელიც კაი დიდი და სმუქანი ყოჩია, იმასა ვატარებ კლანჭებსაო. სთქვა ეს ევაკმა, აფრინდა, მეტე დაუნა ერთ ცხვარს, მატყლში კლანჭები მკრე გაუყარა, — და დასე მის უეადურებას! — ბუკრი ეწვალა, იფთხიოლა, მკრემ ვერც ცხვარი აიტაცა და კლარტ კლანჭები განთავისუფლა მატყლისაგან. დანახა გაბმული მოვიდა მუხსაკრე. გაუგლო დუქარდი, ევაკი ააჭრა. დაგვირგა ფრთება და აავსეს სათამაშოთ გაწდასდა.

სასოგადო მსჯელობა შინაარსზედ.

მასწავლებელი — რა გაიოცა ევაკის ბასლამ, როდესაც მან არწივი დაინახა?

